ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 1 აპრილი, 2013 — №76 (6077) — ფასი: 30 თეთრი

## ილია II: „ფინეთში თქვენი ლოცვების იმედით მივდივარ“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II გუშინ ფინეთში გაემგზავრა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ის ფინეთში ექიმების რეკომენდაციით მიემგზავრება, სადაც ორი კვირის განმავლობაში დარჩება და სარეაბილიტაციო კურსს ჩაიტარებს.

„თქვენი ლოცვების იმედით მივდივარ“, — მიმართა მრევლს უწმინდესმა.

მედიანიუსი

# რა პროვოკაცია დაგეგმა ვანო მერაბიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

გვ.2





## მანანა კობახიძე: „ნაციონალებს სამსახურიდან არ უნდა ყრიდნენ“

გვ.5



## თემურ შაშიაშვილი: „ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილი რადიკალურ გადაწყვეტილებებს მიიღებს“

გვ.3



სააკაშვილი ამერიკელ მფარველებს აგვისტოს ომით აშანტაჟებს

## არჩილ კბილაშვილი: „რამდენიმე საქმესთან, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტიც იყოს დაკავშირებული“

გვ.3



## რამაზ საყვარელიძე: „სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობისთვის ბრძოლა გაუჭირდება“

გვ.2



## ვაჟა ოთარაშვილი: „რესპუბლიკელები მეჩეთოსნები არიან“

გვ.4



## საქართველოში ინფარქტის ასაკი გაახალგაზრდავდა

გვ.6



ISSN 1987-9385

**7** რატომ ვერ შოულობენ სამსახურს „ქართული ოცნების აქტივისტები“

**5** დავით ქუპრეიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი უნდა ჩაატაროს“

**4** საპატრიარქო ბიუჯეტიდან მიღებული 25 მლნ ლარის განკარგვაზე განცხადებას ავრცელებს

**7** ციხიდან გათავისუფლებული ადამიანები უნდა დავასაქმოთ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რა პროვოკაცია დაგეგმა ვანო მერაბიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტსა და ნაშსმინისტრალ ვანო მერაბიშვილს უკვე რამდენჯერმე შემოეკრიტიკათ მშობლიური პოლიცია. მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, პატრულმა უკვე ქრთამის აღება დაიწყო. ეს თემა მალევე ჩაკვდა, რადგანაც ქრთამის ამღები პოლიციელი ვერავინ დაასახელა.**





ვანო მერაბიშვილი და მისი ნაცმოძი ძალიან ბევრს საუბრობენ ნარკოტიკებზე. მერაბიშვილი ჩივის, საქართველოში ერთადერთი რაც გაიაფდა ნარკოტიკიაო. არადა ნაცნობი ნარკომანები ისევ წამლის სიძვირეს უჩივიან. ნაციონალები სადარბაზოსთან დაყრილ შპრიცებზეც ტიროდნენ. არ გაჩერდნენ მანამ, სანამ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა არ განაცხადა, გვაქვს ფირები სადაც ჩანს როგორ ყრიან ტიპები სადარბაზოებთან შეგნებულად შპრიცებსო.

სამწუხაროდ ქვეყანაში კრიმინოგენული ფონი ისევ მძიმეა. ვერ გეტყვით, რომ ახლა უფრო მეტი დანაშაული ხდება ვიდრე ლეგენდარული ვანოს ზეობის ჟამს. უბრალოდ ოპოზიციად ქცეული ნაცმოძი ვითარებას კრიტიკულად წარმოაჩენს. მოსახლეობასაც რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა დაქცევის პირასაა.

ამ დღეებში ამ მიმართულებით კიდევ უფრო გართულდება საქმე. პარტია „ჩემი საქართველოს“ ლიდერის ელისო კილაძეს განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი უწყების წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია იწყება.

მისი თქმით ირაკლი ღარიბაშვილისთვის ცალკეული ფრონტების გახსნას ორშაბათიდან უნდა ველოდოთ და ამ კამპანიას პირადად ვანო მერაბიშვილის მიერ მართული არასამთავრობო ორგანიზაციები განახორციელებენ.

– ვანო მერაბიშვილმა თავის ძალიან ახლო გარემოცვაში დაგეგმა მიზანმიმართული, დეზინფორმაციული კამპანია ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი უწყების წინააღმდეგ. იცით, რომ 19 აპრილს „ნაციონალურ მოძრაობას“ დაანონსებული აქვს გრანდიოზული მიტინგი, რამდენად გრანდიოზული იქნება ეს სხვა თემაა. ოღონდ მთავარი დარტყმა უნდა წავიდეს ბიძინა ივანიშვილის ყველაზე ერთგულ ადამიანზე ირაკლი ღარიბაშვილზე, ამ დარტყმას რამდენიმე კომპონენტი აქვს. პირველი ის, რომ აუცილებლად უნდა იყოს ტირაჟირება, რომ კრიმინოგენული ვითარება გაიზარდა, მეორე ის, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ვერ მართავს საკუთარ სისტემას და მას არ აქვს სისტემაში ავტორიტეტი და მესამე და მთავარი, რომ ის არის ადამიანი, რომელიც არის პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ და არის „ქართული ოცნების“ შემადგენელი ფრთა და რომ პოლიცია არის პოლიტიზირებული, მიმდინარეობს სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა, – განაცხადა „ფრონტ ნიუსთან“ საუბარში კილაძემ.

კილაძე ინფორმაციის წყაროს ვერ აკონკრეტებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ის უშუალოდ „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის გარემოცვის წევრია.

– ვინ იქნება ამ კამპანიის შემადგენელი ნაწილი ამას მომდევნო კვირიდან დავინახავთ. სავარაუდოდ მე მაქვს ინფორმაცია, რომ ეს შეიძლება იყოს ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელსაც პირადად ვანო მერაბიშვილი მართავს, შესაძლებელია იყოს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ სატელიტი ორგანიზაციები იყვნენ, – ამბობს ელისო კილაძე.

ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ რომ ღარიბაშვილის ჩაძირვა რამდენიმე მეოცნებე მინისტრსაც აწყობს. ვნახოთ ვინ რას გახდება ამ ფრონტზე. მართალია ღარიბაშვილს ამ ფრონტზე დიდი გამოცდილება არა აქვს, მაგრამ როგორც ამბობენ საკადრისი პასუხის გაცემა კარგად შეუძლია. ეს იმ დღესაც გამოჩნა როცა შს მინისტრი საპარლამენტო უმცირესობას შეხვდა. ასეთი რამ ვანო მერაბიშვილს არ გაუკეთებია. ახლა ვანო კოლეგას პროფესიონალიზმს უწუნებს. ამბობს მე და ღარიბაშვილი მხოლოდ იმით ცუდი საუბრით ვგევართ ერთმანეთსო.

ღარიბაშვილს კომპეტენცია დეპუტატმა გია ბარამიძემაც დაუწუნა. ისიც შს მინისტრი იყო ერთ დროს. მართალია ღარიბაშვილს კომპეტენცია აკლია, მაგრამ ბარამიძემდე საბედნიეროდ ბევრი უკლია. და იმედია ბარამიძის მსგავს სპეცოპერაციებს არასდროს ჩაატარებს. ასევე იმედი ვიქონიოთ, რომ კრიმინალს უფრო ეფექტურად შეებრძოლება. რითიც ნაციონალებსაც გააჩუმებს და ჩვენც უფრო თავისუფლად ვივლით ქუჩაში.

# რამაზ საყვარელიძე: „სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობისთვის ბრძოლა გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა



გავრცელებული ხმებით, გაზაფხულზე, არ არის გამორიცხული, რომ მინისტრთა კაბინეტის ცვლილება მოხდეს. ამ ინფორმაციას ღიად არც ერთი მინისტრი არ ადასტურებს, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდეთ.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მინისტრების მიმართ კრიტიკასა თუ შექებას ღიად აფიქსირებს. ყველას კარგად ახსოვს ირაკლი ალასანიას ირგვლივ განვითარებული მოვლენები, როდესაც წარბშეუხრელად გადააყენა ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან. მაშინ თქვეს, რომ ეს მესიჯია, რომლის ადრესატებიც დანარჩენი მინისტრები არიან.

რაც შეეხება შექების ფაქტს, ამ მიმართულებით კახი კალაძე და გიორგი მარგველაშვილი წინაურდებიან. სწორედ ისინი არიან ვიცე-პრემიერებიც. სავარაუდოდ, ვიცე-პრემიერებს მოსალოდნელი ცვლილება არ შეეხებათ. მინისტრთა კაბინეტის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოხატა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ.

## ინტერვიუ რამაზ საყვარელიძესთან

***– ბატონო რამაზ, კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ გაზაფხულზე მინისტრთა კაბინეტის ცვლილება მოხდეს. ამ ხმებს ხელი შეუწყო იმ ინფორმაციამაც, რომ სალომე ზურაბიშვილი შეიძლება აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთოს და ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრი გახდეს. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები?***

– სიმართლე გითხრათ, მე მინისტრთა კაბინეტის ცვლილებას უფრო ადრე ველოდი, მაგრამ შედეგმა გვიჩვენა, რომ პირველი ნაბიჯები, რომლებიც მინისტრებმა გადადგეს, ამის საფუძველს ნაკლებად იძლევა. მათ მყარი ნაბიჯები გადადგეს და ასეთი ცვლილების ალბათობა შემცირდა. მინისტრთა მუშაობის დროს, ცხადია, უმთავრესი მაინც შედეგია. სწორედ მათი მუშაობის შედეგი უნდა იყოს განმსაზღვრელი. მეტ-ნაკლებად მათი სამუშაოების შედეგთან დაკავშირებით საზოგადოება საქმის კურსშია.

***– თქვენ აღნიშნეთ, რატომ ახლა? უფრო ადრე ელოდით ამ ცვლილებას. უფრო მაშინ რატომ იყო მიზეზი, რომ ასეთი ცვლილება მომხდარიყო?***

– მინისტრებზე გავლენას ახდენდა მათი გამოუცდელობა ამ საქმეში. ბევრი მათგანი სრულიად ახალი ფიგურაა და მათი გამოცდილების შესახებაც არ იყო ძალიან დიდი ინფორმაცია, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს გამოცდილება ახლა მეტია. არ არის მარტივი, აუღო ალღო და ისე გააკეთო შენი საქმე, რომ არ მიიღო ის შედეგი, რომელიც წინა ხელისუფლებამ მიიღო. მარტივი, რასაკვირველია, არ არის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა ამ მინისტრების მხრიდან და მათზე შეიძლება უკვე ვთქვათ ჩვენ, რა ნაბიჯები გადადგეს სწორი და არასწორი მიმართულებით. საზოგადოებას უკვე შეუძლია, ამ მიმართულებით იმსჯელოს, მაგრამ მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები, რომ ახლა, როდესაც ამა თუ იმ მინისტრმა უკვე გარკვეული გამოცდილება შეიძინა, არა მგონია, ასე იდგეს საკითხი, თუმცა, ცხადია, არაფერი გამორიცხული არ არის.

***– ჩვენ გვახსოვს წინა ხელისუფლების პირობებში ე.წ. კარუსელი, რომელიც არც ისე იშვიათობა იყო, ერთი მინისტრი რამდენიმე წრეს გადიოდა. მაშინ სხვადასხვა მიზეზი სახელდებოდა...***

– დიახ, კარუსელი იყო. სააკაშვილი მართლაც წარმოუდგენლად სწრაფი ტემპით ცვლიდა მინისტრებს. არა მხოლოდ ცვლიდა, ერთსა და იმავე ბრუნზე ატრიალებდა. ამის ახსნა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება. შეიძლებოდა, ისე მომხდარიყო, რომ ექიმის ადგილზე ანუ, მაგალითად, ჯანდაცვის მინისტრის პორტფელი ჩაებარებინა ფიზიკოსს ან, პირიქით. პროფესიონალიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო პოლიტიკური მოტივაცია, პირადი ერთგულების საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა სააკაშვილის მიერ კადრების შერჩევა. ამ პირობებშიც კი გადაადგილებები იყო, იქ რაღაც ხდებოდა შიგნით და შემდეგ გვახსოვს, როგორ ხდებოდა კვლავ მორიგი კარუსელის დატრიალება. სააკაშვილის მიერ მინისტრების გადალაგება-გადმოლაგებით საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობაც იყო.

***– ქვეყანაში, ზოგადად, კვალიფიციურ კადრთან დაკავშირებით პრობლემაა. ეს მაშინაც გამოჩნდა, როდესაც ივანიშვილი მთავრობას აკომპლექტებდა. ამ პრობლემაზე პრემიერი ხშირად საუბრობს...***

– დიახ, ეს პრობლემა რეალურია და სავსებით ცხადად აქვს გაცნობიერებული თავად პრემიერ-მინისტრს.

***– რამდენად შესაძლებელია, რომ მართლაც სალომე ზურაბიშვილი იყოს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი?***

– რეალურად ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ სალომე ზურაბიშვილს ძალიან დიდი კონკურენციის გავლა მოუწევს, რადგან „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ისეთი კანდიდატია, რომელიც შეიძლება იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი. პრეზიდენტობის პრეტენზია შეიძლება ბევრს ჰქონდეს.

## სამართალდამცველებმა ნარკომომხმარებელი და რეალიზატორი დააკავეს

სამართალდამცველებმა ნარკომომხმარებელი და რეალიზატორი დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა თელავის რაიონის სოფელ რუისპირში, 1971 წელს დაბადებული სიმონ ხ. ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით, ხოლო 1958 წელს დაბადებული ელიზბარ რ. ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს.

სიმონ ხ-ს პირადი ჩხრეკისას ერთ შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ ამოიღეს. იმავე დღეს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაადგინეს და დააკავეს ნარკოტიკული საშუალების რეალიზატორი, რომლისგანაც სიმონ ხ-მ „ჰეროინი“ შეიძინა. სამართალდამცველებმა თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, დაკავებული ელიზბარ რ-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 12 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინი“ ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნარკოტიკის საერთო წონა 2,4234 გრამს შეადგენს, რომელშიც 0, 1882 გრამი „ჰეროინი“ აღმოჩნდა.

გამოძიების ინფორმაციით, ელიზბარ რ-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ თურქეთის რესპუბლიკაში შეიძინა და საქართველოში რეალიზაციის მიზნით ჩამოიტანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) პირველი ნაწილის და 262-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალები უკანონო შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე) პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველო აწარმოებს.

**პირველი**

## დიდი ოდენობით „ჰეროინის“ შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით „ჰეროინის“ შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

„ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში დიდი ოდენობით „ჰეროინის“ შემოტანის ფაქტზე 1975 წელს დაბადებული ირაკლი კ. დააკავეს. დაკავებულს პირადი ჩხრეკისას 5 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. მან საქართველოში ნარკოტიკის შემოტანა თურქეთიდან სცადა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნარკოტიკის საერთო წონა 2,14 გრამია, რაც 0,584 გრამ „ჰეროინს“ შეიცავს. ასევე დადგინდა, რომ ირაკლი კ. დაკავების მომენტში ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში..

შსს-ს ცნობით, გამოძიება სსკ-ს 260-ე მუხლის (ნარკოტიკის შეძენა-შენახვა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის (საქართველოში ნარკოტიკის უკანონოდ შემოტანა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 273-ე მუხლით (ნარკოტიკის მომხმარება) მიმდინარეობს.

**პირველი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## ილია II: „პარლამენტის წევრებს ავიწყდებათ, რომ მათ უკან არის სამშობლო“



ადამიანმა იმაზე კი არ უნდა იფიქროს, რომელ პარტიას ეკუთვნის, არამედ იმაზე, რომ ყველა პარტია ეკუთვნის სამშობლოს, რომ პარტია არის ჩვენი სამშობლო და ხალხი.

როგორც გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II აღნიშნა, ჩვენ უნდა დავინახოთ, ვის უჭირს და ვის ულხინს, ვის სჭირდება დახმარება.

პატრიარქმა გაიხსენა, რომ მასთან რამდენიმე წლის წინ იმყოფებოდა შვეიცარიის პარლმენტის თავმჯდომარე, რომელმაც უთხრა, რომ მის ქვეყანაში არ არსებობს ოპოზიცია და ყველა აკეთებს სამშობლოს საქმეს და სამშობლო აძლევთ მათ ყველაფერს რაც საჭიროა.

„მე ძალიან მიკვირს, როდესაც პარლამენტის წევრები ამბობენ, რომ ეს ეკუთვნის უმრავლესობას, ის ეკუთვნის უმცირესობას. მათ ავიწყდებათ, რომ მათ უკან არის სამშობლო, რომე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## არჩილ კბილაშვილი: „რამდენიმე საქმესთან, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტიც იყოს დაკავშირებული“

საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, არის რამდენიმე საქმე, სადაც საქართველოს პრეზიდენტის შემხებლობა, მისი ინფორმირებულობა იკვეთება.

,,საჭიროა პროკურორმა, ამ შემთხვევაში საქმის მწარმოებელმა პროკურორმა მიიღოს გადაწყვეტილება მიზანშეწონილობის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ პირის დაკითხვა და დროული. ეს გადაწყვეტილება არ არის მიღებული. შეიძლება არც არასდროს მიიღონ. შეიძლება მალე მიიღონ, მაგრამ როგორც კი იქნება ეს გადაწყვეტილება მიღებული, თუ იქნება ამის შესახებ შეიტყობთ“-აღნიშნა კბილაშვილმა.

კბილაშვილის თქმით, ტელეკომპანია „იმედის“ საქმე ერთ-ერთია, სადაც პროკურატურის ხელთ არსებული მტკიცებულებებით, პრეზიდენტ სააკაშვილის ინფორმირებულობა ან შემხებლობა იკვეთება.

კბილაშვილის განცხადებით, შესაძლოა პრეზიდენტი 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხზეც დაიკითხოს.

„ორიოდე დღის წინ ჩვენ გვსტუმრობდნენ ჰააგის სასამართლოს პროკურატურის ოფისის წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენგან ითხოვენ ჯეროვანი გამოძიების წარმოებას აგვისტოს ომთან დაკავშირებით და ჩვენ ეს მოვალეობა გვაკისრია. აქამდე, წინა ხელისუფლება ეწეოდა ე.წ. რეზინის გაწელვის პოლიტიკას, ანუ გამოძიება ტარდებოდა გამოძიებისთვის და ოთხი წლის განმავლობაში არანაირი შედეგი არ იყო დამდგარი. ჩვენს წინაშე იყო კონკრეტული საკითხი დასმული, კერძოდ: აპირებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება ჯეროვნად შეაფასოს და შეისწავლოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და გასცეს კითხვას პასუხი, ჰქონდა თუ არა ადგილი ომის დანაშაულებს. ახალმა ხელისუფლებამ და მისმა თავმჯდომარემ პოლიტიკური ნება გამოხატა, რომ ეს საკითხი იქნება გამოძიებული. იქნება გამოძიებული ობიექტურად. ამისთვის ჩვენ უნდა შევქმნათ საგამოძიებო ჯგუფი და შევუდგეთ გამოძიებას. ეს თემა ვარაუდის დონეზე არ გამორიცხავს ვინმეს და მათ შორის პრეზიდენტის დაკითხვასაც“, — განაცხადა კბილაშვილმა ტელეკომპანია ,,მაესტროს“ გადაცემა ,,პრეს-პრესში“ სტუმრობისას.

**მედიანიუსი**

# თემურ შაშიაშვილი: „ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილი რადიკალურ გადაწყვეტილებებს მიიღებს“

## სააკაშვილი ამერიკელ მფარველებს აგვისტოს ომით აშანტაჟებს

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ვერ ახერხებს ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას, სად გაქრა ამერიკიდან გამოგზავნილი მილიარდები, რით ემუქრება მიხეილ სააკაშვილი ამერიკელებს, რატომ არ უნდა ჰქონდეს მინისტრს პენსიონერზე 60-ჯერ მეტი შემოსავალი და რას უნდა ველოდოთ ბიძინა ივანიშვილისგან — ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ესაუბრება.**

***— არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ გვპირდებოდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სამართლიანობას აღადგენდა. თავიდან თითქოს რაღაც დაიწყეს. დღეისათVის ეს პროცესი შეჩერებულია. ეს ყველაფერი თავსმოხვეულ კოჰაბიტაციას ხომ არ უკავშირდება?***

— პოლიტიკური შანტაჟი საქართველოში მწვერვალზეა ასული. ახალ ხელისუფლებას ნატოს და ევროკავშირის სამიტებით აშანტაჟებენ. ამტკიცებენ, რომ თუ ნაციონალებს დავსჯით, ნატო და ევროკავშირი ახლოს არ გაგვიკარებს. ამ ყველაფრის უკან სააკაშვილი დგას და სწორედ მისი მხრიდან ხორციელდება ორგანიზებული შანტაჟი. სამართლიანობის აღდგენა ცოტათი შეაფერხა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომელიც ცოტა ხნის წინ მიიღო პარლამენტმა.

***— ეს ცვლილებები ასეთი აუცილებელი იყო, რომ ოცნებამ მისი ხათრით სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა?***

— ცვლილებები რომელიც პარლამენტმა მიიღო, ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელი იყო. ძალიან სამწუხაროა, რომ ივანიშვილმა არ გაიზიარა ჩვენი სულისკვეთება. ჩვენ შევაგროვეთ ლამის მილიონამდე ხელმოწერა და ვთქვით, რომ სააკაშვილი არის ვადაგასული. მას საპრეზიდენტო ვადა 2013 წლის 20 იანვარს ამოეწურა. ამაზე არც მეოცნებეები დავობენ. მათაც კარგად იციან, რომ სააკაშვილი ვადაგასულია. ამის მიუხედავად მათ ვერ გაბედეს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება.

***— რატომ ვერ გაბედეს?***

— იმიტომ, რომ სააკაშვილის მხრიდან ადგილი აქვს ორგანიზებულ შანტაჟს.

***— ვის აშანტაჟებს სააკაშვილი, ივანიშვილის მთავრობას?***

— დასავლეთს. დაშანტაჟებული დასავლეთი კი იძულებულია ახალ ხელისუფლებას მოსთხოვოს ის, რაც ვადაგასული პრეზიდენტის ინტერესებშია. ივანიშვილი იძულებულია, დასავლეთის მოთხოვნებს ანგარიში გაუწიოს. მე წინა ინტერვიუშიც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ დასავლეთში ივანიშვილი ისედაც არ მოსწონთ. არ მოსწონთ იმიტომ, რომ ის ძლიერი პიროვნებაა და ნაკლებად არის გარედან მართული. სააკაშვილი გარედანაც იმართებოდა და ამასთან ერთად დიდი დემაგოგია. ამ საქმეში მას მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. ამის გამო ის ძალიან საშიშია.

***— და ამიტომაც ეშინიათ მისი „ქართულ ოცნებაში“?***

— ბიძინა ივანიშვილს მისი პიროვნულად ნამდვილად არ ეშინია, მაგრამ მის უკან ხომ ქვეყანა დგას. ვადაგასულმა პრეზიდენტმა შესაძლოა ქვეყანას შეუქმნას პრობლემა. სწორედ ამიტომაა, რომ სხვადასხვა ქვეყნების ელჩები ყველა წვრილმანში ერევიან. ისეთ საქმეებშიც კი ერევიან, რომელთა წარმოდგენაც კი ძნელია.

***— რა საკითხებში ერევიან, ბატონო თემურ?***

— ამ ეტაპზე არ მინდა ამ წვრილმანებზე ხმამაღლა საუბარი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ასეთ საქმეებში ელჩების ჩარევა არის სამარცხვინო. ეს სამარცხვინოა როგორც ჩვენთვის, ასევე მათთვის. ეს მათაც არ მოსწონთ, მაგრამ ერევიან. ერევიან იმიტომ, რომ სააკაშვილი მათთვის ძალიან საშიშია.

***— რითია სააკაშვილი საშიში?***

— სააკაშვილი საშიშია იმის გამო, რომ მან დიდი საიდუმლო იცის 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ. საშიშია იმიტომ, რომ შეუძლია ისაუბროს იმ ფულზე, რომელიც წლების მანძილზე მოდიოდა საქართველოში. ამით მას დასავლეთში და ამერიკაში ჰყავს დაშანტაჟებული ხალხი, რომლებიც სააკაშვილის დუმილის სანაცვლოდ საქართველოს ახალ ხელისუფლებას აშანტაჟებენ. ისრაელის შემდეგ ამერიკას იმდენი ფული არსად ჩაუდია, რამდენიც საქართველოში ჩადო.

***— მერე სად არის ეს ფული?***

— საქმეც ეგაა. ქვეყანას ეს ფული არ ეტყობა. მთელ მსოფლიოში მთავარ მიზანს ადამიანი წარმოადგენს. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის კი ასფალტი და გზა იყო მიზანი. გზის მშენებლობაში ათეთრებდა ის დასავლეთიდან შემოსულ ფულს. ამისთვის მას სამუდამო ციხე ეკუთვნის. ეგ კი გამოდის და მორალზე გვესაუბრება. მე ძალიან მაინტერესებს, რატომ არ იღებს ჩვენი მოსახლეობა ხმას. რატომ არ კითხულობენ, სად და რაში დაიხარჯა ხალხისთვის განკუთვნილი ფული. სად არის ეს მილიარდები, არ გაინტერესებთ? 13,4 მილიარდი საგარეო ვალი აქვს დღეს ქვეყანას. ამის გარკვევა არც ამერიკელებს აინტერესებთ. და რომც აინტერესებდეთ, ამაზე ცხინვალის ომის გამო ხმას ვერ ამოიღებენ.

***— თქვენ ზემოთაც თქვით, რომ სააკაშვილი აგვისტოს ომით აშანტაჟებს დასავლეთსო. რა საიდუმლოა ამისთანა და რა შუაშია ამ ომთან დასავლეთი?***

— ცხინვალის ომი დასავლეთის და განსაკუთრებით ამერიკის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. ამ ომზე, სიმართლე რომ ითქვას, ეს რუსეთისთვის დიდი საჩუქარი იქნება. ამ ომზე სიმართლე იცის სააკაშვილმა. ეს სიმართლე არ უნდა ითქვას.

***— რატომ არ უნდა ითქვას სიმართლე?***

— იმიტომ, რომ ამით ძალიან ბევრი ქვეყანა ჩავარდება ცუდ დღეში. ამ ომზე სიმართლის თქმა მხოლოდ რუსეთს აწყობს. დანარჩენი მსოფლიო კი ამ თემაზე დუმილს ამჯობინებს. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ სააკაშვილმა დუმილი არ დაარღვიოს. გითხარით, რომ საქართველოში ამ წლების განმავლობაში მილიარდები შემოვიდა. ამ ფულის 30% ისევ უკან წავიდა. ეს ფული დასავლეთში მყოფმა პოლიტიკოსებმა აიღეს. მათი ვინაობა შესანიშნავად იცის სააკაშვილმა. ამ ინფორმაციის გამჟღავნება ამ პოლიტიკოსებს არ აწყობთ. ვადაგასული პრეზიდენტი ამ ინფორმაციასაც შანტაჟისთვის იყენებს.

***— მათი დუმილი გასაგებია, მაგრამ, თქვენი არ იყოს, ხალხი რატომ არ იღებს ხმას? საზოგადოებას არ უნდა აინტერესებდეს, სად წავიდა ქვეყნისთვის განკუთვნილი მილიარდები?***

— აუცილებლად დაისმება ეს კითხვა. სამოქალაქო სექტორი უახლოეს მომავალში ამერიკას გაუგზავნის მიმართვას. ჩვენ ვკითხავთ ამერიკელებს რატომ არ აინტერესებთ მათ საქართველოში გამოგზავნილი მილიარდების ბედი.

***— გამოიღებს ეს მიმართვა შედეგს?***

— წესით უნდა გამოიღოს. ჩვენ მიმართვას ამერიკელ ხალხს გავუგზავნით. საქართველოში ხომ რიგითი ამერიკელების ფული იგზავნებოდა. საქართველოში უკვალოდ არის ათეულობით და ასეულობით მილიონები გამქრალი. ამაზე საქართველოში მყოფი ელჩები რატომღაც ხმას არ იღებენ. ხმას არ იღებს ამერიკის ელჩიც, რომელიც ლამის ყველა წვრილმანში ერევა. აბა, წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა ამერიკაში ასეულობით მილიონი სადმე რომ გაექრო ხელისუფლებას. მე მაინტერესებს, რასაც ამერიკელი ხალხი არ მოითმენს, რატომ უნდა მოვითმინოთ ჩვენ? ამის მოთმენას აღარ ვაპირებთ. და ეს მალე გამოჩნდება. ძალიან მალე აქტიურობას დაიწყებს საზოგადოებრივი პარლამენტი. ამდენის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება! ქვეყანას მომავალი არა აქვს, როდესაც მის ხელისუფლებაში არის ან თვითგვემა, ან თვითდაჯერება. სააკაშვილს თვითგვემა არ ჰქონია და საერთოდ არ აკრიტიკებდა თავის თავს. სამაგიეროდ, სუპერთავდაჯერება ჰქონდა.

***— თვითდაჯერებას არც ახალ ხელისუფლებაში უნდა უჩიოდნენ.***

— სამწუხაროა, რომ ამ ხელისუფლებაშიც არის თვითდაჯერება. ცუდია, რომ ისინიც ამ გზით წავიდნენ. თვლიან, რომ რაც გააკეთეს, ამაზე მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა. ამ რამდენიმე თვეში მართლაც წარმოუდგენლად ბევრი რამ გაკეთდა. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ქვეყნისთვის შანსი. ოღონდ მხოლოდ ერთ შემთხვევაში.

***— რა შემთხვევაში?***

— როცა პოზიცია, ოპოზიცია და ხალხი გაერთიანებული ვართ. თუ ვინმე ჩასაფრებულია ეს შანსი იკარგება. სააკაშვილი კი სწორედ ჩასაფრებული კაცია. სწორედ მის გამო ვერ ასრულებს ,,ქართული ოცნება“ იმ პროგრამას, რომელიც არჩევნებზე ჰქონდა. თამამად ვიტყვი იმასაც, რომ ასეთი კვალიფიციური და პატიოსანი მთავრობა საქართველოს მისი ისტორიის მანძილზე ჯერ არ ჰყოლია. ბევრზე ძალიან მწყდება გული მაგრამ მთავრობის პროფესიონალიზმზე არაფერს ვიტყვი.

***— ვისზე ან რაზე გწყდებათ გული?***

— ადამინურ ურთიერთობებზე მწყდება გული. ამ ხელისუფლებაში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებთანაც ვმეგობრობდი. ახლა ჩემს სატელეფონო ზარებსაც კი აღარ პასუხობენ. ეს ძალიან მწყინს, მაგრამ ამის გამო ახალი მთავრობის ლანძღვას არ დავიწყებ. მით უმეტეს, ვხედავ, რომ ძალიან ბევრ საქმეს აკეთებენ.

***— უკვე ორჯერ თქვით, რომ ბევრი რამე გააკეთეს. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ არაფერი არ გაუკეთებიათ?***

— ამ 6 თვის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებამ წარმოუდგენლად ბევრი რამე გააკეთა. ამდენი რამის გაკეთება ბევრი წარმატებული ქვეყნის მთავრობებსაც კი გაუჭირდებოდა. ამის მიუხედავად ვამბობ, რომ ივანიშვილის მთავრობას სამჯერ მეტის გაკეთება შეეძლო. ამისთვის მარტო პრემიერის ავტორიტეტი იყო საკმარისი. ის უდიდესი ნდობით სარგებლობს. მას განსაკუთრებით ის ხალხი ენდობა, ვისაც ფული აქვს. ეს პოტენციალი ჯერ გამოყენებული არ არის. განსაკუთრებით ის მომწონს, რომ ამ ხელისუფლებამ სოფელზე დაიწყო ზრუნვა. სააკაშვილის შანტაჟი რომ არა, კიდევ ბევრი იქნებოდა გაკეთებული. მეტის გაკეთებას რისკიანი გადაწყვეტილება სჭირდება.



***— ივანიშვილი კი რატომღაც ერიდება ამ რისკიან გადაწყვეტილებას?***

— მე მგონია, რომ ივანიშვილი ძალიან რისკიანი კაცია.

***— აბა, რატომ არ რისკავს?***

— ის, ალბათ, ელოდებოდა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც ცოტა ხნის წინ პარლამენტმა მიიღო. ის ელოდება კიდევ რამდენიმე კანონის მიღებას. ამის შემდეგ ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებს, რომ მის პარტიაშიც გაუკვირდებათ.

***— რა გადაწყვეტილებები იქნება?***

— ისეთი გადაწყვეტილებები იქნება, რომ ზოგიერთი მისი თანაპარტიელი აღარც მთავრობაში იქნება და აღარც პარტიაში. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ასე იქნება.

***— გინდათ თქვათ, რომ თავისიანებს დაერევა?***

— ის მიიღებს მეტად საჭირო და რისკიან გადაწყვეტილებებს. ვიღაცებს ალბათ გაუშვებს თავისი გუნდიდან. ვიღაცები ამას მართლაც იმსახურებენ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ვინმე გაყოყოჩდა. იმდენსაც ვერ ხვდებიან, რომ პრემიერის გუნდში ყოფნა არის პასუხისმგებლობა და არა გაყოყოჩების საფუძველი. ეს გაყოყოჩებული ხალხი ივანიშვილს პრობლემებს შეუქმნის. ამასთან, მთავარია, ხალხის ყურამდე ყველაფერი მივიდეს სწორად. ახალი მთავრობის წევრების ხელფასების გარშემო დიდი ამბავია ატეხილი. ზოგი ამტკიცებს, რომ ხელფასი გაიზარდეს. სინამდვილეში მინისტრების ხელფასი შემცირდა. სააკაშვილის დროს ისე იყო ყველაფერი ერთმანეთში არეული, რომ ვერ გაიგებდი, რა იყო ხელფასი და რა იყო პრემია. ეს ყველაფერი რომ გაირკვა, ძალიან კარგია. მთავრობაში ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს პრემიერ-მინისტრს. საკითხი უნდა დადგეს ასე, პრემიერს პენსიონერზე 20-ჯერ მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს. მე არ მესმის, რატომ უნდა ჰქონდეს მინისტრს პენსიონერზე 60-ჯერ მეტი ხელფასი. ეს ხომ იმ ქვეყანაში ხდება, სადაც ბიუჯეტი მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფულით ივსება. საქართველოში სამუშაო ადგილები იქცა ჯართად. მე არც კი ვიცოდი, საქართველოში ამდენი მეტალურგიული ქარხანა რომ არის.

***— რამდენი მეტალურგიული ქარხანაა?***

— თვლაც კი ამერია. ფოთშიც ყოფილა თურმე მეტალურგიული ქარხანა. თავის დროზე რუსთავში ააშენა სტალინმა მეტალურგიული ქარხანა და სულ მაგაზე ლანძღავდნენ. ახლა კი სადაც გაიხედავ, ყველგან მეტალურგიული ქარხანაა. ზესტაფონში 5-6 დაუმატებიათ, ქუთაისში — 3. ეს ქარხნები აქვთ ინდოელებს.

***— თავიანთ ქვეყანაში ვერ გადაამუშავებენ?***

— იქ კანონით აკრძალულია. ჩვენთან კი ყველაფერი ნებადართულია. სააკაშვილი რომ გაიძახის, ოკუპაციაო, მარტო რუსებმა მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია. გადით რუსთაველზე და აღმაშენებელზე. ქართულ ლაპარაკს ვერ გაიგონებთ. სულ უცხოელებს აქვთ იქაურობა მიტაცებული. თანაც ესენი ბიზნესმენები კი არ არიან. ამ ხალხს იმის ფულიც არა აქვთ, რომ რესტორანში ივახშმონ. ქუჩაში ჭამენ ხაჭაპურს. თავიანთ ქვეყანაში მათ სამუშაო ადგილებს ვერ უქმნიდნენ ამიტომაც მისცეს ფული და საქართველოში გამოუშვეს. აი, ამ ზომამდე მიიყვანა სააკაშვილმა საქართველო, რომელიც დღეს მთელ დასავლეთს აშანტაჟებს.

შორენა კოწოწაშვილი



# ვაჟა ოთარაშვილი: „რესპუბლიკელები მეჩეთოსნები არიან“

**რატომ ხდება თურქეთის ინტერესების გატარება საქართველოს ტერიტორიაზე და ვის შეჰყავს შეცდომაში ბიძინა ივანიშვილი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.**

***— ბატონო ვაჟა, რატომ გახდა საიდუმლო ვაშაძის წერილი და საქართველოს მთავრობის ეს პოზიცია 2008 წელს და შემდგომ, თუკი საქართველოს ხელისუფლება ითხოვდა რუსეთის ხელისუფლებისგან, რომ საქართველოში რუს კულტურის მოღვაწეებს კონცერტი გაემართათ?***

— რაც შეეხება „ერისიონს“, ამ ანსამბლის მოსკოვში ჩასვლა არის უმაღლესი პროფესიონალიზმისა და პატრიოტიზმის გამოვლინება. მათ კიდევ ერთხელ გაახსენეს ოკუპანტ რუსებს, რომელთაც დავიწყებული აქვთ ქართული კულტურაც და ისიც, რომ საქართველო არის მათსავით მართლმადიდებელი ქვეყანა; რომ საქართველო არის ძალიან დიდი სულიერი კულტურის მატარებელი. მათი გასტროლები ამ ცოტა ხნის წინ, მე პირადად, ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. მივესალმები ასეთ კულტურულ კავშირებს, რადგანაც სხვა გამოსავალი დღეს რუსეთთან ურთიერთობისა არ არსებობს. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ რუსეთთან გარკვეული მსოფლიო ბატონობისთვის მობილიზებული ძალების მიერ მოწყობილ ხრიკებს ავცდეთ და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა აღვადგინოთ. რაც შეეხება 2008 წელს ვაშაძის მიერ გაგზავნილ წერილს, ეს არის სააკაშვილის ფარისეველი მთავრობის — ნაციონალური მოძრაობის მზაკვარი და სამშობლოს მოღალატე მთავრობის ორმაგი სტანდარტი. გაგახსენებთ, პრეზიდენტის ბიძა, ცნობილი კაგებეშნიკი, თემურ ალასანია, პუტინის მთავარი მრჩეველი იყო სამხრეთ კავკასიის საკითხებში. ეს ის თემურ ალასანიაა, რომელიც დღეს საქართველოში არაერთ ბიზნესს ფლობს და წილშია. სააკაშვილმა სწორედ ეს ადამიანი ჩამოუყვანა რუსეთიდან ვაშაძეს მთავარ დამრიგებლად. გვავიწყდება, რომ ეს კავშირი შემთხვევით არ ხდება. როდესაც ვაშაძის წერილი ამოვარდა, როგორ ამოვარდა, ეს სხვა საკითხია, ყველას დაავიწყდა, რომ ვაშაძის მრჩეველი პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია იყო — რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსანი. აი, ასეთი ორმაგი სტანდარტით სააკაშვილის ბანდამ ოკუპანტ რუსეთს 49 წლით გადასცა „ენგურჰესი“, როდესაც აგვისტოს ომი, თუ არ ვცდები, ათი დღის დამთავრებული იყო, აღარაფერს ვამბობ ბენდუქიძეზე, რომელსაც ერთ ლარად გადასცა რამდენიმე უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებელი. სამარცხვინოა, როდესაც ასეთ რუსოფილზე, რუსეთის ემისარზე, როგორიც კახა ბენდუქიძეა და როგორი კრიმინალიც ის არის, მოხდა სახელმწიფო ქონების ფაქტობრივად ჩუქება. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მოხდა სააკაშვილის თანხმობით, რომელზეც არაერთხელ მითქვამს; სააკაშვილი არის პოლიტიკური მეძავი, რომელიც დღისით რუსეთთან წევს, ღამით — ამერიკასთან. ამიტომაც ეს, ჩემი აზრით, მოძველებული თემაა. შეიძლება, ბევრი ასეთი დოკუმენტი გამოჩნდეს. ყოველთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის სომეხი ეროვნების საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან მიშა ტერ სააკიანს, საქართველოს პრეზიდენტყოფილს, კუდები ჰქონდა გადაფსკვნილი. ამას ხაზგასმით ვაცხადებ. აი, აქედან მიდის ეს წერილები. კიდევ ბევრ ასეთ წერილს აღმოაჩენენ. ასეთი წერილების გამომზეურება არის მოსახლეობის ზომბირება, რომ ქართველი საზოგადოება ძირითად პრობლემებს მოსწყვიტონ და ყურადღება მიაქცევინონ მეორად, უკვე ჩავლილ და დრომოჭმულ ამბებზე.

***— თქვენი შეხედულებით, რა არის დღეს ძირითადი პრობლემა და რისი მიჩქმალვა შეიძლება აწყობდეს ვინმეს?***

— ძირითადი პრობლემა ის არის, რასაც, სამწუხაროდ, არც ერთი არხი არ აშუქებს, „ობიექტივის“ გარდა, თვით საპატრიარქოს ტელევიზიაც კი. ეს არის ის საკითხი, რომ აჭარა ყველას თვალწინ თურქეთს გადაეცემა, რომ იწყება საქართველოს გაყიდვის, დანაწევრების პროცესი აჭარიდან.

***— ეს ახალი ხელისუფლების პირობებში ხდება? წინა ხელისუფლების დროს ამაზე არაერთი განცხადება იყო.***

— ეს წინა ხელისუფლების პირობებში დაიწყო და ახალი ხელისუფლება აგრძელებს. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ახალ ხელისუფლებაში ე.წ. მეჩეთოსნები არიან. ესენი არიან კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი რესპუბლიკელები.

***— რატომ არიან რესპუბლიკელები მეჩეთოსნები?***

— იმიტომ, რომ მათი განცხადებები არის ანტიქართული სახელმწიფო პოლიტიკა. ეს არის სულგაყიდული პოლიტიკოსების განცხადებები. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოს ვინ გაყიდის, ნაციონალები, რესპუბლიკელები თუ სხვები. ყველა ესენი ჩემი მტრები იქნებიან. ჩემთვის სამშობლო უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ძალა ან პოლიტიკური ლიდერი.

***— რას გულისხმობთ ფრაზაში: „აჭარა თურქების ხელში გადადის“?***

— ვგულისხმობ შემდეგს: ამ ორიოდე დღის წინ ბათუმში ჩატარდა აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მინისტერიალი. ამ განცხადების საფუძველს მაძლევს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ახმედ დავიდ ოღლუს განცხადება, რომელიც ამბობს, რომ თურმე საჭიროა ოსმალური კულტურის ძეგლების დაცვა საქართველოში და მეჩეთის აშენება ბათუმის ცენტრში, რომელზეც თურმე პირობა დადო ბიძინა ივანიშვილმა. კიდევ ვამბობ: ბიძინა ივანიშვილი შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში და მასზე ზეწოლას ახორციელებენ, როგორც ჩანს, ეს მეჩეთოსანი რესპუბლიკელები. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მეჩეთის აშენება და რატომ: მეჩეთი თურქეთისთვის არ არის მარტო სასულიერო რიტუალური შენობა. ეს არის კულტურის ცენტრი, ეს არის სავაჭრო ცენტრი და ეს არის პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი შენობა. გადავხედოთ ისტორიას თურქეთთან მიმართებით. ახლა გამახსენდა ნიკო ბერძენიშვილის სიტყვები: ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა. რატომღაც პატრიოტიზმი ჩვენმა პოლიტიკოსებმა დიდი ხანია დაკარგეს. დაგვავიწყდა, რომ საქართველოში სანამ რუსეთი მეფობას გააუქმებდა, ირანმაც კი ვერ შეძლო მეფობის გაუქმება საქართველოში. თურქებმა 1727 წელს ქართლში მეფობა გააუქმეს. ეს უნდა გავიხსენოთ. ისტორია არის ჩვენი მომავლის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. 1723 წელს, როცა საქართველოში თურქები შემოვიდნენ, პირველი, რაც გააკეთეს, იყო მეფობის გაუქმება. უფრო მეტს გეტყვით, 1727 წელს რომ არ ემარჯვა გივი ამილახვარს, სიონის ეკლესიის დანგრევა იყო გადაწყვეტილი — გუმბათის მონგრევა და მეჩეთად გადაკეთება. ეს არის ცნობილი ფაქტი, დაბეჭდეთ, რომ ხალხმა გაიგოს, გაახსენეთ საქართველოს, რა გზა გამოვიარეთ და ვისთან როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს. ერმა ისტორიული მეხსიერება არ უნდა დაკარგოს. თურქი ისაყ ფაშას ხელმძღვანელობით იყო დაწყებული სიონის საკათედრო ტაძრის გადაკეთება 1727 წელს და გივი ამილახვარმა დიდძალი ოქრო-ვერცხლი მიართვა მას, ოღონდ ტაძარს ნუ გადააკეთებო. როგორც მეისტორიე წერს: 12 ჯორი იყო აღკაზმული ამ ოქრო-ვერცხლით და მარგალიტებით. სიონი ასე გადარჩა. სამწუხაროდ, დღეს აღარც გივი ამილახვარია ცოცხალი, აღარც ვახტანგ აბაშიძე, რომ ოსმალების შემოსევისგან ქართველი ხალხი დაიცვას.

***— ანუ ფიქრობთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში არასწორი სამეზობლო პოლიტიკა ხორციელდება მეზობელ თურქეთთან?***

— ნამდვილად არასწორი პოლიტიკაა. ბათუმის ცენტრი გაყიდულია თურქებზე კაპიკებად. აჭარელ კაცს, ფაქტობრივად, მიწა-წყალი აღარ გააჩნია, ძირითადად თურქების ხელშია. ეს დაიწყო სააკაშვილის ანტიქარული ხელისუფლების დროს, მასობრივად 2004 წელს. ახლა ეს პროცესი ლამის ზენიტშია პაატა ზაქარეიშვილისა და სხვების განცხადებების შემდგომ. თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა, ალბათ, 5 წელიწადში საქმე იქამდე მივა, რომ აჭარაში ქართველის დანახვა გაგვიხარდება. უკვე აღარ არსებობს ქართული ქალაქი ბათუმი. ეს საშინელებაა ისეთი პატარა ერისთვის, როგორიც საქართველო და ქართველი ერია.

***— ასეთ პირობებში რას ურჩევდით ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას?***

— ვურჩევდი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, რომელიც უკიჟინებს პრემიერ-მინისტრს, რომ თურმე პარლამენტში იურისტები უნდა იყვნენ. პარლამენტში უნდა იყვნენ პატრიოტები, რომლებსაც თავიანთი სამშობლო უყვართ და იციან, რა ქვეყანაში ცხოვრობენ. თუ პოლიტიკური პროცესი ასე გაგრძელდა, საქართველო ხელიდან გამოგვეცლება. ხალხს იმედები უცრუვდება.

***— ბატონო ვაჟა, პატრიოტიზმი კარგია, მაგრამ, ფაქტია, საკანონმდებლო ორგანოში იურისტებიც და ეკონომისტებიც საჭიროა კანონების მისაღებად. უმრავლესობა რომ სუსტია, ეს ივანიშვილმაც აღიარა და უსუფაშვილმაც.***

— საკანონმდებლო ორგანოში კანონმდებლები ყოველთვის იქნებიან. პარლამენტს გააჩნია თავისი იურიდიული სამსახური. არის იუსტიციის სამინისტრო, რომელსაც აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამიტომ, ნუ გვეუბნებიან, რომ პარლამენტში მხოლოდ იურისტები უნდა იყვნენ. პარლამენტარის პირველი ნიშანი უნდა იყოს პატრიოტიზმი. პირველი ნიშანი ქართველი პოლიტიკოსისა უნდა იყოს სამშობლოს სიყვარული და მერე დანარჩენი. ტყუილია, რომ 99% იურისტები უნდა ისხდნენ პარლამენტში. რას მელაპარაკებით, მე ყოფილი პარლამენტარი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რა და როგორ უნდა იყოს. პარლამენტში სულგაყიდული პოლიტიკოსებისა და უცხო ქვეყნების აგენტების ადგილი არ არის.

სს “ქართული ფოლადი“
JSC “GEORGIAN STEEL”

**შ.პ.ს. “რუთავის ფოლადის“ კონტრაგენტ ფირმებსა და ყველა კომერციულ ბანკს**

მოგესალმებით,
სულ რამდენიმე თვეა საშუალება მომეცა მოგმართოთ როგორც ს.ს. „ქართული ფოლადის“ დირექტორმა და საზოგადოების აქციონერის ლეგიტიმურმა წარმომადგენელმა.

2011 წლის 6 ივლისიდან ამ საზოგადოებების მიმართ განხორციელდა კრიმინალური და ძალადობრივი ქმედებების მთელი ჯაჭვი, რომლის მეშვეობით ამ უკანონობის, ძალადობისა და მაქინაციების შემოქმედებმა შეძლეს ორი სააქციო საზოგადოების — ს.ს. „ქართული ფოლადისა“ და ს.ს. „თუჯი XXI“-ის აქტივები შ.პ.ს. „რუსთავის ფოლადის“ (ს/კ 404411908) მფლობელობაში გადაეცათ.

დღეს მდგომარეობა ასეთია: ჩვენი მოთხოვნით სასამართლომ დააყადაღა შ.პ.ს. „ რუსთავის ფოლადის“ მთლიანი აქტივები და „თუჯი XX1“-ის აქციები!

პროკურატურის ორგანოებში მიმდინარეობს გამოძიება ქონების სავარაუდო მითვისებისა და თაღლითობის ფაქტებზე!

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ, თავი შეიკავოთ ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობისაგან შ.პ.ს. „რუსთავის ფოლადთან“ და მასთან დაკავშირებულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან, რაც უკავშირდება ს.ს. „ქართული ფოლადისა“ და ს.ს. „თუჯი XXI“-ის აქტივებს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიერ განხორციელებული ქმედება განიხილება როგორც ლეგიტიმური მესაკუთრის უფლებების დარღვევა და მისთვის ზიანის მიყენების შეგნებული მცდელობა.

სამართლიანობის აღდგენის შემდეგ ს.ს. „ქართული ფოლადი“ და ს.ს. „თუჯი XXI“ არ აპირებს კაბალური და უკანონო ხელშეკრულებების და შ.პ.ს. „რუსთავის ფოლადის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ჩვენ მზად ვართ შეხვედრისა და დამატებითი კონსულტაციებისთვის!

**პატივისცემით,**
**ს.ს. „ქართული ფოლადის“ დირექტორი**
**ნათია ჯაყელი**

**საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო (ს/კ 0179). თბილისი. ჭავჭავაძის გამზირი№21. საფოსტო ყუთი №2.**
**ტელ: +995 577121311.**
**ელ-ფოსტა: n.jakeli@georgiansteel.com**

# საპატრიარქო ბიუჯეტიდან მიღებული 25 მლნ ლარის განკარგვაზე განცხადებას ავრცელებს

საპატრიარქო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული 25 მილიონი ლარის განკარგვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში წარმოდგენილია, თუ კონკრეტულად სად და როგორ ნაწილდება აღნიშნული 25 000 000 ლარი .

„სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით რამდენიმე დღე მიმდინარეობდა მსჯელობა სახელმწიფოს მხრიდან 25 მილიონი ლარით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების შესახებ და იყო მცდელობა იმისა, რომ საზოგადოებას უარყოფითი განწყობა შექმნოდა ამ თანხის გამოყოფის გამო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

საერთოდ, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების პირდაპირი ან ირიბი (ხელფასები სასულიერო პირებისათვის, ზრუნვა მათ საყოფაცხოვრებო პირობებზე, გრანტები, ფინანსური შეღავათები და სხვ.) დაფინანსება ჩვეულებრივი პრაქტიკაა დემოკრატიული ქვეყნების და, მათ შორის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებისთვის. ამასთან, ამ მიზნით იქ გაცილებით დიდი ფინანსები გაიცემა და ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში არც აგრესიულ ათეიზმს და არც კომუნისტურ ეპოქას ადგილი არ ჰქონია.

2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით (XI მუხლი), სახელმწიფო აღიარებს XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში, კომუნისტური რეპრესიების დროს, ეკლესიისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას.

ჩვენის მხრიდანაც არა ერთხელ იქნა განმარტებული, რომ საპატრიარქო სახელმწიფოსგან თანხას სწორედ ამ სახით იღებს. ამდენად იგი არ წარმოადგენს დახმარებას, როგორც ეს გაფორმდა წინა ხელისუფლების მიერ, არამედ, — მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებას; ვიმედოვნებთ, ხელისუფლება მომავალში სწორედ ამ ფორმულირებას მიანიჭებს მას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა არ არის მიზნობრივი და მის განკარგვაში ეკლესია თავისუფალია, ჩვენ, გავითვალისწინეთ რა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, არ მოვიხმარეთ იგი საკუთარი საჭიროებისათვის (თუმცა სოფლად, განსაკუთრებით მთის რეგიონში, მოღვაწე სასულიერო პირების შემოსავალი მეტად მწირია, ასევე საპატრიარქოს თანამშრომლების ხელფასებიც მიზერული, — 180 ლარიდან 220 ლარამდე) და ვამჯობინეთ გადასახადის გადამხდელთა თანხები, ჩვენის აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ორი მიმართულებით, — სოციალური და საგანმანათლებლო საქმიანობით, — ისევ ხალხისთვის დაგვებრუნებინა.

რატომღაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეკლესია ასაიდუმლოებს 25 000 000 ლარის განკარგვას, მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირთ ისედაც შეუძლიათ მასალა იხილონ ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ფული ხელზე არავის მიეცემა, არამედ ერიცხებათ კონკრეტული დანიშნულებით, ნაწილ-ნაწილ, წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით და ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლდება.

სულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ 90-მდე სასწავლო დაწესებულებაში 17 918 მოსწავლეა, რომელთაგან 856 მუდმივად ცხოვრობს პანსიონში, 525 ბავშვთა სახლებშია, 130 მოხუცებულთა თავშესაფარში, ამათ ყველას 2119 თანამშრომელი ემსახურება, რომელთგან 1364 პედაგოგია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ, ხელფასების გარდა, ეკლესიამ უნდა უზრუნველყოს სათანადო შენობების აგება, მათი კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა, კომუნალური ხარჯების დაფარვა და სათანადო კვება, ბუნებრივია, რომ გამოყოფილი თანხა ამას არ ეყოფა და არც ყოფნის. ამიტომაც რიგი სასწავლებლები მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდება და ისინი იძულებულნი არიან, შემოსავლის სხვა წყაროები მოიძიონ.

აღნიშნული აქტიურობების გარდა და მწირი შემოსავლის მიუხედავად, ჩვენ არაერთ სხვა საქველმოქმედო საქმიანობასაც ვეწევით, მაგრამ სახარებისეული პრინციპიდან გამომდინარე, — „მარჯვენამ არა იცოდეს, რასა იქმს მარცხენა,“ ხმაურს არასოდეს ვტეხდით; თუმცა, ბოლო დროინდელმა მოვლენებმა და ბოლოს, კამპანია, რომელიც აგორდა მუსლიმურ ოჯახში დაბადებული გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო, კარგია რომ საზოგადოებამ გაითავისა, მაგრამ შხამიანი ისრების დამიზნება, რატომღაც ძირითადად საპატრიარქოსთვის უნდოდათ. საქართველოში ყველა ბუნებრივი პირობაა იმისათვის, რომ შიმშილით არც ბავშვი გარდაიცვალოს და არც მოხუცებული, არც სანაგვეში ეძებოს ვინმემ ლუკმა-პური. საყოველთაო გაჭირვების მიზეზი რომ ეკლესიისთვის გადმორიცხული და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის „დაკლებული“ 25 მილიონი ლარი არ არის, ვგონებთ, ცხადზე ცხადია; ცხადია ისიც, რომ ეს ყველაფერი ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული მორიგი შემოტევის ნაწილია, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ყოველთვის, ახლაც „მოწოდების სიმაღლეზე“ აღმოჩნდა“, — ნათქვამია განცხადებაში.

**ათბ-ნიუსი**

# ილია II: „პარლამენტის წევრებს ავიწყდებათ, რომ მათ უკან არის სამშობლო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლიც თუ დაინგრა, ყველაფერი გაქრება და ჩვენც აღარ ვიქნებით. ამიტომ სამშობლოს უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინს“, — აღნიშნა ილია II.

მისივე თქმით, შეიძლება მსოფლიოში წესია, რომ არსებობდეს ოპოზიცია, მაგრამ ნებისმიერი პარტია და ადამიანი უნდა ემსახურებოდეს გაჭირვებულ ხალხს, სამშობლოს.

„ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ მოგვცეს ხედვა, თუ სად არის გაჭირვება, სიყვარული, სიხარული, ბოროტება და ორგულობა. ეს უნდა გაარჩიოს ჩვენმა ხალხმა“, — აღნიშნა უწმინდესმა.

**მედიანიუსი**

# მანანა კობახიძე: „ნაციონალებს სამსახურიდან არ უნდა ყრიდნენ“

საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად გაზიარებაზე საუბრობს, თუმცა საპარლამენტო უმცირესობა მაინც ამ რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობაზე საუბრობს. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის მანანა კობახიძის განცხადებით, საერთო სასამართლოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე საუბრისას უკვე იქამდე მივდივართ, რომ, მგონი, ნაციონალურ მოძრაობას არ მოსწონს, პარლამენტში უმრავლესობას „ქართული ოცნება“ რომ წარმოადგენს.

„ქართული ოცნების“ წევრი აცხადებს, რომ უმრავლესობა ნაცმოძრაობის ვერც ერთ ბრალდებას ვერ გაიზიარებს და უსაფუძვლოა ნაცმოძრაობის კრიტიკა ამ მიმართულებით, ისე, როგორც სხვა ნებისმიერი მიმართულებით.

აგებენ თუ არა პასუხს სისხლის სამართლის წესით სამსახურიდან იძულებით გათავისუფლებისთვის საჯარო მოხელეები და ნეპოტიზმის ნიშნებია თუ არა „ქართული ოცნების“ მმართველობაში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძესთან.

შორენა კოწოწაშვილი

*— ქალბატონო მანანა, რამდენად იქნება დამოუკიდებელი ახალი იუსტიციის უმაღლესი საბჭო და რამდენად სრულად გაიზიარა ხელისუფლებამ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები? უმცირესობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი ამ რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობაზე საუბრობს.*

— რა თქმა უნდა, სრული დამოუკიდებლობა, აბსოლუტური დამოუკიდებლობა ანუ იდეალური, ბუნებაში ნამდვილად ვერ იარსებებს. აქ საუბარია იმაზე, რომ სასამართლო ხელისუფლება, აღმასრულებელი და საკანონდებლო ხელისუფლება უნდა აწონასწორებდეს ერთმანეთს, მათ შორის წონასწორობა უნდა იყოს და ბალანსი დაცული. არ უნდა იყოს უხეში ჩარევის და ნებისმიერი ჩარევის შესაძლებლობა მართლმსაჯულებაში არც ერთი და არც მეორე ხელისუფლების მხრიდან. არის მთელი რიგი საერთაშორისო პრინციპები, რომელიც იცავს და აღიარებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. თუმცა, ის, რომ თავისთავად, გარკვეული დანიშვნის წესებში, რა თქმა უნდა, პარლამენტი მონაწილეობას მიიღებს, ეს არის ცხადი. მოსამართლეები, დიახაც, ან უნდა დაინიშნონ და ამის სხვადასხვა წესია. როდესაც პარლამენტმა თავის დროზე აირჩია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს წვერები, მაშინ უმრავლესობაში ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ. მათ ჰქონდათ საკონსტიტუციო უმრავლესობა. თუ ამ ლოგიკით მივუდგებით, მაშინ ძალიან მაინტერესებს, რამდენად დამოუკიდებლად შეიძლება შეფასდეს უზენაესი სასამართლოს დღევანდელი შემადგენლობა, რამდენად მიუკერძოებლად სწორედ ნაციონალური მოძრაობისგან, რომელმაც ეს ხალხი სასამართლო ხელისუფლებაში აირჩია. მაშინ სხვა რეალობა იყო. საკონსტიტუციო უმრავლესობა ნაცმოძრაობას ჰქონდა. ამ შემთხვევაში ბევრად სხვა სიტუაციაა. ჩვენ არ გვაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა. როდესაც ნაციონალები ასეთ დონეზე გვაკრიტიკებენ, მე მათთან მაქვს შემხვედრი კითხვა: აი, ის შემადგენლობა, დავანებოთ თავი ქვედა ინსტანციის სასამართლოებს, ის შემადგენლობა, რომელიც არის დღეს უზენაეს სასამართლოში თავისი თავმჯდომარით, როდესაც ხდებოდა პირდაპირ პროკურატურის სისტემიდან მოსამართლეების მოყვანა; როდესაც ამას მხარს უჭერდა მაშინდელი საპარლამენტო უმრავლესობა და ნაცმოძრაობა, ითვლება თუ არა და უნდა ჩაითვალონ თუ არა ეს მოსამართლეები დამოუკიდებლად და თავისუფლად პოლიტიკური გავლენისგან. ჩვენ ასე თუ გავყვებით, უბრალოდ, ჩიხში შევალთ. გამოდის, საერთოდ აღარ უნდა დავნიშნოთ მოსამართლეები, აღარ უნდა ავირჩიოთ. მაგრამ აქ საუბარია არა მოსამართლეებზე, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებზე. მოსამართლე წევრების ნაწილში აბსოლუტური შეთანხმებაა, სრული კონსენსუსია მიღწეული თვითონ სასამართლო ხელისუფლებასთან და დიალოგი შედგა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და ჩვენი კოალიციის ლიდერ, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის. ვფიქრობ, ძალიან კარგია, რომ სასამართლო ხელისუფლება სწორედაც დაეთანხმა ცვლილებების იმ მოდელს, რომელიც შეთავაზებული იყო უმრავლესობის მიერ და მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ვენეციის კომისიის დასკვნები, რეკომენდაციები. ამ შემთხვევაში, თუკი საქმე ეხება 6 წევრის არჩევას, ძველი მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ ასე წერია — პარლამენტის ორი წევრი უმრავლესობიდან და ერთი წევრი უმცირესობიდან მონაწილეობდა იუსტიციის საბჭოში. ჩვენგან, მაგალითად, ეს გახლავთ ზაქარია ქუცნაშვილი და შალვა შავგულიძე ანუ პირდაპირ პარლამენტის წევრს შეეძლო წარმოდგენილი ყოფილიყო იუსტიციის საბჭოში. უმრავლესობა, ასე ვთქვათ, პირდაპირ ირჩევდა თავის წარმომადგენელს ანუ ერთი იყო უმცირესობიდან, ორი უმრავლესობიდან. ასეთი იყო მოდელი. ამ შემთხვევაში, როგორ არის საქმე? ანუ პირდაპირ პარლამენტის წარმომადგენელი უმრავლესობიდან მონაწილეობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ჩვენ ეს მოდელი ბევრად გავაუმჯობესეთ და გავაჯანსაღეთ. ვთქვით, რომ საერთოდ არ უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები წარმოდგენილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ეს ორგანო უნდა იყოს დაკომპლექტებული უმრავლესობით მოსამართლეებისგან, უმცირესობა — მათში 6 წევრი უნდა შეადგენდეს არა რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, არამედ საზოგადოებაში ძალიან კარგად ცნობილი მაღალი რანგის, მაღალი და შეუვალი რეპუტაციის, მაღალი ნდობით აღჭურვილი პირები, იურისტები, რომლებსაც შეარჩევს პარლამენტი და მხარს დაუჭერს. როგორც ჩვენ ჩვეულებრივ რეჟიმში ვიღებთ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ თანამდებობის პირის არჩევის შემთხვევაში, როცა ეს ეხება სწორედ პარლამენტის მიერ პირის არჩევას. ახლა ის, რომ უმრავლესობას „ქართული ოცნება“ წარმოადგენს, ეს ქართველი ხალხის და ჩვენი ამომრჩევლის არჩევანია. ასეთი რეალობაა. დარწმუნებული ვარ, ეს 6 ადამიანი შეირჩევა სწორედ ძალიან მაღალი კრიტერიუმებით. ისეთი კანდიდატურები შეურჩევიათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად, რომელზეც ვერც უმცირესობა და ვერც უმრავლესობა ვერ იტყვის, რომ ისინი რაიმე ფორმით არიან მიკერძოებულები; ის, ვინც იქნება ქართულ სინამდვილეში და იქნება მაღალი რანგის იურისტი. ჩვენ მაქსიმალურად ვიზიარებთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და ეს კვორუმი იქნება მაქსიმალურად მაღალი, ორი მესამედი. ის, ვინც, დავუშვათ, ვერ აირჩა, უნდა აირჩეს 75 წევრის უმრავლესობით. თუ ვერ აირჩა ორი მესამედით, რა ვქნათ, დავტოვოთ ვაკუუმი? კიდევ მეტ დათმობაზე მივდივართ და ვამბობთ, ორი წევრი დიახაც აირჩეს ორი მესამედით. ანუ ორ წევრზე იქნება მაქსიმალური კონსენსუსი მიღწეული. ამაზე უკეთესი გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს. მაშინ პირდაპირ თქვან ნაციონალური მოძრაობის წვერებმა, რომ საერთოდ არ სურთ „ქართული ოცნების“ მონაწილეობა ამ საქმეში. ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი, ჩვენ ვართ უმრავლესობაში. ეს ლოგიკა, რაც მათ ამოძრავებთ მთელი ეს დღეებია, აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაქსიმალურად სრულად იქნა გაზიარებული ვენეციის კომისიის მითითებები და მით უმეტეს, ბევრჯერ ითქვა, რომ ეს არ არის საკანონმდებლო ძალის მქონე დოკუმენტი, ეს არის რეკომენდაცია. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ განსხვავებით ნაცმოძრაობისაგან, რომელიც 9 წლის განმავლობაში არა თუ რომელიმე კანონში, არამედ თავად კონსტიტუციაშიც ისე იღებდა ცვლილებებს, რომ ვენეციის კომისიის დასკვნებს არად დაუდევდა, გავიზიაროთ მათი რეკომენდაციები. წინა ხელისუფლება ძალიან ხშირ შემთხვევაში არღვევდა ვენეციის კომისიის მითითებებს. მაშინ ნაციონალებს, სამწუხაროდ, ეს ორგანო არაფრად მიაჩნდათ. ის კი არა ევროპის საბჭოსთან მიმართებაში თავის დროზე ძალიან უხეშ განცხადებებს აკეთებდა სააკაშვილი. ევროსაბჭო ვინ არის, რა არის?! ის უბრალო ორგანოა, რომელიც თურმე ადამიანის უფლებების დასაცავად თავის დროზე შეიქმნა, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და მათ მითითებებს არ გავიზიარებთო. ამოიღეთ ძველი კადრები და ნახეთ, როგორი მიდგომები ჰქონდა ნაცმოძრაობას.



*— საპარლამენტო უმცირესობის წევრები აცხადებენ, რომ ყოველ პარასკევს ხდება საკრებულოს ნაციონალი წევრების პროკურატურაში დაბარება და პოლიტიკური ნიშნით დევნა გრძელდება...*

— მე რამდენადაც ვიცი, ბატონმა უსუფაშვილმა გააკეთა განცხადება და როგორც ვიცი, საკრებულოს წარმომადგენლებს შეხვდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არანაირი პრობლემა არ ექნებოდა კომუნიკაციის კუთხით პირადად მასთან თუ ასეთ ფაქტებს ადგილი მართლაც აქვს. რაც შეეხება ზეწოლებს, მოდით, გამოვიდნენ პირადად ის ადამიანები, ვინც თვლიან, რომ არიან ამ ზეწოლის მსხვერპლები და თქვან, ვისზე რა სახის ზეწოლაა განხორციელებული, ვინ ახორციელებს ამ ზეწოლას და რა ფორმით. ვერაფრით ვერ გავიზიარებ ამას. თუკი თავის დროზე, სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის გარკვეულ წევრებს ჩადენილი აქვთ დანაშაული, თუკი მათ მიმართ გამოძიებას მთელი ამ თვეების განმავლობაში აქვს კითხვები, ეს საქმეები უნდა იქნეს გამოძიებული. თუ გარკვეულ საკითხებზე ინფორმაციას ფლობს საკრებულოს წევრი, მე არ მესმის, რაც იმუნიტეტი აქვს მას, რომ ის არ იყოს გამოძახებული და დაკითხული. პირიქით, ყველაზე მეტი ვალდებულება დიახაც, საჯარო მოხელეებს გააჩნიათ. მათ შეუძლიათ დაეხმარონ გამოძიებას, მისცენ ჩვენებები. ეს იქნება საბიუჯეტო თანხების მითვისება, რაღაც თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტება თუ ბოროტად გამოყენება, სხვადასხვა სამოხელეო დანაშაულები თუ ფინანსური დანაშაულები, რომელსაც სამწუხაროდ, სჩადიოდნენ გარკვეული პირები თავისი თანამდებობიდან გამომდინარე. დიახაც, გამოძიება უნდა წარიმართოც. ჩვენ საზოგადოება გვთხოვს ყველა ის საქმე იქნეს გამოძიებული, რომელზეც საჯარო ინტერესია და საზოგადოების ინტერესებს ეხება. ეს საქმეები აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული და საზოგადოება ითხოვს ამ პროცესის დაჩქარებას. ის პირები, ვინც იყო ამ დანაშაულთან დაკავშირებული სხვადასხვა ფორმით — ზოგი შემკვეთი, ზოგი თანამონაწილე უნდა დაიკითხონ და მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. პროცესი ისე უნდა წარიმართოს, როგორც ამას კანონი ითხოვს. არავის არ იცავს იმუნიტეტი, არც თბილისის მერს, არც საკრებულოს წევრს, სხვათა შორის, არც პრეზიდენტს. თუ საჭიროება მოითხოვს, და თუ მას რაიმე ინფორმაცია აქვს რომელიმე დანაშაულთან დაკავშირებით, კეთილი ინებოს და გამოძიებასთან ითანამშრომლოს. ასე ხდება დემოკრატულ ქვეყნებში.

***— რა შეგიძლიათ თქვათ დეპუტატ ირმა ნადირაშვილის ბრალდებაზე, რომელიც აცხადებს, რომ პოლიტიკური ნიშნით ხდება ადამიანების საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლება?***

— იგივე მაქვს პასუხი ნადირაშვილის ამ განცხადებაზეც. ნებისმეირ გათავისუფლებას, დარწმუნებული ვარ, ჰქონდა თავისი საფუძველი. კუბლაშვილი და ნადირაშვილი, არ ვიცი, ზუსტად რა ციფრს, მგონი, 15 000-ს ასახელებენ. გამოვიდნენ ეს ადამიანები, ვინც თვლის, რომ არის ამ ხელისუფლების მსხვერპლი ანუ ვინც თვლის, რომ ვიღაც მასზე ძალადობს და აიძულებს, განცხადება დაწეროს. ჩვენ ამ მიმართულებით სს კოდექსიც გავამკაცრეთ და სამსახურიდან განცხადების დაწერაზე, ამ ფორმით იძულება არის კრიმინალიზებული და არის დანაშაული. ეს ისედაც იყო დანაშაული. ახლა კვალიფიკაცია უფრო დაზუსტდა. შრომით ურთიერთობებში ასეთი სახის იძულება ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. თუ არიან დაზარალებულები, განაცხადონ, მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს და დაიწყება გამოძიება. იმიტომ, რომ გაუთავებლად გვესმის მათი ეს განცხადებები 1 ოქტომბრის შემდეგ. თუ ასეთი რამ ხდებოდა, რომ ადამიანებს სამსახურიდან ათავისუფლებდნენ პოლიტიკური ნიშნით, ეს არის ძალიან ცუდი. მაგრამ თუ ადამიანს ჰქონდა გადაცდომა და თავის მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებდა, ხელმძღვანელს, რა თქმა უნდა, შეუძლია მისი შეცვლა. პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება მოხდება. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ უნდა დამთავრებულიყო პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა და ასეც არის. ჩემი ოჯახის წევრის მიმართაც დაიწყო ირმა ნადირაშვილმა კრიტიკა, თითქოს ის გახდა აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე. ჯანდაცვის მინისტრს უფლება აქვს, მისი პირველი მოადგილე თუ მოადგილე შეარჩიოს თავისი შეხედულებით. ეს არ არის ის თანამდებობა, რომელზეც კონკურსი უნდა გამოცხადდეს. მისი მეუღლე, რამდენადაც ვიცი, დღემდე დიდუბის გამგებელია. როდესაც ქვებს აქეთ ისვრიან, თავიანთ თავში ჩაიხედონ. პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა სკოლის პედაგოგებისა და დირექტორების გათავისუფლება. ჩამოვიდეს ჩემთან ერთად საჩხერეში ირმა ნადირაშვილი და პასუხი გასცეს იმ დირექტორებს, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. საით იშვერენ ხელს, როცა თვითონ აქვთ ეს უსამართლობა ჩადენილი?! ჩვენ დღემდე ვერ აღვადგინეთ ამ კუთხით სამართლიანობა, რადგან ნაციონალებს უკვე დანიშნული ჰყავთ ამ ადგილებზე სხვა მასწავლებლები და დირექტორები.

***— პირადად თუ დაინტერესდებით პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების საკითხით?***

— ძალიან ცუდია, თუ ვინმეს რომელიმე თანამდებობის პირი იმის გამო თავისუფლებს სამსახურიდან, რომ ის იყო ნაცმოძრაობის აქტივისტი ან მხარდამჭერი. რა თქმა უნდა, პირადად დავინტერესდები ამ ფაქტებით, დავინტერესდები, ვის მიმართ იყო ასეთი განცხადება გაკეთებული. ჩვენ ამბიცია გვაქვს, რომ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს სამართლიან გარემოში, მიუხედავად იმისა, რომ არც საარჩევნო კოდექსი შეცვლილა და არც საარჩევნო კომისია. ყველა კანდიდატს უნდა მიეცეს საარჩევნო კამპანია, ჩაატაროს თავისუფლად. არავის აღარ დაუდარაჯდება მანქანა და არავის შეახსენებენ, რომ ამსა პრობაციონერი შვილი ყავს. თუ ასეთ ფაქტს ადგილი ექნება, ამის გამკეთებელი მკაცრად დაისჯება.

***— საერთო სასამართლოებს რომ დავუბრუნდეთ, მართლაც სრულად გაიზიარეთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და კენჭისყრა ამ საკითხზე მოხდება?***

— სრულად გავიზიარეთ. შემდეგი კვირა სასესიო კვირაა და კენჭისყრა ალბათ მოხდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მივიღოთ ხარისხიანი მართლმსაჯულება.

# დავით კუპრეიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი უნდა ჩაატაროს“

## აქამდე საქართველოს პარლამენტი არ ჰყოლია

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრთან, იურისტ დავით კუპრეიშვილთან

*— როგორ შეაფასებთ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სარეიტინგო კენჭისყრას და აქვე შეგეკითხებით, აპირებს თუ არა კოალიცია კომპრომისებზე წასვლას ამჯერად უკვე საერთო სასამართლოების შესახებ კანონთან დაკავშირებით?*

— არავითარი მნიშვნელობა ამ სარეიტინგო კენჭისყრას არ ჰქონდა, ვინაიდან, ფაქტობრივად, ეს იყო შემოწმება კანონპროექტის მიღების წინ. მას რამდენი ადამიანი უჭერს მხარს. ამიტომ „ქართული ოცნებისთვის“ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, სარეიტინგო კენჭისყრა იქნებოდა თუ არა. ეს სპექტაკლი ნაციონალებმა მოაწყვეს, რათა საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, როგორ შეუძლიათ ჯერ კიდევ იძულება მმართველი ძალისა, რომ რაღაც დათმობებზე წავიდეს. ეს იყო თეატრალური პოზა მოსახლეობის წინაშე, რომ ვითომ თავიანთი „ძალა“ ეჩვენებინათ, ასევე დაემადლებინათ „ქართული ოცნებისთვის“, აი, თქვენ არ გყოფნით ძალა საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად და ჩვენ დაგიმატებთ იმდენ ხმას, რამდენიც დასჭირდება შესავსებად მესამედამდე. დარწმუნებული ვარ, ეს იაფფასიანი ტრიუკი პირადად სააკაშვილის მოფიქრებულია. მას უკვე საქართველოს მოსახლეობის წინაშე აღარაფერი აქვს სათქმელი და ასეთი ტრიუკებით ცდილობს თავისი ძალის ჩვენებას. სააკაშვილი არის თიხის ფეხებზე შემდგარი ქონდრისკაცი, ხატოვნად რომ ვთქვათ, თუნდაც რომ დათანხმდა „ქართული ოცნება“ ამ სარეიტინგო კენჭისყრას, მას ამით არაფერი დაჰკლებია. არავინ უარყოფდა იმას, რომ ეს მსოფლიო კონსტიტუციების ისტორიაში იყო ერთ-ერთი უმახინჯესი მუხლი. ასეთი ტერმინიც კი გაჩნდა — კონსტიტუციური დიქტატურა. მართალია, ამ ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილს ის არც ერთხელ არ გამოუყენებია, მაგრამ ეს მუხლი დამოკლეს მახვილივით იყო ჩამოკიდებული ნაცმოძრაობის კისერზე. როგორც კი ისინი ურჩობას გაბედავდნენ, სააკაშვილს ნებისმიერ დროს შეეძლო, გამოეყენებინა. ამიტომ საქართველოს ამ პერიოდში, ფაქტობრივად,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველოში ინფარქტის ასაკი გაახალგაზრდავდა

## რა საფრთხეებს იწვევს ჭარბი რაოდენობით მარილის მიღება

მერი ნამორაძე

**საქართველოში არტერიული წნევის ყველაზე მაღალი ციფრები ფიქსირდება. ჩვენ შევდივართ ქვეყნების იმ ხუთეულში, სადაც ადამიანები საშუალო არტერიული წნევის ყველაზე მაღალ ციფრებს ატარებენ. თუ მედიკოსებს დავუჯერებთ, არტერიული ჰიპერტენზია ერთ-ერთი ყველაზე ადვილადმოგვარებადი პრობლემაა, რადგან მისი გამოვლენა ძალიან ადვილად — წნევის გაზომვით ხდება. ასევე ადვილად მართვადია და ერთი ან ორი კომბინირებული პრეპარატის მიღებით შეიძლება წნევის დარეგულირება. „ახალი თაობა“ არტერიულ ჰიპერტენზიასთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსს ლელა სტურუას ესაუბრა:**

***— ქალბატონო ლელა, წლევანდელი წელი ჰიპერტენზიასთან ბრძოლის წლად გამოცხადდა, რამ განაპირობა აქცენტის გაკეთება ამ დაავადებაზე?***

— ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ყოველი წლის 7 აპრილს აღინიშნება ჯანმრთელობის მსოფლიო დღე და პრიორიტეტულობის მიხედვით იცვლება ხოლმე ის თემა, რასაც ეძღვნება ჯანმრთელობის მსოფლიო დღე. წელს ეს დღე ჰიპერტენზიის ეგიდით აღინიშნება.,ვინაიდან ფართოდ არის გავრცელებული არაგადამდები დაავადებები საქართველოში და სიკვდილობის 91 პროცენტს განაპირობებენ, აქედან გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობა 71 პროცენტია და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ არტერიული ჰიპერტენზიაა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ წლევანდელი წელი იყოს არტერიული ჰიპერტენზიის წელი და მის აღნიშვნას ვიწყებთ 1 აპრილიდან ჰიპერტენზიის კვირეულის ჩატარებით. საქართველოში მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ტენდენცია როგორც ახალი შემთხვევებისა, ასევე წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევებისა, მატულობს. გარდა ამისა, გაახალგაზრდავდა არტერიული ჰიპერტენზია, ძალიან ფართოდ არის გავრცელებული ის რისკ-ფაქტორები, რომელიც იწვევს ამ დაავადებას.

***— დავაკონკრეტოთ ეს ფაქტორები, ქალბატონო ლელა!***

— ეს არის თამბაქოს მოხმარება, ფიზიკური აქტივობა არის ძალიან დაბალი, ჭარბი წონა ჩვენი მოსახლეობის 56%-ს აქვს. ზრდასრული მოსახლეობის 25% კი მსუქანია. ეს ძალიან დრამატული ციფრია. ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. ძალიან მაღალია სტრესული ფონი. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჰიპერტენზიის ახალი შემთხვევები იზრდება. გარდა ამისა, არ ხდება არტერიული ჰიპერტენზიის სწორი მართვა. მოსახლეობის 30%-ს წნევა არასოდეს გაუზომავს.



***— რა ასაკიდან უნდა მოხდეს წნევის ციფრების გადამოწმება, თუ ეს არ აწუხებს ადამიანს?***

— ვგულისხმობ იმას, რომ ექიმთან ვიზიტისას უნდა გაიზომოს წნევა.

***— ანუ საექიმო საზოგადოებაა „დამნაშავე“ იმაში, რომ ბევრს წნევა არ გაუზომავს?***

— საექიმო საზოგადოებაც, რა თქმა უნდა, თუ მას თავისი პაციენტისათვის წნევა არასოდეს გაუზომავს. მაგრამ, გარდა ამისა, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. წნევის გაზომვასაც აქვს თავისი წესი, რომელიც მოსახლეობის ნაწილმა არ ვიცით, თუმცა კი გვგონია, როგორ უნდა მოხდეს ეს. წნევის სწორად გაზომვის შემდეგ, თუ ციფრები მაღალია, (მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ექიმთან) ინიშნება მედიკამენტოზური ან არამედიკამენტოზური თერაპია. არამედიკამენტოზური თერაპია გულისხმობს ცხოვრების ჯანმრთელი წესის რეკომენდირებას. ანუ, რისკ-ფაქტორთა მოდიფიკაციას, რომლის მოდიფიცირებაც შესაძლებელია. თუ ამან არ გაამართლა, ექიმის ჩართვაა საჭირო. მედიკამენტი უნდა მივიღოთ ექიმის დანიშნულების შესაბამისად. თვითნებურად არ უნდა მოხდეს მედიკამენტის შეცვლა, ანუ ჩემი ბიძაშვილი ამას სვამდა და იმას მოუხდა, ამხანაგმა ეს მირჩია, აფთიაქში მითხრეს, რომ ეს კი არა, ეს ჯობია. . . ასეთი მიდგომა უნდა ამოვიღოთ ჩვენი მენტალობიდან. ექიმი ვალდებულია დანიშნულების შემდეგ გააკონტროლოს პაციენტის მდგომარეობა, შეიძლება დაჭირდეს დოზის ცვლილება, შეიძლება პრეპარატია შესაცვლელი ან დასამატებელი, მაგრამ ეს ჩვენ თვითნებურად არ უნდა გავაკეთოთ. კიდევ ერთი მითი, რომელიც არასწორია — პაციენტი ღებულობს მედიკამენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წნევის მაღალი ციფრები აქვს. ეს დაუშვებელია. ჰიპერტენზიული პრეპარატის მიღება უნდა მოხდეს ყოველდღე. მიღების მიზანია, რომ წნევის ციფრები არ იყოს მაღალი და შენარჩუნდეს ნორმალურ დონეზე. ამიტომ აუცილებელია მედიკამენტის მუდმივად ხმარება. კიდევ ერთი, რასაც პაციენტები აპროტესტებენ, არის ის, თუ როგორ შეიძლება პრეპარატის მიღება ყოველდღე, ეს დამთრგუნველია, სტრესულია და ასე შემდეგ. მინდა მივმართო ყველა ადამიანს, ასეთები ჩემს გვერდზეც არიან და ჩემს ოჯახშიც არიან, არის დაავადებები, რომლებსაც პრეპარატით ვერ ვკურნავთ და ის ადამიანები ნატრობენ, ოღონდაც სამკურნალო საშუალება არსებობდეს და ყოველდღე კი არა, ყოველ საათში დალევენ. ამიტომ აუცილებელია მკურნალობა. არის დაავადებები, რომელთა მკურნალობა ძალიან ძვირია, ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა ღირს იაფი. მნიშვნელოვან ნახარჯებთან არ არის დაკავშირებული. მით უმეტეს, სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გაიწერება, და სტრატეგია, რომელიც გვექნება, გაითვალისწინებს გარკვეულ ანტიჰიპერტენზიულ მედიკამენტებს, რომ გარკვეული დახმარება მიიღოს ხალხმა. წინასწარ ვერც მედიცამენტს გეტყვით და ვერაფერს გავახმაურებ.

***— როგორც ჩანს, ქართული მენიუ, მსუყე თუ მარილით გაჯერებული კერძები ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია ჰიპერტენზიასთან დაკავშირებით?***

— განსაკუთრებით პრობლემურია ჭარბი მარილის მოხმარება. სამწუხაროდ, არასოდეს მომხდარა იმის გაზომვა, თუ რამდენ მარილს მოვიხმართ ქართველები, მაგრამ სხვადასხვა არაპირდაპირი გამოკვლევებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობით მარილს მოვიხმართ. აუცილებელია მარილის მოხმარების შეზღუდვა. მარილის შემცირებისას წნევის ციფრები ძალიან მალე ჩამოდის ქვევით, შესაბამისად მცირდება არტერიული ჰიპერტენზიის ისეთი გართულებების რისკი, როგორიცაა ინსულტი და ინფარქტი. მარილის დონის შემცირება არის ერთ-ერთი ყველაზე ხარჯთეფექტური მეთოდი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება ამის დადასტურება. სამარილე საერთოდ აარ უნდა გვქონდეს მაგიდაზე. სხვა სანელებლები უნდა ვიხმაროთ. როდესაც მზა პროდუქტს ვყიდულობთ, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ მასში მარილის შემცველობას.

***— თქვენ წნევის გაზომვის არცოდნა ახსენეთ. როგორ შეიძლება სწორად გაზომვა?***

— ადამიანი უნდა იყოს მოსვენებულ მდგომარეობაში, თუ მჯდომიარე მდგომარეობაში შეუძლია ყოფნა, უნდა იყოს მჯდომიარე. ფეხი ფეხზე არ უნდა ჰქონდეს გადადებული, ყავა ან ალკოჰოლი არ უნდა ჰქონდეს მიღებული. თამბაქოს მოწევიდან გარკვეული პერიოდი უნდა იყოს გასული და ჯობია საერთოდ არ მოწიოს თამბაქო იმან, რომელიც სავარაუდოდ ჰიპერტონიკია. მანჟეტი უნდა იყოს მისი ზომის, არსებობს სამი ზომის მანჟეტი და მხრის გარშემოწერილობით უნდა იქნას შერჩეული. მანჟეტი უნდა იყოს გულის დონეზე დამაგრებული.წნევის გაზომვა უნდა მოხდეს სამჯერადად და ამის შემდეგ უნდა დაფიქსირდეს ციფრის. გაზომვებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 5 წითიანი, როდესაც დაისვენებს ადამიანი.

***— ფიზიკურ აქტივობაზე რას გვეტყვით ჰიპერტენზიასთან მიმართებაში?***

— ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა, ეს შეიძლება იყოს სეირნობა, ცეკვა, ყოველდღიურად აუცილებელია ნახევარი საათით მაინც. ამით თავიდან ბევრ დაავადებას ავიცილებთ, მხოლოდ ჰიპერტენზიაზე არ არის საუბარი. არ ვამბობ, რომ ყველა მაღალინტენსიური სპორტით უნდა იყოს დაკავებული. არც არის მიზანშეწონილი ჰიპერტონიკებმა უცებ დაიწყონ ვარჯიში და ერთი საათის განმავლობაში მძიმედ დაიტვირთონ ფიზიკურად. თანდათანობით უნდა მოხდეს დაწყება და იმ ადამიანებმა, რომლებსაც წნევის პრობლემა აქვთ, აუცილებელია ეს ყველაფერი შეათანხმონ ექიმთან. ექიმის დანიშნულების გარეშე არ უნდა დაიწყონ ფიზიკური აქტივობა.

***— ზევით დაავადების გაახალგაზრდავება ახსენეთ. რა ასაკიდან ფიქსირდება ჰიპერტენზია?***

— უკვე 40 წლიდან გვაქვს შემთხვევები. ადრე თუ ინფარქტის ასაკი მერყეობდა 50-60 წლებში, ეხლა 45-დან იწყება. მანდილოსნებში უფრო იშვიათი იყო ინფარქტის შემთხვევები. ქალს თავისი ჰორმონალური სტრუქტურა იცავს მენსტრუაციის პერიოდში, პოსტმენოპაუზის პერიოდში იწყება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, მას მერე უტოლდება უკვე მამაკაცების ავადობის ციფრს. ქალების შემთხვევაშიც გაახალგაზრდავდა ინსულტის და ინფარქტის რისკი.

# დავით კუპრეიშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი უნდა ჩაატაროს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

პარლამენტი არც ჰყოლია. ეს იყო სააკაშვილის მუდამ მორჩილი საკრებულო, რომელსაც ფორმალურად ერქვა წარმომადგენლობითი ორგანო.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონს რაც შეეხება, თვითონ ნაცმოძრაობის გულშემატკივრებიც თანახმა არიან, რომ ის მუხლი, რითიც ირჩეოდა იუსტიციის საბჭო, ისეთივე დიქტატორული იყო, როგორიც პატრონყმურ მორჩილებაზე დამყარებული წესი, როგორიც ის საკონსტიტუციო ხელისუფლება. მე მაოცებს ვენეციის კომისიის წარმომადგენლებისგან ერთი რამ — როცა სასტიკად აკრიტიკებდნენ კონსტიტუციის იმ მუხლის ჩანაწერს, ასევე აკრიტიკებენ საერთო სასამართლოების შესახებ ამ მუხლსაც. იუსტიციის საბჭოში არიან დღემდე მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრები, კოლეგიის, სასამართლოების თავმჯდომარეები, ადამიანებს უკავიათ ორ-ორი თანამდებობა. ეს საჯარო სამსახურში აკრძალულია. მონურ მორჩილებაში ჰყავდათ მთელი სასამართლო ხელისუფლება. სწორედ ამიტომ გამოდიოდა ასეთი საშინელი განაჩენები, უდანაშაულო ადამიანებს ათეული წლების განმავლობაში ციხეში ამყოფებდნენ და ეს მარტო სააკაშვილისა და ადეიშვილის პროკურატურის ბრალი კი არ იყო, არამედ კუბლაშვილის მონობაში მყოფი მოსამართლეების ბრალიც იყო. ახლა ვენეციის კომისია წერს, რომ რაღაც მისტიკური უწყვეტობის გამო არ უნდა მოხდეს იუსტიციის საბჭოს წევრების შეცვლა. ეს უკვე აღარ არის საკონსტიტუციო ნორმა. მას მიიღებს „ქართული ოცნება“ ხმათა უმრავლესობით და შეიცვლება დაკომპლექტების წესი.

***— სულ უფრო ხშირად გვესმის „ქართული ოცნების“ წევრებისგან, რომ ისინი ნაცმოძრაობას სახეს უნარჩუნებენ. ამ გაუგებარი და გაუმართლებელი კოაბიტაციის შედეგად ხომ არ დაეცემა კოალიციის რეიტინგი?***

— მე მესმის ადამიანებისა აბსოლუტურად, რომლებიც მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენას. ყველაზე მთავარი დაპირება „ქართული ოცნებისა“, როცა ის მოდიოდა ხელისუფლებაში, იყო უსამართლობის მოსპობა. შეიძლება, ამის ხელშესახებ შედეგებს ვერ ხედავს მოსახლეობა, ამიტომ არის ბევრი ადამიანი უკმაყოფილო, არა მარტო „ქართული ოცნების“ წევრები, არამედ სხვა პოლიტიკური ძალებიც, რიგითი ადამიანებიც. როცა ნაციონალები საყვედურობენ „ქართულ ოცნებას“, თქვენ არ ასრულებთ წინასაარჩევნო დაპირებასო, მათ ვეთანხმები იმ ნაწილში, რომ კოალიცია ისე მძლავრად ევრ ასრულებს სამართლიანობის აღდგენის დაპირებას, როგორადაც იქნებოდა სასურველი. არაფერი არ არის მოსარიდებელი იმაში, რომ ადამიანები, რომლებიც ათეული წლები ძარცვავდნენ ქვეყანას, აწამებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, არავითარი პოლიტიკური დევნა არ არის მათი პასუხისგებაში მიცემა. მინდა მოვუწოდო როგორც მმართველი ძალის წარმომადგენლებს, ისე ჩვენს სამართალდამცავებს, არ დაიხიონ უკან, თუნდაც იმ დროს, როცა ნაციონალები ისტერიკულად გაჰყვირიან, რომ მათი პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს. მილიონობით თანხები აქვთ მოპარული და იმდენად უტიფრები არიან თბილისის საკრებულოს თანამშრომლები, რომ როცა მათ დაკითხვაზე იბარებენ და ახსნა-განმარტებას ართმევენ, ისინი ლაპარაკობენ დევნაზე პოლიტიკური ნიშნით. რა პასუხი უნდა გასცეს მთავარმა პროკურორმა იმ ოცი ათას მომჩივანს, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ. ადამიანები დიდხანს ვერ მოითმენენ. მათ ვერანაირი კოაბიტაცია და სხვა ჭკუტელა სიტყვები ვერ დააშოშმინებთ. ეკონომიკურ რეფორმებზე უფრო მთავარი სამართლიანობის აღდგენაა.

***— რა აზრის ხართ ინტერპარტიული ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც კონსულტაციებს გაივლის მმართველ პარტიასთან საარჩევნო კოდექსის დახვეწასთან დაკავშირებით?***

— ოცდასამი წელია, ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იწყება ახალი მუშაობა ამ საარჩევნო კოდექსის დახვეწაზე. მართლაც რთული საკითხია საარჩევნო კოდექსის შემუშავება. იდეალურ საარჩევნო კოდექსს ვერავინ შეიმუშავებს, მაგრამ ობიექტურობასთან მიახლოებული აუცილებელია. დემოკრატიული ხელისუფლება ცდილობს, კანონები, რომლებიც ეხება ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებას, შემუშავდეს ოპოზიციურ ძალებს შორის თანხმობითა და კონსენსუსით. უნდა იყოს ისეთი საარჩევნო კანონი, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, რათა არჩევნებში მთელი პოლიტიკური სპექტრი მონაწილეობდეს და არა მხოლოდ ორიოდე პარტია.

***— მაშინ, როცა ნაცმოძრაობას ერთადერთი ოპოზიციური ძალის პრეტენზია აქვს, როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი უნდა შეხვდეს არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს, ისევე, როგორც ხვდება არასამთავრობო სექტორს?***

— როცა ბატონი ივანიშვილი ხვდება ექსპერტებს, იქ განიხილება როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური საკითხებიც. ამას პრემიერი იმისთვის აკეთებს, რომ არასამთავრობო სექტორი გაძლიერდეს. სააკაშვილს არა მარტო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ჰყავდა დამორჩილებული, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაც და მედიაც. ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება არ ვითარდებოდა. ხელისუფლებას მარტო სახელისუფლებო ძალები კი არ სჭირდება, არამედ სახელმწიფოს ძლიერებისთვის საჭიროა სხვა პარტიებთან ურთიერთობაც. რაც შეეხება არასაპარლამენტო პარტიებთან შეხვედრას, არა მგონია, ამის საჭიროება დღეს იყოს. დღევანდელ ოპოზიციასა და კოალიციას შორის არის დიალოგი საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. რაც შეეხება ნაციონალების პოზიციას, რომ ერთადერთი ოპოზიციური ძალა ისინი არიან, ეს სიყალბეა. ის არანაირი პოლიტიკური ძალა არ არიან. ისინი რაღაც მდგომარეობას ინარჩუნებენ, სანამ სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტია. შემოდგომაზე, როგორც კი სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი, ნაცმოძრაობა დაიწყებს გაქრობას, საბოლოოდ კი წერტილი დაესმება გაზაფხულზე, როცა ადგილობრივ არჩევნებში ვერანაირ შედეგს ვერ მიიღებენ. შეიძლება, აქა-იქ მოახერხონ თითო-ოროლა დეპუტატის გაყვანა, შეიძლება, გაზაფხულზე, როგორც ასეთი, ნაცმოძრაობა აღარც იყოს. ამ შემოდგომაზე, ჩემი აზრით, ნაცმოძრაობა დაიშლება და საბოლოოდ ის ბედი ეწევა, რაც მოქკავშირს. ახლა ცდილობს, აჩვენოს, რომ მონოლითური ძალაა და არის სააკაშვილის გარშემო, როგორმე რომ გადაირჩინოს თავი. საზოგადოებაში ნაცმოძრაობის მიმართ დიდი მღელვარებაა. თუ მმართველი ძალა და სამართალდამცავი ორგანოები ნაცმოძრაობის დანაშაულს არ გამოიძიებენ, მაშინ თვითონ საზოგადოებაში დაიწყება საკუთარი ძალით სამართლის ძიება, რაც არ არის კარგი პროცესი. მე უკვე მოვკარი ყური იმას, რომ შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თვითონ დაიწყებს სამართლიანობის აღდგენის პროცესს. ნაციონალებს ვურჩევდი, ბოდიში მოიხადონ ხალხის წინაშე, ვიდრე გვიან არ არის, იქნებ მოხდეს სასწაული და ხალხმა მათ აპატიოს.

***— ბოლოს მინდა გკითხოთ საპრეზიდენტო კანდიდატებზე. კოალიციის კანდიდატებიდან აქტიურად განიხილება საზოგადოებაში ხმალაძის, სალომე ზურაბიშვილისა და ალასანიას ფიგურები. რომელია ყველაზე რეიტინგული კანდიდატურა და ასევე ექსპერტები სთავაზობენ ივანიშვილს კოალიციის შიგნით პრაიმერის გამართვას რეიტინგული ფიგურის გამოსავლენად. ამასაც როგორ უყურებთ?***

— პრაიმერის ჩატარება ცუდი აზრი არ არის, დემოკრატიული წესია, მაგრამ ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ ჯერ მსჯელობა საპრეზიდენტო კანდიდატებზე ადრეა, კოალიციის პოლიტიკური საბჭო იმსჯელებს. მე ერთს ვიტყვი, ამ შემოდგომიდან არჩეული პრეზიდენტი უნდა იყოს ძალიან კარგი სპეციალისტი კონსტიტუციისა, კარგი კონსტიტუციონალისტი. შეიძლება, ცალკე აღებული ყველა კანდიდატი კარგი იყოს, მაგრამ მხოლოდ ადამიანის პიროვნული ღირსებებით არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ. ახლა ჩვენ პოლიტკური სისტემის მოწყობის ახალ პროცესზე გადავდივართ. ამ დროს უკვე პრეზიდენტს მიენიჭება უმაღლესი არბიტრის როლი, მართვის სადავეები გადადის მთავრობის ხელში, პარლამენტი და მთავრობა უძლევებიან სახელმწიფოს, შეიძლება, წინააღმდეგობები დაიწყოს პარლამენტსა და მთავრობას შორის. ასეთ დროს უმაღლესი არბიტრის როლში გამოდის პრეზიდენტი. ისეთი კონსტიტუცია უნდა გვქონდეს, რომ ყველა დროში იყოს გამოსადეგი. ჩემი კრიტერიუმი პრეზიდენტის არჩევისა არის ღრმა ცოდნა კონსტიტუციისა. შეგნებულად არ დავასახელებ, ჩემი პირადი სიმპათიები მაქვს, მაგრამ, იმედია, კოალიციის სხვა ლიდერებიც იხელმძღვანელებენ იმ პრინციპით, რომ მომავალი პრეზიდენტი კარგი კონსტიტუციონალისტი უნდა იყოს.

## თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია 2013 წლის, მესამე ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2013 წლის მარტში გაწეულ ხარჯებს.

პირველი მარტისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 278011.60 ლარი. მარტის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 53185.61 ლარი.

ორგანიზაციის მიერ 2013 წლის მარტში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენილი.

**თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში)**
**01.03..2013 – 01.04.2013**

**შემოსავლები**

| № | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|
| | 278011.60 | ნაშთი 2013 წლის 1 მარტისთვის |

**ხარჯვითი ნაწილი**

| № | დანიშნულება | ფაქტიური ხარჯი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1. | თანამშრომელთა ხელფასები | 25904 | |
| 2. | ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი ხელფასებიდან | 8000 | |
| 3. | საწვავი | 8400 | |
| 4. | ბანკის მომსახურება | 35.15 | |
| 5. | ლოჯისტიკის ცენტრების იჯარა | 3919 | |
| 6. | ცენტრალური ოფისის იჯარა | 1590.72 | |
| 7. | ოფისის კომუნალური გადასახადები | 540.80 | |
| 8. | ინტერნეტმომსახურება | 70 | |
| 9. | კორპორატიული ტელეფონების სააბონენტო მომსახურება | 1090 | |
| 10. | თანამშრომელთა დაზღვევა | 2057 | |
| 11. | ავტომანქანის დაზღვევა | 622.50 | |
| 12. | ავტომანქანის პარკირების გადასახადი | 130 | |
| 13. | ჯი პი ეს-ის მომსახურება | 220 | |
| 14. | სამივლინებო ხარჯი | 160 | |
| 15. | ავტომანქანის ნაწილები | 446.44 | |
| სულ, ჯამი | | **53185.61** | |
| ნაშთი, 01.04.2013-ისათვის | | **224825.99** | |

# ციხიდან გათავისუფლებული ადამიანები უნდა დავასაქმოთ

გულიკო ბალაძე

ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ციხეების მონიტორინგის თემას გამოეხმაურა.

მისი თქმით, დღევანდელ ციხეებში ჯერჯერობით ისევ შეზღუდულია შესვლა უფლებადამცველებისთვის, რადგანაც ჯერ კიდევ არ განახლებულა საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს პენიტენციურ სისტემაზე. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა.

გიორგი თევზაძემ ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებულ დისკუსიებზე, ახალ რეგულაციებსა და ვენეციის კომისიის დასკვნაზე ისაუბრა.

გიორგი თევზაძის განცხადებით, სახელმწიფო სტრუქტურებში ძველი კადრების დატოვებამდე უნდა მოხდეს თითოეული პირის წარსული საქმიანობის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული საკადრო გადაწყვეტილებები.

როგორც გიორგი თევზაძემ განაცხადა, ის ვენეციის კომისიის რეკომენდაციებსა და საერთო სასამართლოებსაც ადარებს ერთმანეთს.

– კრიტიკული შენიშვნები არსებობს როგორც დღეს მოქმედი რედაქციის, ასევე მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროექტის მიმართ. დღეს მოქმედი რედაქცია დაუბალანსებელია, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს იმ არასახარბიელო ვითარებას, რომელიც არსებობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. საზოგადოებაში უსამართლობის განცდაა და ამაში დიდი წვლილი სასამართლო პროცესებზე საქმის განხილვებისადმი გამოხატულ არაჯანსაღ ვითარებას უკავშირდება, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებს, სადაც სასამართლო დამოუკიდებლობა თითქმის მხოლოდ კოდექსის ფურცლებზე არსებობს. არანაკლებ საგანგაშო ვითარებაა სამოქალაქო წესით განხილულ საქმეებზეც, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძე ამბობს, რომ ამ ვითარების შეცვლის ერთადერთი გზა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ახალი რეგულაციაა. ეს იქნება გამოსავალი შექმნილი ჩიხური ვითარებიდან.



– ბოლო პერიოდში გამოიკვეთა პოლიტიკური ჯგუფების მცდელობა, ამ მნიშვნელოვან პროცესებში ჩართონ არასამთავრობო სექტორი და სპეციალიზებული პროფესიული ჯგუფები. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს სასამართლო ორგანოების თვითმმართველ სუბიექტს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია საბჭოს შემადგენლობაში ყველა იმ სუბიექტის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რომელსაც პირდაპირი შეხება აქვს მართლმსაჯულებასთან, მათ შორის, უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო სექტორიდან და ადვოკატთა ასოციაციიდან. ეს ჩართულობა ხელს შეუწყობს მეტ გამჭვირვალობასა და სასამართლოს ობიექტურობას. როგორც უფლებადამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის „თქვენი უფლებებისათვის“ სპიკერი, ვგეგმავ აქტიურ მონაწილეობას ყველა იმ ღონისძიებაში, რომლებიც უკავშირდება სამუშაო შეხვედრებსა და დისკუსიებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი რეგულაციების განხილვაში რეკომენდაციების შესათავაზებლად, ასევე სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად ვენეციის კომისიის წარმომადგენლებისთვის.

***– ბატონო გიორგი, საუბრობდნენ იმაზე, რომ სახალხო დამცველთან შეიქმნებოდა მონიტორინგის ჯგუფი, მაგრამ ჯერჯერობით არ შექმნილა. რატომ დარჩა ციხეები მონიტორინგის გარეშე?***

– ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივითა და სასჯელაღსრულების მინისტრის მონაწილეობით მოხდა უფლებადაცვით სფეროში მოქმედ არასამთავრობო სექტორთან საქმიანი შეხვედრა პრევენციული ჯგუფის შექმნის რეგულაციების თაობაზე. ვფიქრობ, მონიტორინგი გაგრძელდება, თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია, მონიტორინგის პრევენციულ ჯგუფში გარკვეული შეზღუდვებიც დაწესდეს, არ მოხდეს მოქმედი ადვოკატისა და ჟურნალისტის შეყვანა. ასეთი მიდგომა სწორად არ მიმაჩნია. გასულ წელს მოქმედი პენიტენციური სისტემის მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობაში მეც ვიყავი ჩართული, როგორც მონიტორინგის ჯგუფის წევრი და ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, მაგრამ დღეისთვის ციხეები მაინც დახურული რჩება, რადგან მონიტორინგის ჯგუფი ჯერ არ შედგენილა.

***– მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შემდეგ ციხეებში მდგომარეობა გამოსწორდა, იქ მაინც რჩებიან მძიმედ დაავადებული პატიმრები, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანი მოზარდები.***

– დაახლოებით 12 ათასი პატიმარი გათავისუფლდა და პენიტენციურ სისტემაში ფონი შეიცვალა, თუმცა, დღესაც არიან ციხეებში ძალიან მძიმედ დაავადებული პატიმრები. პატიმრების მიმართ მიდგომებიც შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ გვესმის გარკვეული პრეტენზიები არასრულწლოვანი პატიმრების მისამართით, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგან მათ სპეციფიკური მიდგომა სჭირდებათ. უნდა მოხდეს მათთვის სასჯელის შემსუბუქება. ახლა პარლამენტში განიხილება სასჯელის შეკრებითობის პრინციპი და ძალიან ბევრ პატიმარს შეუმცირდება შეკრებითი სასჯელი, რომლებიც შეკრებითობის პრინციპით ჰქონდა მისჯილი. იყო შემთხვევა, როდესაც ბავშვმა მაღაზიიდან მოიპარა სნიკერსი. ის რამდენჯერმე შევიდა მაღაზიაში მოსაპარად და მას 10 წელი მიუსაჯეს, შეკრებითობის პრინციპიდან გამომდინარე.

***– 12 ათასი პატიმრის გათავისუფლებამ კრიმინალის მომატება ხომ არ გამოიწვია?***

– ამნისტია ჰუმანური აქტი იყო, მაგრამ აუცილებელია, ციხიდან გათავისუფლებული პატიმრებისთვის ამუშავდეს მათი რეაბილიტაციის პროგრამები, ასევე სოციალური პროგრამები. ციხიდან გათავისუფლებული ადამიანები უნდა დავასაქმოთ. ისინი სოციალურად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი, რომ დანაშაულისაკენ არ უბიძგოს გარემო პირობებმა. თუ ჩვენ გვინდა, ციხიდან გათავისუფლებული ადამიანები დაუბრუნდნენ საზოგადოებას, მათ გვერდით უნდა დავუდგეთ.

***– გარკვეული თანამდებობის პირები ძველი ხელისუფლებიდან ინარჩუნებენ თანამდებობებს, რაც საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?***

– თითოეული საკადრო საკითხი დამოუკიდებელი შეფასების საგანს უნდა წარმოადგენდეს. უმნიშვნელოვანესია მათი რეპუტაცია საზოგადოებაში და პროფესიონალიზმი. აუცილებელია, წინა ხელისუფლების დროს მომუშავე თანამშრომლების დატოვებამდე მოხდეს ინდივიდუალურად მათი საქმიანობის შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ – საკადრო გადაწყვეტილებების მიღება სამსახურში მათი დატოვებისა თუ გათავისუფლების თაობაზე. საზოგადოების ნაწილი სამართლიანად გამოთქვამს უკმაყოფილებას ცალკეულ საკადრო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უკავშირდება ნეპოტიზმს, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ყველა ხელისუფლების სენია. ამასთან, მიუღებელია ხელაღებით სამსახურებიდან თანამშრომელთა გათავისუფლების ტენდენცია პოლიტიკური მრწამსის საფუძველზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებების დასაბუთება იურიდიულად, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

***– წლების მანძილზე საუბარი იყო შემთხვევაზე, როცა პირი მკვლელობის ბრალდებით ჩასვეს ციხეში, ის მოკლულად შერაცხული კი ცოცხალი იყო. ახლა მთავარმა პროკურატურამ განაცხადა, რომ უკანონო პატიმრობის მიზეზი ყოფილი პროკურორის ქმედებაში სამსახურებრივი გულგრილობა იყო.***

– მისასალმებელია მთავარი პროკურატურის ობიექტური შეფასება, რომელიც უკავშირდება თავისივე სისტემის თანამშრომლის კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენასა და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. სამწუხაროდ, მსგავსი მიდგომები წინა პერიოდის პრაქტიკაში გამონაკლისი არ იყო. მიდგომები მიუღებელი გახლდათ. სახელმწიფოს პოლიტიკური ნების მიხედვით, სისტემა არ იყო დაინტერესებული, საქმეზე ჭეშმარიტება დაედგინა. ამ ვითარებას ართულებდა დამოუკიდებელი სასამართლოს არქონა, რასაც არაერთხელ შევხვდით წლების მანძილზე, რისი არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება. მაგალითად, კახეთის რეგიონში დაკავებულ იქნა მამუკა მამაიაშვილი, რომელსაც წარედგინა ბრალი 179-ე და 260-ე მუხლებით. რეალური გარემოებების გათვალისწინებით, ეს პიროვნება შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც უკანონო პატიმარი და რეჟიმის მსხვერპლი. ამის წინაპირობებს ქმნის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კვლევა, რომლის დასრულების შემდგომ, დიდი ალბათობით, შეიძლება გამოიკვეთოს მისი უკანონო მსჯავრდება, რომელზეც მოხდება შესაბამისი რეაგირება და ახლად გამოვლენილი გარემოებების დახმარებით საქმის გადასინჯვა დადგენილი წესით. ასეთი მიდგომებით მსჯავრდებული არაერთი პატიმარი იხდის სასჯელს პენიტენციურ სისტემაში.

# რატომ ვერ შოულობენ სამსახურს „ქართული ოცნების აქტივისტები“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

იშვიათი შესაძლებლობების ერი ვართ ქართველები. თავი მოგვწონს იმით, რომ გულუხვები ვართ. ინტელექტუალური პოტენციალით, რომ ვინმემ გვკითხოს, მსოფლიოს ადმინისტრირების პრობლემებსაც აღმოვფხვრით და კრეატივიზმი ხომ ჩვენი მოგონილია!

არც ისე დიდი ხნის წინ ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მომიწია პროფესიული საქმიანობის გამო მისვლამ. გამგებლის მისაღებში მდივანს ორი ახალგაზრდა ქალი პრეტენზიულად უცხადებდა, რომ რა აუღებელია ეს დასაქმების პრობლემა, „სეკრეტარშების“ ადგილი მაინც არ გაქვთო? ქალებს გარეგნობის მიხედვით შეატყობდით, რომ დები იყვნენ (ფიზიონომიის გარდა მაკიაჟით ერთნაირი ჰქონდათ), თავად „სეკრეტარშას“ დაეტყო, რომ მდივნის თანამდებობაზე ხელის წამოკვრა საწყენად დარჩა და მიახალა: მე თუ მიყურებთ, იურიდიული განათლება მაქვს, მაგრამ ეს ადგილი ძლივს მიშოვნია და დაწერეთ განცხადება, დარეგისტრირდება, თუ იქნება რაიმე სამსახური, შეგატყობინებთო. დასასაქმებლებმა ტუჩები აწრუპეს და გამგებელი უნდა ვნახოთ, უნდა შევახსენოთ, მთელი შემოდგომა „ქართული ოცნების“ მაისურები რომ გვეცვაო. მეორე მუნიციპალიტეტში უფრო დინამიკურ სიტუაციას წავაწყდი. საკრებულოს თავმჯდომარის მისაღებში შუა ხანს მიღწეული კაცი ნერვულად ბოლთას სცემდა და თავმჯდომარემ როგორც კი გამოაცილა ვიღაც საპატივცემულო გვამი მისაღებამდე, სახელოში სწვდა: „მომხედეთ აქით, გენაცვალე! შენს და გამგებლის მისაღებში ვათენებ და ვაღამებ. დავნევროზდი სამსახურის მოლოდინში. ქუთაისში აქციაზე რომ ვიყავით, დროშა მომცეს, აფრიალეო. ეს თუ მელოდა, მთელი აქციის განმავლობაში რას ვიკლავდი პაპანაქებაში თავს?“

დასაქმების პრობლემა არ ახალია, მაგრამ დასაქმების მოთხოვნის ფორმა იყო ძალიან საინტერესო: „მაიკა“ და დროშის ტარის დაჭერა უცილო გარანტია რატომ იყო ადმინისტრაციულ სამსახურებში შებრძანების? სადაც არ უნდა გაიხედოთ, პარტაქტივს მხოლოდ ადმინისტრაციაში მუშაობა უნდა. ყანას და თოხს მოუკვდა პატრონი, მაგით გამდიდრებული არავინ გვინახავსო, – წუწუნებენ. გასაგებია, რომ თოხნა არ არის სასიამოვნო პროცედურა, მაგრამ კუდაბზიკურად შიმშილით სიკვდილს არ სჯობია?! ეს „შემოდგომის აზნაურის“ ფსიქიკა არ გაქრა ჩვენში? ირონიით მაინც ვუპასუხებ თოხბარის მოძულეებს: ვინც თოხნის, პროსტატის ადენომა ნაკლებად შეაწუხებს, უსაქმურობას ავადმყოფობა მოსდევს და ჯანმრთელად ყოფნა არ სჯობია?!

მასობრივად სოციალური დახმარების მიმღებთა გადამოწმებას მოჰყვა დახმარების შეწყვეტა ან შეჩერება. 2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს სამომხმარებლო კალათის მიხედვით, თუმცა ეს კალათა რამდენად სრულყოფილია, ცალკე აჩენს კითხვის ნიშნებს. ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი თუ 133-150 ლარით განისაზღვრება, მაშინ რატომ არ არის ახალი საპენსიო პოლიტიკა მიმართული სამომხმარებლო კალათის უზრუნველსაყოფად?ექვსსულიანი (ან მეტსულიანი) 355 ლარით ამოავსებს იმ წარმოდგენით კალათას, საიდანაც ადამიანებმა მთელი თვის განმავლობაში ხელი უნდა ჩაჰყოს და მიიღოს სრულყოფილი მომსახურება სამედიცინო-სოციალური თუ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით?

ინტელექტუალურად აღჭურვილ ქართველებს ჯერ ედუარდ შევარდნაძის ცოლი მოძღვრავდა ერს, 8 ლარად კარგმა დიასახლისმა ოჯახი უნდა არჩინოსო, მერე 24 ლარიანი შემწეობით ირჩინეთ თავიო, ახლა 48-60 ლარით უნდა იარსებოს სოციალურად დაუცველმა? გინდათ თუ არა, ხდებოდა სასწაული და ჩვენ ამით თავს ვირჩენდით. მახსოვს, როგორ ჩაენაცვლა კუპონს ლარი (ლარისწინა პერიოდში ვიყავი მილიონერი მხოლოდ) და გარდამავალ ფინანსურ პერიოდში ინტელექტით აღჭურვილები ვითმენდით მოუთმინარ მდგომარეობას. პანტაპუნტით დახოცილ საშუალო ასაკის ადამიანებზე იტყვიან ხოლმე: რამ მოკლა, ახალგაზრდა იყო და სასიკვდილოც არაფერი ეტყობოდაო. დიდი დროის მანძილზე სტრესული მდგომარეობა, არასრულფასოვანი კვება თუ ჯანმრთელობის დაცვა პოზიტიურს რომ არ მოიტანდა, ეს სათავეშივე უნდა გვცოდნოდა და არა შესართავებთან.

ქართველებს ისტორიულად კომფორტის შექმნისთვის არ უბრძოლიათ, ჩვენთვის გადარჩენისათვის ბრძოლაა დამახასიათებელი. ბევრს ალბათ ემახსოვრება გარდაქმნის (პერესტროიკის) პერიოდი, როცა მიხეილ გორბაჩოვმა „სუხოი ზაკონით“ შეზღუდა ალკოჰოლური სასმელების წარმოება-გამოყენება საშინაო პირობებში. არყის გამოხდა ღამით ჩუმად იმდაგვარ პირობებში ხდებოდა დაახლოებით, როგორშიც, სავარაუდოდ, პროკლამაციებს თუ ბეჭდავდნენ ბოლშევიკები 1917 წლამდე. ეს ამბავი ნამდვილია და გასაჭირი მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო, დასტურდება:

მიტოვებულ ძველ ფარდულში ღამით მავანი არაყს ხდიდა. ერთი მილიციელი დაეჭვდა, რატომ ამოდის კვამლი მიტოვებული ფიცრულიდანო. ადგილზე მისულმა თავწაკრული გლეხი დაინახეს და სამართალდამცავმა აქტის შედგენა დაიწყეს. გლეხმა უთხრა, მეც თქვენსავით აქ ახლა მოვედი, ვიღაცას დაუწყია გამოხდა, მე შემნიშნა და გაიქცა. ახლა თქვენც მოხვედით და რა მექნა, მიმეტოვებინა აქაურობაო? მიხედე ახლა ამას და მე წავალ, ადგილობრივ ხელისუფალს მოვიყვან და ძიებაც დაიწყეთო. გასულმა გლეხმა ათიოდე ადამიანი მიაყენა მალე ფარდულს: ნახეთ, ეს ის კაცი არაა, არყის ხდას რომ იშლევინება, თავად რას აკეთებსო? ფინალი საინტერესო აღარა, რადგან აქტის დაწერაც გადაიდო და კრეატივიზმიც ხელში გვაქვს!

გაჭირვება კი გვაჩვენებს გასაქცევს, მაგრამ სანამდე უნდა იყოს ჩვენი საქმე გასაქცევი?! თუნდაც ინტელექტუალურად შეიარაღებულს და კრეატიულებსაც გვლლის ეს ოხერი გაქცევა. რეალურად სანამ ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა არ დაიწყება, პენსიის და სოციალური შემწეობის ზრდა კალათას კი არა, კუჭსაც ვერ უზრუნველყოფს.

# სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი ამსტერდამში მიფრინავენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზე მალტის წარმომადგენლის ოლივია ლუისის, ხოლო 2012 წელს ევროფესტივალის გამარჯვებულის ლორენის ბექ ვოკალისტი იყო. იოჰანას ხშირად იწვევენ ბექ ვოკალისტად, როგორც შვედეთში ისე ქვეყნის გარეთ. ლიზეტე ვარეს იუჰლმენი კი ათწლეულებია, რაც მომღერალი და ბექ ვოკალისტია. ის 2007 წლის ევროფესტივალზე მალტის კონკურსანტთან ერთად მაყურებლის წინაშე როგორც მოცეკვავე და ბექ ვოკალისტი წარდგა. ლიზეტე 2009 წლის „მელოდიფესტივალის“ მონაწილეა. პროფესიონალი მომღერალი ლიზეტე არაერთი სატელევიზიო შოუს მონაწილეა. მღერის ღამის კლუბებში, „ფეშენ შოუებსა“ და კორპორატიულ ღონისძიებებზე, – ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი ნათია უზნაძე.

2013 წლის ევროფესტივალის ყველა კონკურსანტის ვინაობა უკვე ცნობილია. ცნობილია მათი სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობაც. კონკურსანტები ნახევარფინალებზე შემდეგი თანმიმდევრობით გამოვლენ: 14 მაისი – პირველი ნახევარფინალი: ავსტრია – ნატალია კელი, ესტონეთი – ბაირგითი, სლოვენია – ჰანა, ხორვატია – კლაპა სმორა, დანია – ემილიე დე ფორესტი, რუსეთი – დიანა გარიპოვა, უკრაინა – ზლატა ოგნევიჩი, ნიდერლანდები – ანოუკი, მონტენეგრო – ჯგუფი „ჰუ სიი“, ლიტვა – ენდრიუს პოიავისი, ბელორუსი – ალიონა ლანსკაია, მოლდოვა – ალიონა მუნი, ირლანდია – რეიენ დოლენი, კვიპროსი – დესპინა ოლიმპიოუ, ბელგია – რობერტო ბელაროსა და სერბეთი – ჯგუფი „მოუჯ 3“. 16 მაისი – მეორე ნახევარფინალი: ლატვია – ჯგუფი „პერ“, სან მარინო – ვალენტინა მონეტა, მაკედონია – ესმა და ლოზანოაზერბაიჯანი – ფერიდ მამადოვი, ფინეთი – კრისტა სიეგფრიდსი, მალტა – ჯანლუკა, ბულგარეთი – ელიცა ტოდოროვა, სტოიან იანკულოვი, ისლანდია – ეითორ ინგი, საბერძნეთი – ჯგუფი კოზა მოსტრა ფეატ და აგათონ იაკოვიდისი, ისრაელი – მორენ მეზორი, სომხეთი – დორიანსი, უნგრეთი – ბეიალექსი, ნორვეგია – მარგარეტ ბერგერი, ალბანეთი – ედრიენ ლულგიურაი და ბლედარ სეიკო, საქართველო – სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი, შვეიცარია – ჯგუფი თაკასა და რუმინეთი – ცეზარი. 18 მაისი – ფინალი: შვედეთი (I ნახევარფინალი) – რობინ სტიემბერგი, დიდი ბრიტანეთი (I ნახევარფინალი) – ბონი ტეილერი, გერმანია (II ნახევარფინალი) – კასკადა, იტალია (I ნახევარფინალი) – მარკო მენგონი, საფრანგეთი (II ნახევარფინალი) – ამანდა ბოურგეიოუსი და ესპანეთი (II ნახევარფინალი) – ჯგუფი „ი ეს დი ემ“. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში ავტომატურად გადავლენ: მასპინძელი ქვეყნის – შვედეთის და „დიდი ხუთეულის“ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის (პირველი ნახევარფინალი) წარმომადგენლები. დანარჩენი ფინალისტების ვინაობა ნახევარფინალების შედეგად გამოვლინდება.

ევროვიზიის კონკურსების მმართველმა ორგანომ, ევროპის მაუწყებელთა კავშირმა კონკურსის პირობებში გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. ცვლილების თანახმად, წელს ევროვიზიის კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის რიგითობა შოუს პროდიუსერებმა განსაზღვრეს. 2013 წლამდე ევროვიზიის კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობა დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრისას, კენჭისყრის შედეგად ირკვეოდა.

ამსტერდამში გამგზავრებამდე სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა კლიპის პრეზენტაცია გამართეს, რომელიც რესტორან „ქართული სახლის“ გახსნას დაემთხვა. წითელი ხალიჩა, სპეციალური ბანერი სამახსოვრო ფოტოებისთვის და ბევრი სიურპრიზი – ასეთი გარემო დახვდათ წვეულებაზე მისულ სტუმრებს. პრეზენტაციაზე მომღერლების მეგობრები, კოლეგები, ჟურნალისტები და სპონსორები იყვნენ მიწვეული. საპატიო სტუმართა შორის იყო კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილიც, რომელმაც განაცხადა, რომ სახელი სოფო ქართული კონკურსისთვის სიმბოლოდ იქცა – ევროვიზიის ყველა ფესტივალზე ქართველი მომღერალი სოფოა: სოფო ხალვაში, სოფო ნიჟარაძე, სოფო ტოროშელიძე და ამჯერად უკვე სოფო გელოვანი. საღამოზე, წლევანდელი ევროვიზიის საკონკურსო სიმღერის გარდა, ის სიმღერები შესრულდა, რომლებითაც საქართველო 6 წლის განმავლობაში ევროვიზიის სიმღერის კონკურსებში მონაწილეობდა. სოფო ხალვაში, სოფო ნიჟარაძე, ჯგუფი „ელდრაინი“, ანრი ჯოხაძე და საბავშვო ევროვიზიის მონაწილეები მაყურებლის წინაშე წარდგნენ.



– ევროვიზიის კონკურსს საქართველოში უკვე მეორე წელია წარმოადგენენ ფინურ-შვედური თელიასონერა და ჯეოსელი. წელს ამას განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა, რადგან თელიასონერა ასევე არის კონკურსის მასპინძელი შვედეთში. ასევე, ჯეოსელის ინიციატივით, შესაძლებელია, ნებისმიერმა მსურველმა მოიგოს ევროვიზიის ტური შვედეთში. ამისათვის 25 თებერვლიდან 4 აპრილის ჩათვლით ჯეოსელის აბონენტებმა უნდა აკრიფონ სპეციალური ნომერი, შეიძინონ ევროვიზიის პაკეტები და ყოველი პაკეტის შეძენისას ავტომატურად მიიღებენ გათამაშების ერთ ბილეთს. თამაშდება ევროვიზიის 5 ორკაციანი ტური შვედეთში. საგზურში შედის: ავიაბილეთი, ვიზა, სასტუმრო და ევროვიზიის კონკურსზე დასასწრები ბილეთები, – განაცხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელმა ნათია უზნაძემ.

ლირიკული ბალადა ქართველი კონკურსანტებისთვის შვედმა კომპოზიტორმა ტომ ჯეისონმა დაწერა. სიმღერაზე ასევე მუშაობდა ერიკ ბერნჰოლმი.

– ერიკ ბერნჰოლმი ბოლო 20 წელია სიმღერების ტექსტების შექმნაზე, პროდიუსინგსა და დამიქსვაზე მუშაობს. მან სიმღერები არაერთი ცნობილი შვედი შემსრულებლისთვის შექმნა. მის მიერ შექმნილი სიმღერით ესტონეთი 2002 წლის ევროფესტივალზე მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ერიკის ტალანტმა და ნოვატორულმა იდეებმა მას მთელ მსოფლიოში მოუტანა აღიარება. ის მუშაობდა სხვადასხვა ვარსკვლავებთან და ჯგუფებთან. ერიკ ბერნჰოლმის თანაავტორობით შეიქმნა სიმღერა, რომელიც გაყიდვების მხრივ „პლატინის“ ალბომშია შესული. ერიკ ბერნჰოლმის თანაავტორობით შეიქმნა პოპულარული სინგლი „ვოთს გოინ ონ“. მისი თანაავტორობით შექმნილი სიმღერა 2010 წლის ევროფესტივალზე ოსლოში დანიის კონკურსანტებმა შეასრულეს და მეოთხე ადგილი დაიმსახურეს. ერიკ ბერნჰოლმს, ტომას ჯეი სონს და ესპანელ პროდიუსერებს ეკუთვნით სიმღერა, რომელიც შარშან ევროფესტივალზე ესპანეთის წარმომადგენელმა პატრისია სოლერმა შეასრულა, – აღნიშნა ნათია უზნაძემ,

სიმღერის კლიპი საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე მომზადდა და მისი რეჟისორი თემო კვირკველიაა. ვიდეორგოლის გადაღება წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, შემდეგ კი თბილისში მიმდინარეობდა. ქართველი კონკურსანტების ჩაცმულობაზე დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემ იზრუნა. ნოდიკო ტატიშვილისა და სოფო გელოვანის დუეტზე გადაღებულ კლიპს ნაციონალური არხებით ის 28 ქვეყანა აჩვენებს, რომლის წარმომადგენლებიც „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობენ.

სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა უკვე გაახმოვანეს გზავნილი 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე:

– წელს ევროვიზიას შვედეთი მასპინძლობს. ჩვენი ქვეყანა კი უკვე მეექვსედ მონაწილეობს ამ ყველაზე დიდ მუსიკალურ საერთაშორისო კონკურსში. ჩვენ ვართ პირველი დუეტი საქართველოდან. გვინდა, ღირსეულად წარვდგეთ ევროპელი მსმენელის წინაშე და, რაც მთავარია, გავახაროთ ქართველი მაყურებელი. კონკურსის წესების თანახმად, საქართველოდან ხმებს ვერ მივიღებთ, ამიტომ თქვენი მხარდაჭერის იმედი გვაქვს, უცხოეთში მცხოვრებო ჩვენო თანამემამულენო. იცოდეთ, ჩვენ თქვენთვის ვმღერით და ჩვენ ერთნი ვართ! – აღნიშნულია სოფოსა და ნოდიკოს გზავნილში.

ევროფესტივალზე სოფო გელოვანის ყოველდღიურ ჩაცმულობაზე ტატიანა მეფარიძე იზრუნებს. მომღერლისთვის დიზაინერი სპეციალურად რამდენიმე კოსტიუმს შექმნის. სოფო გელოვანი ტატიანას მიერ შექმნილ სამოსს კონკურსის პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიღებების დროს მორიგებს.

– ტატიანა მეფარიძე თბილისის სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, აქვს ბაკალავრის დიპლომი მოდელირებასა და ტყავში. მან ასევე დაამთავრა სტამბოლის ლივერპულის უნივერსიტეტში მოდელირებისა და ტექსტილის ფაკულტეტი და სწავლობდა ბელერბის კოლეჯში ფოტოგრაფიას და ხელოვნების ისტორიას. შარშან ტატიანა მეფარიძემ საკუთარი ბრენდი სახელწოდებით „ტატიანა“ ჩამოაყალიბა, – განმარტავს ნათია უზნაძე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში შაბათობით დაიწყო ევროვიზიის დღიურის ჩვენება, რომელშიც ასახულია, როგორ ემზადებიან ევროვიზიის ქართველი მონაწილეები სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი კონკურსისთვის. პირველი გადაცემა მთლიანად სოფო გელოვანსა და მის ოჯახს მიეძღვნა, მეორე გადაცემის სტუმრები კი ნოდიკო ტატიშვილის ოჯახის წევრები იყვნენ.

წელსაც ქართველი კონკურსანტების ევროვიზიის სასცენო დადგმაზე ცნობილი რეჟისორი ლაშა ონიანი იმუშავებს. 58-ე ევროფესტივალის ქართველმა მონაწილეებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა რეპეტიციები დაიწყეს. რეპეტიციები რამდენიმე კვირას გაგრძელდება და საბოლოო ნამუშევარს მაყურებელი ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალურ საღამოზე 16 მაისს შეაფასებს.

სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის საიმიჯო ფოტოები „კიკალა სტუდიოში“ შეიქმნა. ახალი სურათები საზოგადოებრივი მაუწყებლის ევროვიზიის ოფიციალურ საიტზეა განთავსებული. ასევე, საიმიჯო ფოტოები ქართულ და უცხოურ საიტებზე, ჟურნალებში, პლაკატებსა და ევროვიზიის სარეკლამო ბილბორდებზე განთავსდება. ქართველი კონკურსანტების ჩაცმულობაზე კი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე ზრუნავს.

2013 წლის ევროფესტივალს საქართველოდან თემო კვირკველია გაუძღვება. საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე 14, 16 და 18 მაისს ევროვიზიის სიმღერის კონკურსი პირდაპირი ეთერით იქნება წარმოდგენილი.

– საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების რედაქციის მთავარ პროდიუსერს ევროვიზიის პროექტებთან არაერთხელ უთანამშრომლია. მას 2008 წლიდან პირდაპირ ეთერში მიჰყავდა საბავშვო ევროვიზიის ფინალური კონცერტები, 2011 წელს ევროვიზიის შიდაშესარჩევი და ფინალური კონკურსების წამყვანი იყო. ასევე თემო კვირკველიამ გადაიღო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენლების: ჯგუფ „ელდრაინის“, ანრი ჯოხაძისა და საბავშვო ევროვიზიის მონაწილე ჯგუფის „ზი ფანქიდს“ საკონკურსო სიმღერების ვიდეორგოლები. თემო კვირკველია 58-ე ევროფესტივალის ქართველი მონაწილეების სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის სიმღერის ვიდეოკლიპის რეჟისორიცაა. ამ კლიპის პრემიერა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში შედგა, – აცხადებს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი.

საქართველოს სახე 2013 წლის ევროფესტივალზე ლიზა წიკლაური იქნება. ის ევროპას საქართველოდან ხმის მიცემის შედეგს გააცნობს.

– ლიზა წიკლაური საზოგადოებრივ მაუწყებელში 2007 წლიდან მუშაობს, 2009 წლიდან კი საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ კულტურის ბლოკის წამყვანია. ევროპის წინაშე ლიზა წიკლაური თბილისიდან 18 მაისს ჩაერთვება.

2013 წლის ევროფესტივალის ქართველი კონკურსანტების სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის შესახებ უცხოელმა ჟურნალისტებმა სავიზიტო ვიდეო შექმნეს. 40-წამიანი ვიდეო ევროფესტივალზე ქართველი კონკურსანტების გამოსვლის წინ გავა. პაულ ევანსის ობიექტივში საქართველოს ღირსშესანიშნაობები და ევროვიზიის ქართველი კონკურსანტები მოხვდნენ. მათ გადაიღეს ფოტოებიც, რომლებიც სხვადასხვა უცხოურ საიტზე განთავსდება.

– სამკაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ოპერატორი პაულ ევანსი, პროდიუსერი ჯონ ჰერტოფი და ჯგუფის დირექტორი სებასტიან რედი გაერთიანდნენ, თბილისში სომხეთიდან ჩამოვიდა. მათ ობიექტივში მოხვდნენ ევროვიზიაზე სომხეთისა და მაკედონიის წარმომადგენლები. თბილისში გადამღები ჯგუფი რამდენიმე დღეს დარჩა და შემდეგ უკრაინაში გაემგზავრნენ, – აღნიშნა ნათია უზნაძემ.

სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა პრომო ტურის ფარგლებში სომხეთის ეროვნულ კონკურსზე იმღერეს. ქართველი მომღერლები სომხეთში იმყოფებოდნენ, სადაც სპეციალური სტუმრის სტატუსით იყვნენ მიწვეული.

– წელს სომხეთს გორ სიუანი წარადგენს. ის 25 წლისაა და ჯგუფ „დორიანსის“ სოლისტია. ის 2010 წლის ევროვიზიის კონკურსზე სომხეთის წარმომადგენელ ევა რივესთან ერთად ბექ-ვოკალისტად გამოვიდა. გორ სიუანი სომხეთში ყველაზე პოპულარული როკმუსიკოსია, მას უნიკალური ხმა აქვს. ის ჯაზმენისა და გიტარისტის მკრტიჩ სიუანის შვილია. 2010 წელს გორ სიუანი სომხეთის ნაციონალური მუსიკის დაჯილდოებაზე საუკეთესო მომღერლად დაასახელეს, – განმარტა საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელმა.

სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი პრომო ტურის ფარგლებში უკრაინაშიც იმყოფებოდნენ. ისინი უკრაინის რამდენიმე ტელევიზიასა და რადიოში იყვნენ მიწვეული, სადაც ევროვიზიის საკონკურსო სიმღერა შეასრულეს. სოფო და ნოდიკო უკრაინის წლევანდელ კონკურსანტს ევროვიზიაზე ზლატა ოგნევიჩს შეხვდნენ. როგორც ნათია უზნაძე განმარტავს, სოფო და ნოდიკო პრომო ტურების ფარგლებში კიდევ რამდენიმე ქვეყანას ეწვევიან.

მასპინძელმა მაუწყებელმა და ევროპის მაუწყებელთა კავშირმა დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრისას შვედეთის ქალაქ მალმოში 2013 წლის ევროფესტივალის სცენის დიზაინი წარმოადგინეს, რომელიც კონკურსის ლოგოტიპს უკავშირდება და პეპლის ფრთების ასოციაციას ქმნის. 58-ე ევროფესტივალს მალმეს არენა მასპინძლობს. „ჩვენ ერთნი ვართ!“ – ასე ჟღერს 2013 წლის ევროფესტივალის დევიზი. ლოგოტიპზე პეპელაა გამოსახული, კონკურსის თემა კი ევროპის ერთიანობის იდეას უკავშირდება.


## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ისევ კლასიკო, ისევ ხეცაძე, ისევ პრეტენზია

**ტორპედო – დინამო (თბ) 1:1**

**ქუთაისი. ცენტრალური**

1:0 ბერიაშვილი (29), 1:1 ჩისკო (42)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ზ.ჭელიძე, გ.ონიანი, ტაბატაძე, გიგაური, გ.გურული, საბანაძე, კუხიანიძე, დოლიძე (ტუღუში 83), ბერიაშვილი (ფანცულაია 66), ე.გრიგალაშვილი (ვ.ბოლქვაძე 77)

**დინამო:** ლორია, უსტარიცი, გ.კვარაცხელია, შაშიაშვილი, მილხრაუმი, ხმალაძე (ალვარო 77), გრაიციარი, ძარია, მერებაშვილი (გლიშიჩი 84), ჩისკო, დვალი (ტატანაშვილი 86)

მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – ორივე მათგანმა იცოდა უშუალო კონკურენტების ანგარიში. გორელთა გამარჯვებამ „დინამოს“ პირველობას შეუქმნა საფრთხე, ხოლო „ჩიხურას“ მოგებამ ქუთათურების მესამე ადგილს.

მოლოდინი გამართლდა – კლასიკოდ მიჩნეული ჯახი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. რაც მთავარია, მატჩს არ აკლდა საგოლე მომენტები, რომლითაც გამოირჩევა ფეხბურთი. მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ამას მასპინძლები უფრო იმსახურებდნენ, თუმცა „დინამოსაც“ საკმაოდ შეექმნა მომენტები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მატჩის არბიტრი ოთარ ხეცაძე, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში უკვე იმსაჯა ამ გუნდების თბილისური ჯახი. ის მატჩი „დინამომ“ 3:2 მოიგო და იმ შეხვედრაში, არბიტრმა ოთხი წითელი ბარათი, დიდი რაოდენობის ყვითელი ბარათები უჩვენა ფეხბურთელებს და საეჭვო პენალტიც დანიშნა „ტორპედოს“ კარში. იმ მატჩის შემდეგ, ორივე მხარე მსაჯების მოქმედებებით უკმაყოფილო დარჩა და საჯაროდ მოითხოვეს მსგავს მატჩებში უფრო კვალიფიციური მსაჯის დაყენება. როგორც ამ მატჩის შემდეგ გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ. თუმცა, მივყვეთ მატჩის მსვლელობას.

სტუმართა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა უცნაური სქემა არჩია და 4 მცველის წინ ერთბაშად 3 საყრდენი გაამწესა, შეტევაში კი მარცხნიდა ჩისკო, მარჯვნიდან – მერებაშვილი, ცენტრი კი – დვალი ირჯებოდა.

გია გეგუჩაძის სასტარტო თერთმეტეული უფრო შემტევი იყო – 4 მცველის წინ ერთი საყრდენი, სამი შეტევაზე ორიენტირებული ნახევარმცველი და ორი თავდამსხმელი იდგა.

მატჩის დებიუტში უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. რამდენიმე სახიფათო ჩაწოდება რიონისპირელებმა შეტევის მარჯვენა ფლანგიდან განახორციელეს, სადაც დოლიძე და ტაბატაძე კარგად მოქმედებდნენ და სიქა გააძვრეს დინამოელთა გერმანელ ლეგიონერ პატრიკ მილხრაუმს. მე-11 წუთზე „ტორპედომ“ ორიგინალურად გაითამაშა საჯარიმო და გურულის დარტყმის შემდეგ ლორიამ ბურთი კუთხურზე გადააგდო.

შემდეგ ბურთს მასპინძლები კი აკონტროლებდნენ, მაგრამ ხიფათი არ იქმნებოდა. 29-ე წუთზე კი, გოლი გავიდა. ბერიაშვილმა მეტოქის ნახევარზე კიდევ ერთ ლეგიონერ უსტარიცს სისწრაფეშიც აჯობდა და ძალისმიერი დუელიც მოუგო, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კი ოსტატურად დაარტყა და ანგარიში გახსნა – 1:0.

მასპინძლებს დაწინაურების შემდეგ მალევე შეეძლოთ გატანა. გიგაურის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოს ხაზიდან საბანაძე ურტყამდა ძლიერად, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. 39-ე წუთზე გიგაურმა გაისროლა შორიდან, მაგრამ ბურთს ლორია საიმედოდ დაეუფლა.

ტაიმის მიწურულს, ქუთაისელთა შეცდომების წყალობით, სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს. 42-ე წუთზე, საკუთარ ნახევარზე ბურთი ონიანმა დაჰკარგა, გრაიციარიმ შეტევის მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და გამოცდილმა ჩისკომ თავურით მიგინეიშვილს შანსი არ დაუტოვა – 1:1.

მოედნის ცენტრში ბურთის გათამაშებისთანავე, ქუთაისელებმა ბურთი ისევ დაჰკარგეს და დვალმა დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერად დაარტყა. მიგინეიშვილმა მუშტებით შეძლო ხიფათის განმუხტვა. 45-ე წუთზე მასპინძლებმა სახიფათო შეტევის განხორციელება შეძლეს, ჯერ ბერიაშვილის დარტყმული მოიგერია მეკარემ, შემდეგ დოლიძემ დაახანა დარტყმა, ბოლოს ბურთი კუხიანიძეს მიუვიდა, მაგრამ ბურთი კარისკენ სუსტად გაგზავნა.

მეორე ნახევარი სტუმართა სახიფათო მომენტით დაიწყო. ჩისკოს მიერ ტორპედოელთა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი, ცენტრალური მცველების უყურადღებობის წყალობით დვალამდე მივიდა, მანაც შემობრუნებით დაარტყა ახლოდან, მაგრამ მიგინეიშვილმა საოცარი რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ამის შემდეგ, სათამაშო უპირატესობას ისევ რიონისპირელები დაეუფლნენ. ტორპედოელებმა რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტიეს მეტოქის კარს და საქმე საბოლოო დარტყმამდეც მიიყვანეს, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში, ეს არ გამოსდიოდათ. განსაკუთრებით გამოსარჩევია ბერიაშვილის ახლოდან დარტყმული თავური, როდესაც ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ბურთი ზუსტად იქ გაუშვა, სადაც ლორია იდგა.

69-ე წუთზე დინამოელთა სწრაფი კონტრიერიშის შემდეგ უკვე „ტორპედო“ გადარჩა. ჩისკო მარჯვენა ფლანგიდან შევიდა საჯარიმოში და მოჭრილი დარტყმით, ბურთი ქუთაისელთა კარის ხარიხას გაარტყა.



ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა ბოლო ათწუთეული. 81-ე წუთზე, გრაიციარიმ დაარტყა ძლიერად და მიგინეიშვილმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო ბურთის მოგერიება. ცოტა ხანში, ქუთათურთა მცველებს ჩისკო გაეპარათ და ესპანელს დუბლის გაკეთების შანსი მიეცა, თუმცა მისი დარტყმული სანტიმეტრებით აცდა „ტორპედოს“ კარს. თითქმის მაშინვე, შორიდან ძლიერად, ისევ გრაიციარიმ დაარტყა და ამჯერადაც მიგინეიშვილი იყო საიმედო.

მატჩის ბოლო აკორდი კი, მსაჯი ხეცაძე გამოდგა. ტუღუში დინამოელთა შეცდომის შემდეგ ლორიასთან პირისპირ გავიდა, წინ გამოსული მეკარე მოატყუა და კარში დაარტყა. ბურთი ხელზე მოხვდა შაშიაშვილს და მოედანზე დაბრუნდა. თუმცა, ხეცაძემ ხელით თამაში ძალიან ახლოს მყოფმა ვერ დაინახა და ფეხბურთელებს თამაშის გაგრძელების უფლება მისცა. ეს მომენტი, ალბათ, კიდევ დიდხანს გახდება განსჯის საგანი.

არადა, ქართულ თითქოს რაღაც გამოსწორდა, სტადიონები და ბაზები უკეთეს სიტუაციაშია, გუნდები უკვე უცხოურ შეკრებებსაც გადიან, ფეხბურთელებიც იბრძვიან, რამდენიმე ნიჭიერი მწვრთნელიც გამოჩნდა, გულშემატკივრები ჯერ ცოტანი, მაგრამ კარგები არიან. აი, მსაჯებს კი, არაფერი ეშველათ და ეს მარტო ამ მატჩში არ გამოჩნდა.

ცალკე აღსანიშნავია გულშემატკივრები, რომლებიც მთელი მატჩის დროს არ გაჩერებულან, ხოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში საინტერესო ამბები ტრიბუნებზე ხდებოდა. ორივე გუნდის ქომაგები ერთმანეთს სხვადასხვა ფერის პიროტექნიკის გამოფენაში ეჯიბრებოდნენ. ამ სანახაობამ ეს საინტერესო მატჩი კიდევ უფრო გაალამაზა.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– წინასწარ ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა. თანაც გაგებული გვქონდა გორის „დილას“ მატჩის შედეგი. ბუნებრივია, მოგება გვსურდა, მაგრამ არ გამოგვივიდა. პირველი გოლის გატანამდე, მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა, მერე გათანაბრება მოვახერხეთ. მეორე ტაიმიც კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შევძელით. ცენტრელურმა მცველებმა ორი მომენტი „აჩუქეს“ მეტოქეს, თუმცა ვფიქრობ, საგოლე მომენტები ჩვენ უფრო შევქმენით.

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, რომლებმაც, ვფიქრობ, ძალზე საინტერესო თამაში აჩვენეს. ასევე ულრმესი მადლობა ქომაგებს, რომლებმაც საოცრად გაალამაზეს მატჩი. ვისურვებდი, რომ ყველა მატჩზე დასწრების ასეთი მაჩვენებელი ყოფილიყოს. მართალია, გვქონდა შეცდომებიც, მაგრამ ეს ფეხბურთია და შეცდომისგან დაზღვეული არავინაა.

**ჩიხურა – ზესტაფონი 1:0**

**საჩხერე. ივანწმინდის სტადიონი**

1:0 ოდიკაძე (3)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, საჯაია, რეხვიაშვილი, კაშია, ლომაშვილი, ბოლქვაძე (ქიმაძე 70), ჩიკვაიძე, დეკანოიძე (გ.ჩხეტიანი, 79), რ.გოცირიძე (ლ.ჭელიძე 90), ნ.კვასხვაძე

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, ლოსანო, თ.ღონღაძე, ბენაშვილი (რეკრუკი 46), იელიჩი, შარიქაძე (გორგიაშვილი 65), ენდელაძე, აფციაური (ჭანტურიშვილი 73), კუტალია

მატჩი მასპინძელთა სწრაფი გოლით დაიწყო – სტუმართა კართან დანიშნული ჯარიმა ზესტაფონელთა საჯარიმოში მაღალი ჩაწოდებით გაგრძელდა, როინ კვასხვაძემ ბურთის საჯარიმოს ფარგლებს გარეთ გამოტანა კი მოახერხა, მაგრამ მას დავით ოდიკაძე დაეუფლა და მახვილი კუთხიდან სტუმართა ცარიელ კარში გადაგზავნა.

გაშვებული ბურთის შემდეგ სტუმრები ტერიტორიულ უპირატესობას კი დაეუფლნენ, თუმცა აშკარა საგოლე მომენტები საჩხერელთა კართან ნაკლებად იქმნებოდა. გამონაკლისი გახლდათ ეპიზოდი, როდესაც გიორგი სომხიშვილის კარის სიახლოვეს კარგ პოზიციაზე მყოფ ლევან კუტალიას დარტყმა დაუგვიანდა.

მეორე ტაიმი შეხვედრის პირველი ნახევრის მსგავსი სცენარით წარიმართა. ბურთს და ტერიტორიას ზესტაფონელები ფლობდნენ, თუმცა მასპინძელთა მასირებულ დაცვაში ხვრელების პოვნა მათ ძალიან უჭირდათ.

მატჩის ბოლოსკენ, სტუმართა კიპერი ხშირად ტოვებდა კარს და პარტნიორების დასახმარებლად წინ მიიწევდა. როინ კვასხვაძის ერთ-ერთი ასეთი „გამოსვლის“ შემდეგ, საჩხერელებს მეორე გოლის გატანა მართებდათ, გიორგი ქიმაძემ 40 მეტრიდან დაარტყა მიტოვებული კარისკენ, მაგრამ არცთუ ძლიერად და ბურთს მცველმა მიუსწრო.

**დილა – ზუგდიდი 6:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0, 2:0 მოდებაძე (20, 25), 3:0 ილურიძე (68), 4:0, 5:0 არაბული (76, 86), 6:0 გორელიშვილი (90)

**დილა:** შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, კვირკველია, ი.მაისურაძე, აბურჯანია (ილურიძე 46), ლეონარდო, გოგუა (არზიანი 72), გორელიშვილი, მოდებაძე (არაბული 72), ჟუნიორი

**ზუგდიდი:** მაქაცარია, ქვარცხავა, აფაქიძე, რ.ონიანი, აკობია, შონია (ფარჯიკია 68), წურწუმია, შოთა ლომია, სიხარულია (ხუბუა 58), გუგუჩია (კუკავა 57), გაბედავა

საჩემპიონო ამბიციით მომართულ გორელებს ზუგდიდელთა ძლევა არ გასჭირვებიათ. ირაკლი მოდებაძემ და ბაჩანა არაბულმა დუბლი შეასრუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-მანჩესტერი ........... 0:1
არსენალი-რედინგი ........... 4:1
ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი ........... 3:1
სიტი-ნიუკასლი ........... 4:0
საუთჰემპტონი-ჩელსი ........... 2:1
უიგანი-ნორვიჩი ........... 1:0
სუონსი-ტოტენჰემი ........... 1:2
ევერტონი-სტოკი ........... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 25 | 2 | 3 | 70:31 | 77 |
| 2.სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55:26 | 62 |
| 3.ტოტენჰემი | 31 | 17 | 6 | 8 | 53:38 | 57 |
| 4.ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 59:32 | 55 |
| 5.არსენალი | 30 | 15 | 8 | 7 | 59:33 | 53 |
| 6.ევერტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 47:35 | 51 |
| 7.ლივერპული | 30 | 12 | 9 | 9 | 57:39 | 45 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 13 | 5 | 13 | 41:41 | 44 |
| 9.სუონსი | 31 | 10 | 10 | 11 | 41:40 | 40 |
| 10.ფულემი | 29 | 9 | 9 | 11 | 40:44 | 36 |
| 11.ვესტ ჰემი | 30 | 10 | 6 | 14 | 35:44 | 36 |
| 12.საუთჰემპტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 44:53 | 34 |
| 13.სტოკი | 31 | 7 | 13 | 11 | 27:36 | 34 |
| 14.ნორვიჩი | 31 | 7 | 13 | 11 | 28:47 | 34 |
| 15.ნიუკასლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41:56 | 33 |
| 16.სანდერლენდი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:43 | 31 |
| 17.უიგანი | 30 | 8 | 6 | 16 | 36:56 | 30 |
| 18.ასტონ ვილა | 30 | 7 | 9 | 14 | 31:56 | 30 |
| 19.რედინგი | 31 | 5 | 8 | 18 | 36:61 | 23 |
| 20.ქპრ | 30 | 4 | 11 | 15 | 26:48 | 23 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვულვზი-მიდლსბრო ........... 3:2
იფსვიჩი-ლიდსი ........... 3:0
ნოტინგემი-ბრაიტონი ........... 2:2
პიტერბრო-კარდიფი ........... 2:1
ჩარლტონი-ბოლტონი ........... 3:2
უენსდი-ბარნსლი ........... 2:1
ჰადერსფილდი-ჰალი ........... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-მალაგა ........... 1:3
სელტა-ბარსელონა ........... 2:2
სარაგოსა-რეალი ........... 1:1
ლევანტე-სევილია ........... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 90:33 | 75 |
| 2.რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 72:28 | 62 |
| 3.ატლეტიკო | 28 | 19 | 3 | 6 | 50:24 | 60 |
| 4.სოსიედადი | 28 | 13 | 8 | 7 | 49:35 | 47 |
| 5.მალაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 41:28 | 47 |
| 6.ვალენსია | 28 | 13 | 6 | 9 | 41:40 | 45 |
| 7.ბეტისი | 28 | 13 | 4 | 11 | 39:42 | 43 |
| 8.ხეტაფე | 28 | 12 | 6 | 10 | 38:44 | 42 |
| 9.რაიო | 29 | 13 | 2 | 14 | 38:49 | 41 |
| 10.ლევანტე | 29 | 11 | 7 | 11 | 34:41 | 40 |
| 11.სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43:41 | 38 |
| 12.ვალიადოლიდი | 28 | 9 | 8 | 11 | 36:38 | 35 |
| 13.ესპანიოლი | 28 | 9 | 8 | 11 | 33:37 | 35 |
| 14.ბილბაო | 28 | 9 | 5 | 14 | 32:51 | 32 |
| 15.ოსასუნა | 28 | 7 | 7 | 14 | 23:32 | 28 |
| 16.გრანადა | 28 | 7 | 7 | 14 | 26:39 | 28 |
| 17.სარაგოსა | 29 | 7 | 6 | 16 | 26:43 | 27 |
| 18.სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29:43 | 24 |
| 19.მალიორკა | 28 | 6 | 6 | 16 | 30:55 | 24 |
| 20.დეპორტივო | 28 | 4 | 8 | 16 | 32:59 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლას პალმასი-გვადალახარა ........... 0:1
ლუგო-ხერესი ........... 4:0
ხიხონი-რეალი ბ ........... 1:0
კორდობა-საბადელი ........... 3:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-სამპდორია ........... 0:0
ჯენოა-სიენა ........... 2:2
ინტერი-იუვენტუსი ........... 1:2
კალიარი-ფიორენტინა ........... 2:1
ლაციო-კატანია ........... 2:1
პალერმო-რომა ........... 2:0
პარმა-პესკარა ........... 3:0
უდინეზე-ბოლონია ........... 0:0
კიევო-მილანი ........... 0:1
ტორინო-ნაპოლი ........... 3:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 21 | 5 | 4 | 59:19 | 68 |
| 2.ნაპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 55:29 | 59 |
| 3.მილანი | 30 | 17 | 6 | 7 | 53:32 | 57 |
| 4.ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 54:37 | 51 |
| 5.ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 39:36 | 50 |
| 6.რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 60:51 | 47 |
| 7.ინტერი | 29 | 14 | 5 | 10 | 45:39 | 47 |
| 8.კატანია | 30 | 13 | 6 | 11 | 40:37 | 45 |
| 9.უდინეზე | 30 | 10 | 12 | 8 | 38:38 | 42 |
| 10.პარმა | 30 | 10 | 8 | 12 | 39:39 | 38 |
| 11.კალიარი | 30 | 10 | 8 | 12 | 37:49 | 38 |
| 12.სამპდორია | 29 | 10 | 7 | 12 | 35:33 | 36 |
| 13.ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 39:38 | 36 |
| 14.ტორინო | 30 | 8 | 12 | 10 | 37:39 | 35 |
| 15.კიევო | 30 | 10 | 5 | 15 | 31:45 | 35 |
| 16.ატალანტა | 30 | 10 | 6 | 14 | 30:42 | 34 |
| 17.ჯენოა | 30 | 6 | 9 | 15 | 31:47 | 27 |
| 18.სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 31:42 | 26 |
| 19.პალერმო | 30 | 4 | 12 | 14 | 25:43 | 24 |
| 20.პესკარა | 30 | 6 | 3 | 21 | 21:61 | 21 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-დორტმუნდი ........... 1:2
შალკე-ჰოფენჰაიმი ........... 3:0
ფრაიბურგი-გლადბახი ........... 2:0
ფორტუნა-ლევერკუზენი ........... 1:4
მაინცი-ვერდერი ........... 1:1
აუგსბურგი-ჰანოვერი ........... 0:2
ბაიერნი-ჰამბურგი ........... 9:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 23 | 3 | 1 | 78:13 | 72 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 15 | 7 | 5 | 62:32 | 52 |
| 3.ლევერკუზენი | 27 | 14 | 6 | 7 | 50:35 | 48 |
| 4.შალკე | 27 | 12 | 6 | 9 | 46:43 | 42 |
| 5.მაინცი | 27 | 10 | 9 | 8 | 34:30 | 39 |
| 6.აინტრახტი | 26 | 11 | 6 | 9 | 39:37 | 39 |
| 7.ფრაიბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 35:33 | 39 |
| 8.გლადბახი | 27 | 9 | 11 | 7 | 35:37 | 38 |
| 9.ჰამბურგი | 27 | 11 | 5 | 11 | 32:43 | 38 |
| 10.ჰანოვერი | 27 | 11 | 4 | 12 | 49:46 | 37 |
| 11.ნიურნბერგი | 26 | 8 | 10 | 8 | 29:32 | 34 |
| 12.შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 29:46 | 32 |
| 13.ვერდერი | 27 | 8 | 7 | 12 | 43:52 | 31 |
| 14.ვოლფსბურგი | 26 | 8 | 7 | 11 | 30:40 | 31 |
| 15.ფორტუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 33:40 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 27 | 5 | 9 | 13 | 23:40 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 27 | 5 | 5 | 17 | 30:52 | 20 |
| 18.ფიურტი | 26 | 2 | 9 | 15 | 16:42 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰერტა-ბოხუმი ........... 2:0
ინგოლშტადი-დუისბურგი ........... 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტრუა-სენტ ეტიენი ........... 2:2
აიაჩო-ტულუზა ........... 2:3
ბორდო-ლორიენი ........... 1:1
ვალანსიენი-ბასტია ........... 3:4
რენი-ნანსი ........... 0:2
ევიანი-რეიმსი ........... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 30 | 18 | 7 | 5 | 54:20 | 61 |
| 2.ლიონი | 29 | 15 | 8 | 6 | 48:30 | 53 |
| 3.მარსელი | 29 | 15 | 6 | 8 | 34:32 | 51 |
| 4.სენტ ეტიენი | 30 | 13 | 11 | 6 | 50:25 | 50 |
| 5.ნიცა | 29 | 13 | 9 | 7 | 41:33 | 48 |
| 6.ლილი | 29 | 12 | 10 | 7 | 41:30 | 46 |
| 7.მონპელიე | 30 | 13 | 6 | 11 | 44:36 | 45 |
| 8.ლორიენი | 30 | 11 | 11 | 8 | 48:45 | 44 |
| 9.ბორდო | 30 | 10 | 13 | 7 | 29:25 | 43 |
| 10.რენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41:41 | 42 |
| 11.ტულუზა | 30 | 10 | 11 | 9 | 36:34 | 41 |
| 12.ვალანსიენი | 30 | 9 | 9 | 12 | 40:45 | 36 |
| 13.ბასტია | 30 | 10 | 6 | 14 | 38:56 | 36 |
| 14.აიაჩო | 30 | 8 | 11 | 11 | 32:40 | 33 |
| 15.ევიანი | 30 | 7 | 10 | 13 | 34:43 | 31 |
| 16.რეიმსი | 30 | 7 | 10 | 13 | 28:37 | 31 |
| 17.ბრესტი | 29 | 8 | 5 | 16 | 28:42 | 29 |
| 18.სოშო | 29 | 7 | 7 | 15 | 30:46 | 28 |
| 19.ნანსი | 30 | 6 | 9 | 15 | 28:47 | 27 |
| 20.ტრუა | 30 | 4 | 13 | 13 | 36:53 | 25 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანტი-მონაკო ........... 1:2

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტვენტე-ბრედა ........... 1:1
ტილბურგი-გრონინგენი ........... 1:2
უტრეხტი-ვენლო ........... 2:1
ჰერენვენი-ფეინოორდი ........... 2:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-ოლაჰანენსე ........... 0:1
სეტუბალი-მარიტიმუ ........... 2:4
მორიერენსე-ეშტორილი ........... 1:1
აკადემიკა-პორტუ ........... 0:3
ბენფიკა-რიუ ავე ........... 6:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

რუბინი-ლოკომოტივი ........... 2:0
კრ.სოვეტოვი-მორდოვია ........... 0:2
დინამო-როსტოვი ........... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰართსი ........... 2:0
როსი-კილმანროკი ........... 0:1
დანდი-მოზერველი ........... 0:3
ჰიბერნიანი-ინვერნესი ........... 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-სერვეტი ........... 1:1
თუნი-გრასჰოპერსი ........... 1:0
ციურიხი-სტ.გალენი ........... 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-მატერსბურგი ........... 1:0
ინსბრუკი-ვოლფსბურგერი ........... 2:3
ნოიშტადი-შტურმი ........... 1:0
რიდი-რაპიდი ........... 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-იანინა ........... 2:1
არისი-პანთრათიკოსი ........... 0:0
პანათინაიკოსი-პლატანიასი ........... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთეპი-ესკიშეჰირი ........... 2:0
გალათასარაი-ისთანბული ........... 2:0
სივასი-ორდუ ........... 3:2

**ბელგია. პრო ლიგა**

ვარეგემი-ლოკერენი ........... 1:1
გენტი-მონსი ........... 2:1
ლეუვენი-ბევერენი ........... 3:1
ლიერსი-კორტრაიკი ........... 0:0
მეხელენი-შარლერუა ........... 0:0
ბეერსხოტი-სერკლი ........... 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-იაბლონეცი ........... 3:3
სპარტა-პლზენი ........... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-იაგელონია ........... 1:1
ბელხატუვი-შლიონსკი ........... 1:0
პოლონია-ლეგია ........... 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჰოვერლა-ილიჩევეცი ........... 1:1
მეტალურგი(დ)-მეტალურგი(ზ) ........... 2:0
არსენალი-ტავრია ........... 1:1
კარპატი-შახტარი ........... 1:2

**ირლანდია. პრემიერდივიზიონი**

ლიმერიკი-სტ.პატრიკი ........... 0:1

**აშშ. მლს**

ტორონტო-ლოს ანჯელესი ........... 2:2
ნიუ იორკი-ფილადელფია ........... 2:1
ნიუ ინგლენდი-დალასი ........... 0:1
კოლორადო-პორტლენდი ........... 2:2
კანზასი-მონრეალი ........... 2:0
ჰიუსტონი-სან ხოსე ........... 2:0
სოლტ ლეიკი-სიეტლი ........... 2:1
ჩივასი-ვანკუვერი ........... 2:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ატლანტა-ორლანდო ........... 97:88
მინესოტა-მემფისი ........... 86:99
ფილადელფია-შარლოტი ........... 100:92
ჰიუსტონი-კლიპერსი ........... 98:81
მილუოკი-ოკლაჰომა ........... 99:109
იუტა-ბრუკლინი ........... 116:107
საკრამენტო-ლეიკერსი ........... 98:103
ფინიქსი-ინდიანა ........... 104:112
გოლდენ სტეიტი-პორტლენდი ........... 125:98

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბუფალო-ვაშინგტონი ........... 3:3(0:1ბ)
მონრეალი-რეინჯერსი ........... 3:0
ოტავა-ტორონტო ........... 0:4
ფლორიდა-ნიუ ჯერსი ........... 3:2(ოტ)
მინესოტა-ლოს ანჯელესი ........... 3:3(1:0ბ)
ედმონტონი-ვანკუვერი ........... 4:0
სან ხოსე-ფინიქსი ........... 2:2(1:0ბ)

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ხელნაწერთა ცენტრში ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გამოცემა გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

პირველ აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართება ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ფაქსიმილური გამოცემისა და ალბომის გამოფენა-პრეზენტაცია.

როგორც ხელნაწერთა ცენტრი იუწყება, ღონისძიება ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. ღონისძიება პროექტის „ამბავი ერთი ხელნაწერისა" ფარგლებში ჩატარდება.

— XV საუკუნეში შექმნილი ქართულ-ბერძნული ხელნაწერი თავისი შინაარსითა და გაფორმებით უნიკალურია. ორენოვანი ხელნაწერი სხვადასხვა ლიტურგიკულ ტექსტსა და მინიატურების დამოუკიდებელ ციკლს შეიცავს. მეცნიერთა აზრით, ხელნაწერი წარმოადგენს ერთადერთ კრებულს, სადაც ჩართულია ისეთი მინიატურები, რომლებიც მანამდე თავმოყრილი სახით არ გვხვდება. ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, ამიტომ მისი გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ ზუსტად ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, მეცნიერების მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხელნაწერი შეიქმნა ათონის მთაზე. ამჟამად ხელნაწერი დაცულია სანკტ-პეტერბურგში, — აცხადებს ხელნაწერთა ცენტრის ხელმძღვანელი ბუბა კუდავა.

ღონისძიებას დაესწრებიან წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები.

2 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება პროექტის „ისტორიული საბუთების დიგიტალიზაცია და მონაცემთა ბაზა" შუალედური პრეზენტაცია.

— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია 40 ათასზე მეტი ისტორიული საბუთი, რომელთაგან დაახლოებით ნახევარი დედანია. მათი სახით საქმე გვაქვს კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელ დანატოვართან შინაარსით, ფიზიკური მხარით, მასალით, ფორმით, დაწერილობით, შესრულების ტექნიკით, შინაარსით, დოკუმენტურობით. ისტორიული საბუთების დედნები შესრულებულია ეტრატზე ან ძველი წარმოების ქაღალდზე. ორივე ეს მასალა, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის ან შეხების დროს, ექვემდებარება სხვადასხვა ტიპის დაზიანებას: ცვეთას, გამოშრობას, დატენიანებას, სკდომას. რადგან დედნებზე, როგორც პირველად წყაროებზე, მკვლევართა მოთხოვნა ძალზე მაღალია, აუცილებელი ხდება მათი საცავებიდან ხშირად გამოტანა, რაც, ცხადია, ზრდის დაზიანების რისკს. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ისტორიული საბუთების დედნების საიმედოდ დაცვისათვის აუცილებელი კომპონენტების შესრულებას: გადატანას ციფრულ ფორმატში და დედნების ფიზიკური, არქეოგრაფიული და შინაარსობრივი მახასიათებლების მონაცემთა ბაზაში შეტანას. პროექტის განხორციელებით სპეციალისტებს და ყველა დაინტერესებულ პირს სრული წარმოდგენა შეექმნება საბუთებში დაცულ ინფორმაციაზე, — განმარტავს ხელნაწერთა ცენტრის ხელმძღვანელი.

4 აპრილს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კორნელი კეკელიძის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება პროექტის „ქართული დამწერლობა (მონაცემთა ბაზა და პალეოგრაფიული ალბომი)" შუალედური პრეზენტაცია.

— პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნება პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები: მიზანი, დათარიღებულ ხელნაწერ წიგნთა და ისტორიულ დოკუმენტთა შერჩევისა და დამუშავების სტანდარტი, ტაბულებისათვის მასალის მომზადების წესი, მონაცემთა ბაზის აგებისა და მუშაობის ძირითადი პრინციპები, — აღნიშნულია ხელნაწერთა ცენტრის განცხადებაში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში უკვე გაიმართა ალბომ „ტაო-კლარჯეთის (ხელნაწერი მემკვიდრეობა)" პრეზენტაცია. ღონისძიებაზე ცენტრის მუდმივმოქმედ გამოფენასთან ერთად წარმოდგენილ იქნა საინფორმაციო ბანერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა და ხელნაწერების შესახებ. ალბომი გამოიცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

— ტაო-კლარჯეთში ერთ დროს დაცული თუ გადაწერილი ხელნაწერები მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს. გამოიცა არაერთი თხზულება, შესწავლილია მინიატურები, კოდიკოლოგიური თავისებურებანი. ერთიანი კატალოგი, სადაც თავმოყრილია მცირე ინფორმაცია ტაოკლარჯული ხელნაწერების შესახებ, პირველია. აღნიშნული კატალოგი ხელს შეუწყობს ტაოკლარჯული ხელნაწერების შემდგომ კვლევას, — განმარტავს ბუბა კუდავა.

ცნობილი ხდება, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა ფუნდამენტური კვლევებისა და გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგები, რომლის თანახმადაც, გამარჯვებულთა შორის არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტები: 1. გამოყენებითი კვლევებისათვის: საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები, მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა (ქართულ და ინგლისურ ენებზე). აღსანიშნავია, რომ პროექტმა მოიპოვა ყველა წარდგენილ პროექტს შორის უმაღლესი, მაქსიმალური შეფასება — 100 ქულა. 2. ფუნდამენტური კვლევებისათვის: ბიბლიური (ძველი და ახალი აღთქმის) სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში; ლიტერატურული და იკონოგრაფიული წყაროები და პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი", იოანე პეტრიწის თარგმანი და „განმარტება" (№1337 ხელნაწერის კრიტიკული და ფაქსიმილური გამოცემა).

ხელნაწერთა ცენტრში კორნელი კეკელიძის სამეცნიერო სემინარზე თეონა გელაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რომანოზ მიტროპოლიტი — დავით გარეჯელის ცხოვრება". საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში ერთი ხელნაწერის სახითაა დაცული „დავით გარეჯელის ცხოვრება". ხელნაწერი XVIII საუკუნის შუა წლებშია შექმნილი, მის ავტორად რომანოზ მიტროპოლიტია მიჩნეული. ამ ერთადერთი ტექსტის შემცველი ხელნაწერის აღწერის პროცესმა ტექსტთან და ხელნაწერთან დაკავშირებული თითოეული დამკვიდრებული შეხედულების გადამოწმების აუცილებლობა გამოიწვია და კიდევ ერთხელ წამოჭრა შემდეგი საკითხები: ნაწარმოების ავტორი, „ცხოვრების" შექმნის თარიღი, გადაწერის ადგილი და ხელნაწერის ანდერძში გადაშლილი ისტორიული რეალიები.

# ელისო ბოლქვაძემ საქველმოქმედო ფონდი დააფუძნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გაზრდა დამწყებმა ქართველმა პიანისტებმა, 9 წლის ბარბარე თათარაძემ და ილია ლომთათიძემ. მათ რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა შვეიცარიასა და საფრანგეთში გამართულ მასტერკლასებსა და კონცერტებში. მათი გამოსვლა ჩაწერა ფრანგულმა არხმა „მეცომ", რომელიც 45 ქვეყანაში გადაიცა. პატარა ვირტუოზები ახლახან დაბრუნდნენ პარიზიდან, სადაც მონაწილეობა მიიღეს „სოს ტალენტსის" პრესტიჟულ გალაკონცერტში. მათმა შესრულებამ აღაფრთოვანა პარიზის მაღალი საზოგადოება და ასევე ცნობილი გაზეთი „ფიგარო".

— ელისომ ამ გზაზე გაიყვანა ჩვენი ნიჭიერი ბავშვები, ამაში არ მარტო „მეცო", არამედ ყველაფერი დაიხმარა და მსოფლიოს გააცნო ჩვენი უნიჭიერესი თაობა. ამ ორმა ნიჭიერმა პიანისტმა პარიზში საკმაოდ პრესტიჟულ კონცერტში მიიღეს მონაწილეობა და ფრანგულმა პრესამ ეს კონცერტი აქტიურად გააშუქა. ამ ბავშვებს მაქსიმალური ხელშეწყობა სჭირდებათ და ელისო ბოლქვაძე ამ მხრივ სამაგალითოა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ავამაღლოთ კულტურის დონე საქართველოში, — განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა" თანამშრომლობს ბათუმის სამუსიკო სკოლასთან, სადაც ქართველი პიანისტი ხშირად აწყობს მასტერკლასებსა და შესარჩევ მოსმენებს.

2013 წლის აპრილის დასაწყისში ელისო ბოლქვაძე გამართავს საქველმოქმედო კონცერტს ჭიათურაში „საქართველოს სინფონიეტასთან" ერთად, რათა მხარი დაუჭიროს ნორჩ პიანისტთა რეგიონული კონკურსის ჩატარებას.

14 მაისს კი ფონდ „ლირას" სტიპენდიატები ბარბარე თათარაძე და ილია ლომთათიძე მონაწილეობას მიიღებენ გალაკონცერტში ჟენევაში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აწყობს.

# სპორტი 17-წლამდელები ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდნენ

**ავსტრია — საქართველო 2:1**

1:0 ჟივოტიჩი (14), 2:0 გრბიჩი (24), 2:1 ზარანდია (38)

**ავსტრია:** შლაგერი, პერიჩი, ლერშერი, გლუჰაკოვიჩი, პრობსტი, ტურში, ხორვატი, რიპიჩი (შტაინერი 72), გრბიჩი (ბაუმგარტნერი 80+1), პელეგრინი, ჟივოტიჩი

**საქართველო:** გოშაძე, პატარკაციშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, გელაშვილი, შულაია, თევზაძე (ჩაბრაძე 67), გოროზია (ბერიძე 63), ხარაიშვილი, ზარანდია, რომან ჭანტურია

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ მარტო თავის თავზე არ იყო დამოკიდებული. არადა, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენთვის საჭირო სცენარი ითხოვდა, მაგრამ აქ უკვე ქართველმა ჭაბუკებმა ვერ ივარგეს.

სამწუხაროდ, გიორგი დევდარიანის შეგირდები ავსტრიელ თანატოლებთან ანგარიშით 1:2 დამარცხდნენ და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ერთი გუნდი გადიოდა. ამ გამარჯვებით საგზურის მოპოვება ავსტრიამ შეძლო.

შეხვედრაში ანგარიში ავსტრიელთა მხრიდან მე-14 წუთზე ნიკოლა ჟივოტიჩმა გახსნა, ხოლო 24-ე წუთზე ავსტრიელებმა ადრიან გრბიჩის გოლის წყალობით სხვაობა ორამდე გაზარდეს. ქართველების მხრიდან ერთადერთი გოლის გატანა კი ლუკა ზარანდიამ პირველი ნახევრის მიწურულს შეძლო.

პარალელურ მატჩი ირლანდიისა და სერბეთის 17-წლამდელთა ნაკრებებს შორის ფრედ, 1:1 დასრულდა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| 2.სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 3.ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| 4.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |

# ისევ კლასიკო, ისევ ხეცაძე, ისევ პრეტენზია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლეს, მათ შუაში თავი გიორგი ილურიძემ გამოიჩინა, ხოლო საბოლოო წერტილი მიხეილ გორელიშვილმა დასვა.

**სატურნირო ცხრილი**

**1-6 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 25 | 17 | 6 | 2 | 67:20 | 57 |
| 2.დილა | 25 | 18 | 2 | 5 | 44:16 | 56 |
| 3.ჩიხურა | 25 | 15 | 5 | 5 | 39:22 | 50 |
| 4.ტორპედო | 25 | 14 | 6 | 5 | 42:19 | 48 |
| 5.ზესტაფონი | 25 | 11 | 5 | 9 | 31:23 | 38 |
| 6.ზუგდიდი | 25 | 10 | 5 | 10 | 28:38 | 35 |

**სიონი — დინამო (ბთ) 0:1**

0:1 გურული (64)

**სიონი:** ბობლიაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ელიავა, ჰაიდუჩეკი (მანწკავა 74), ცხადაია (ნემსაძე 46), ლექვთაძე (უგრეხელიძე 57), კლიმიაშვილი, მიკუჩაძე, ახალაია.

**დინამო (ბთ):** პიცანი, ფარტენაძე, ჟვანია, ლობჟანიძე, გაბუნია, მახარაძე, მუჯირი, მაკარიანი, კოშკაძე (ბაციკაძე 86), სანდრო გურული (გოგიტიძე 81), ჩიმაკაძე

ქვედა ექვსეულის გამორჩეულ მატჩად ეს დაპირისპირება მიიჩნეოდა და არცთუ უსაფუძვლოდ. ზამთრის პაუზისას ორივე გუნდი საკმაოდ გაძლიერდა და ასეთი შემადგენლობა თავიდან რომ ჰყოლოდათ, გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებდნენ. ამჯერად კი, ელიტაში ყოფნა-არყოფნის საკითხით არიან დაკავებული.

მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. 64-ე წუთზე ჩიმაკაძე-მუჯირი-გურულის ლამაზი კომბინაცია გოლით დასრულდა, რითიც ბათუმელებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს და გასავარდნ ზონას თავი დააღწიეს.

**მერანი — კოლხეთი 0:1**

0:1 ჯანაშია (80)

**მერანი:** შეროზია, გეგეჭკორი, ლ. ღონღაძე, ქარქუზაშვილი, ხუბუა (მელიავა 46), დიდავა, ბუკია, ფონიავა, კუჭუხიძე, ტორონჯაძე (ბანება 60), ს.ლომია (მონიავა 72)

**კოლხეთი:** ხარშილაძე, გ.კილასონია, ჩადუნელი, ფარულავა, კაკულია, გოგონაია, ზ.ჯანაშია, როსინი (ხოშტარია 65), მოისწრაფიშვილი, კრასოვსკი (წაბრია 72), კვანტალიანი (ბუხაიძე 90)

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა „კოლხეთმა", თუმცა მათი ეს წარმატება უკვე დაგვიანებული ჩანს. მართალია, ფოთელებს ჯერ კიდევ აქვთ თეორიული შანსი დარჩნენ ელიტაში, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება შეუძლებელი ჩანს.

ერთადერთი გოლი კი, კილასონიას გამჭოლი პასის შემდეგ ზამირ ჯანაშიამ გაიტანა.

**ვიტ ჯორჯია — მეტალურგი 2:3**

0:1 სიხარულიძე (30), 1:1 ჯანელიძე (37), 2:1 ლობჯანიძე (60), 2:2 ახალკაცი (62), 2:3 ლობჟანიძე (73)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, მჭედლიშვილი (გეთიაშვილი 46), ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე, ვასაძე (ღიბრაძე 52), გურეშიძე, ჯანელიძე, ლობჯანიძე, გაბრიჭიძე (კუხალეიშვილი 64)

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, სუხიაშვილი, ინწკირველი, მახვილაძე, გავაშელიშვილი, ლობჟანიძე, რაზმაძე, ახალკაცი, სიხარულიძე, ხაბელაშვილი, ქავთარაძე

„მეტალურგს" თავი ქუდში აქვს და ელიტიდან გავარდნა ნამდვილად არ ემუქრება, მაგრამ გუნდმა ფეარ პლეის წესების დაცვით ითამაშა და „ვეტერინარებს" სტუმრად 3 ქულა წაართვა.

თავდაპირველად „მეტალურგი" იგებდა, შემდეგ — „ვიტ ჯორჯია". აქ უკვე ეჭვი გაჩნდა, რომ რუსთაველებმა მეტოქეს ქულები დაუთმეს, მაგრამ „მეტალურგმა" ყველა ეჭვს წყალი გადაასხა და მატჩი სათავისოდ შემოატრიალა.

**სატურნირო ცხრილი**

**7-12 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.მეტალურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 26:29 | 38 |
| 8.მერანი | 25 | 7 | 3 | 15 | 24:39 | 24 |
| 9.დინამო (ბთ) | 25 | 6 | 4 | 15 | 26:47 | 22 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 25 | 5 | 7 | 13 | 17:36 | 22 |
| 11.სიონი | 25 | 5 | 6 | 14 | 17:41 | 21 |
| 12.კოლხეთი | 25 | 2 | 4 | 19 | 14:45 | 10 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო თბ) — 19 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) — 17; საბა ლომია (მერანი) — 13; ალვარო (დინამო თბ) — 12; ნიკა საბანაძე (ტორპედო) — 10.

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. ჭურის მსგავსი ჭურჭელი; 2. ერთ-ერთი ეროვნება; 3. სუსტი არაყი; 4. დედალოსის შვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 5. სამიანი კამათელზე; 6. წელკავი; 7. სასმისი;. 8. გარიჟრაჟი; 9. კავშირი, გაერთიანება; 10. ... კალანდაძე; 11. კუზიანი კურდღელი; 12. ერთგვარი გომბეშო; 13. ამერიკის კოსმოსური სააგენტო; 14. დედამიწის თანამგზავრი; 15. ძვირფასი ქვა; 16. სოფელი ოჩამჩირის რაიონში; 17. კარგი ამინდი; 18. ქართული ბანკი; 19. ვნება, ზარალი; 20. უკრაინის პარლამენტი; 21. ხილისგან დამზადებული ტკბილი სასმელი; 22. მსუბუქი ძილი, თვლემა; 23. სოფელი ცხინვალის რაიონში; 24. ... დე ბალზაკი; 25. იაპონური თეატრის სახეობა; 26. საჭირო ნივთიერებათა გამომუშავება და გამოყოფა ჯირკვლების მიერ; 27. სანელებელი; 28. ნახშირის ფანქარი სახატავად; 29. დაბა ზესტაფონის რაიონში; 30. საკვებად ვარგისი ტყის ბალახი; 31. ასო „პ"-ს სახელწოდება; 32. დროშა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ერებუსი; 2. ჰოპკინზი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კატაკლიზმა; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. ვისკოზა; 13; კლინიკა; 16. „ჯამბაზები"; 17. ლილახანა; 19. ეკვატორი; 21. ტრასა; 23. შაორი.

**თარაზულად:** 6. ტრიფოლიატი; 7. ფოფოდია; 8. მურსია; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. კანოე; 20. ლიკეუმი; 22. კაშხალი; 24. ერმისა; 25. რეფლექსი; 26. ბარონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოფეინი; 2. ინდოეთი; 3. პიგმენტი; 4. ბაკარა; 5. პეიზაჟი; 8. ლინდერი; 9. კაბოშონი; 12. ბროწეული; 13. სტატუსი; 16. „მალვაზია"; 17. ვალენსა; 19. იამოტო; 20. ღამურა.

**თარაზულად:** 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. „ლამარა"; 10. სინთეზი; 11. მალა; 14. მეტაფორა; 15. მოდერატო; 18. ბაგები; 21. ამსტელი; 22. გაუჩო; 23. „ოდისეა"; 24. „ნატახტარი".

# რუსეთის საბრძოლო ხომალდების ნაწილი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა

რუსეთის 20-მდე საბრძოლო ხომალდი შავ ზღვაში მოულოდნელად დაწყებული საბრძოლო მომზადების ფარგლებში ჩატარებული წვრთნების შემდეგ, სევასტოპოლის მთავარ ბაზაზე დაბრუნდა.



„რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაშია ნათქვამი. ამავე უწყების ინფორმაციით, სამხედროებმა საბრძოლო ამოცანებს პროფესიონალურად გაართვეს თავი. პრაქტიკულ მოქმედებებში მონაწილეობდა დაახლოებით 7 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე, 250-მდე ჯავშანმანქანა, 20-მდე სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენი და 30-მდე სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო ხომალდი. სააგენტოს ცნობით, მოსალოდნელია, რომ ხვალამდე ყველა საბრძოლო ხომალდი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული წვრთნების გამო შეშფოთება გამოთქვა.

„ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მიერ შავ ზღვაში მოულოდნელად დაწყებული სამხედრო წვრთნების გამო შეშფოთებული არ არის“, – ეს განცხადება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ვიქტორია ნულანდმა გააკეთა. მისი თქმით, შავ ზღვაში მიმდინარე სამხედრო წვრთნები საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებს არ სცდება. როგორც ცნობილია, რუსეთმა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ბრძანების შესაბამისად, რომელიც მან შესაბამის უწყებებს თვითმფრინავის ბორტიდან მისცა (როდესაც სამხრეთ აფრიკიდან შინ ბრუნდებოდა) შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი წვრთნები ხუთშაბათს ისე დაიწყო, რომ წინასწარ არ დაუანონსებია.

# ღმერთს ნელსონ მანდელას ჯანმრთელობას ავედრებენ

სამხრეთ აფრიკის ეკლესიებში ყოფილ პრეზიდენტ ნელსონ მანდელას ჯანმრთელობისათვის ლოცულობენ, – იუწყება „ბიბისი“. მანდელას საავადმყოფოში ფილტვის ინფექციით დააწვინეს და უკვე მეოთხე დღეა, მკურნალობს. მას დამოუკიდებლად სუნთქვა უკვე შეუძლია და ჭამის მადაც დაუბრუნდა. თუმცა მისი ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული საფრთხეები კვლავაც ნარჩუნდება.

ცნობისათვის: ნელსონ მანდელა 94 წლისაა.

ნელსონ მანდელა (სრულად როლიჰლაჰლა დალიბუნგა მანდელა იყო ანტიაპარტეიდის მოძრაობის აქტივისტი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

პრეზიდენტობამდე იყო აფრიკის ნაციონალური კონგრესის (ანკ) ლიდერი. მანდელამ ციხეში გაატარა 27 წელი საბოტაჟისათვის მას შემდეგ, რაც „ანკ“ იატაკქვეშეთში გადავიდა და შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო. ციხეში გატარებული 27 წლის განმავლობაში, მანდელა გახდა ანტიაპარტეიდის მოძრაობის და ზოგადად რასული თანასწორობისათვის ბრძოლის სიმბოლო როგორც სამხრეთ აფრიკაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

# სამგლოვიარო განცხადებები



## მანანა ჯიბლაძის მონატრება

1 აპრილი შენი დაბადების დღეა, ჩვენო მანანა – 61 წელი შეგისრულდებოდა, ის მძიმე ავადმყოფობა რომ არა. უკვე 6 წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გვენატრები ყველას ძალიან, გვაკლიხარ დიდად, შენი მხიარული სახითა და კეთილი გულით.

შენს საფლავზე მოვალთ, მოგიტანთ ყვავილებს, დავანთებთ სანთლებს.

მარადიული მოგონება და ხსენება იყოს შენი.

***მონატრებით: მეუღლე თამაზი, შვილები სოფო, თეკო, სიძეები მიხეილი, თემო, შვილიშვილები გიორგი, ნიცა, ახლობლები, ნათესავები, გამწარებული დედაშენი ლეილა***



ვახტანგ მაისაია და მისი ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ბარბარე დიმიტრის ასული დუდუჩავა

ნათელში იყოს მისი სული.

პანაშვიდი: კვირას, 31 მარტს, 16 საათზე, ორშაბათს, 1 აპრილს, 16 საათზე, იოსებიძის ქუჩა №61ა, ბინა №3 (საბურთალოს ბაზრის სიახლოვეს).

გამოსვენება: სამშაბათს, 2 აპრილს, 14 საათზე, კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს ეკლესიიდან.



მამა შალვა (ჯუმბერ) გაფრინდაშვილი, დედა ნანა ფურცელაძე, მეუღლე კახა შავერდაშვილი, შვილები ლაშა, ნიკა, ძმა დავითი, ძმისშვილი გიორგი, დეიდა ნათელა, ბიძა იროდი კეკელიები, ბიძა ავთანდილი, ბიცოლა იულია ფურცელაძეები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ნატალია (ნატო) გაფრინდაშვილი

პანაშვიდი: 31 მარტს, 1 აპრილს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 2 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: III მასივი, X კვარტალი, XIII კორპუსი, შუამთის ქუჩა.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებენ



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევასა და „კანონდარღვევის წაქეზებაში“ ადანაშაულებს. ასე უპასუხა რუსეთის საგარეო უწყებამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ვიქტორია ნულანდის განცხადებას, რომელიც რუსეთში არსებული არაკომერციული ორგანიზაციების შემოწმების საკითხს უკავშირდებოდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აღინიშნა, რომ ზოგი არაკომერციული ორგანიზაციის დააფინანსება შუამავლების მეშვეობით გაგრძელდება. „სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის, ვიქტორია ნულანდის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთში მოქმედი ზოგი არაკომერციული ორგანიზაციის დაფინანსებას მესამე ქვეყნებში არსებული შუამვლების მეშვეობით, რუსეთის კანონმდებლობის გვერდის ავლით, გააგრძელებს, ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევად ვაფასებთ“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსნადრე ლუკაშევიჩის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ვიქტორია ნულანდის ზოგიერთი გამონათქვამი „ცინიკურია“ და ასევე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის რეაქცია „არაადეკვატური“. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრები აკრიტიკებენ არასამთავრობო ორგანიზაციების მასობრივ შემოწმებას. საბჭოს წევრმა სერგეი კრივენკომ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთში მიმდინარეობს ბოლო 25 წლის განმავლობაში უპრეცედენტო პროცესი. კრივენკომ, რომელიც უფლებადამცველ ჯგუფ „მემორიალის“ მმართველი საბჭოს წევრიც არის, შემოწმებები შეადარა სამოქალაქო საზოგადოების შევიწროვებას სტალინის მმართველობის პერიოდში.

პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებათა საბჭოს თავმჯდომარის, მიხაილ ფედოტოვის განცხადებით, საბჭო გენერალურ პროკურორს, იური ჩაიკას სთხოვს ახსნა-განმარტებას არაკომერციულ ორგანიზაციებში მასობრივ შემოწმებებთან დაკავშირებით. იუწყებიან აგრეთვე, რომ პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები შევიდნენ მოსკოვის „ჰელსინკის ჯგუფის“ ოფისის შესამოწმებლად. ამის შესახებ ჯგუფის ხელმძღვანელმა, ცნობილმა უფლებადამცველმა ლიუდმილა ალექსეევამ განაცხადა რადიო „თავისუფლების“ რუსულ სამსახურთან საუბარში.

„მოვიდნენ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლები და მოითხოვეს დოკუმენტების საკმაოდ შეზღუდული სია. დოკუმენტების ნაწილს ასლი გადავუღეთ და მაშინვე გადავეცით, ხოლო ნაწილზე ვთანხმდებით, რომ გადავცემთ, როცა მზად იქნება“, განაცხადა ალექსეევამ. რუსი ოფიციალური პირების განცხადებით, შემოწმება ტარდება იმის დასადგენად, ემორჩილებიან თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები რუსეთის ახალ კანონებს, რომლებიც უცხოეთიდან დაფინანსებას ეხება.

# სირიის თავისუფალი არმია ბაშარ ასადის სიკვდილის შესახებ იუწყება



სირიის თავისუფალი არმიის გენერალი შუხადაი დუმა ვიდეო პორტალ „იუთუბზე“ ვიდეო მიმართვას ავრცელებს, სადაც სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის გარდაცვალების შესახებ იუწყება.

„ეს ის სიახლეა, რომელსაც სირიაში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდნენ. ჩვენ ბაშარ ასადის გარდაცვალების შესახებ გვაუწყეს. თუ ის მართლა ცოცხალია მაშინ უახლოესი 12 საათის განმავლობაში დაამტკიცოს და გამოჩნდეს“,-განაცხადა დუმამ.

სირიის თავისუფალი არმიის გენერალი, ასადის დაქვემდებარებაში მყოფ ჯარისკაცებსაც მიმართავს და მოუწოდებს თავისუფალ არმიას დანებდნენ.

„ეს სიახლე ბაშარ ასადის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარსიკაცებისთვისაა. დანებდით სანამ გვიანი არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად გაგისწორდებით. თუ დაგვნებდებით, გპირდებით სამართლიანი სასამართლო გელით წინ. ის ვისთვისაც თქვენ იბრძოდით ახლა მკვდარია. მოსაფიქრებლად სამ დღეს გაძლევთ. ეს ბოლო გაფრთხილებაა“,-დასძინა დუმამ.

ბაშარ ასადის რეჟიმის ტელეარხები აღნიშნულ ინფორმაციას უარყოფენ და აცხადებენ, რომ პრეზიდენტი ცოცხალია. მათივე თქმით ის ძალიან მალე წარსდგება საზოგადოების წინაშე.

შეგახსენებთ, არაბულმა მედიამ ამ დღეებში ინფორმაცია გაავრცელა, რომ თითქოს სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი კვირას საკუთარმა დაცვის წევრმა დაცხრილა. არაბულ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, „ნიუ იორკ დეილი ნიუსი“ იტყობინება, რომ დაცვის წევრი წარმოშობით ირანელია. პრეზიდენტი მძიმე მდგომარეობაში დამასკოში, ალ-შამის საავადმყოფოში მიიყვანეს, ხოლო გზები სახელისუფლო ჯარების მიერ იყო გადაკეტილი. სირიის არმიის წარმომადგენლებმა გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. „ეს რომ სიმართლე იყოს, ისრაელის მედიას მის გავრცელებას ვერავინ დაასწრებდა. ამასთან, ასადს ირანელი დაცვის წევრები არ ჰყავს. პრეზიდენტი ჩვეულებრივ აგრძელებს მუშაობას“, – აცხადებს „როიტერთან“ სირიის ხელისუფლების წარმომადენელი. სირიის კონფლიქტში, გაეროს მონაცემებით, 70 ათასი ადამიანია დაღუპული. კონფლიქტი 2011 წლის მარტიდან დაიწყო, როცა ოპოზიციის მასობროვ საპროტესტო აქციებზე ბაშარ ასადის პოსტიდან გადადგომა მოითხოვეს.

# რომის პაპმა სააღდგომო მესა აღავლინა



რომის ახლად არჩეული პაპი კათოლიკურ სამყაროს რწმენის გაძლიერებისკენ მოუწოდებს. პაპმა ფრანცისკემ აღნიშნულის შესახებ ვატიკანში, წმინდა პეტრეს ბაზილიკაში ისაუბრა. ახლად არჩეულმა პაპმა სააღდგომო მესა პირველად აღავლინა და მრევლს ქადაგებით მიმართა. აღსანიშნავია, რომ პაპი უბრალო სამოსით წარსდგა მომლოცველების წინაშე და მან ქადაგება არა პაპისთვის განკუთვნილ ტახტზე მჯდომა, არამედ ჩვეულებრივი მღვდლის მსგავსად ფეხზე მდგომმა წაიკითხა.

„ნება მიეცით მკვდრეთით აღმდგარ იესოს თქვენს ცხოვრებაში შემოვიდეს. მიიღეთ ის როგორც მეგობარი უდიდესი ნდობით, ის სიცოცხლეა. თუ დღემდე მასთან ურთიერთობისგან თავს იკავებდით, ახლა გადადგით ნაბიჯი, ის აუცილებლად გაშლილი ხელით მოგეგებებათ. თუ გულგრილი იყავით ახლა გარისკეთ, იმედგაცრუებული არ დარჩებით. თუ უფლის გზით სიარული რთულ გზად მოგეჩვენათ, ნუ შეშინდებით, იცოდეთ რომ ის თქვენს გვერდითაა, ის მოგცემთ ძალასა და მშვიდობას, რასაც ასე ეძებთ“, აღნიშნა პაპმა ფრანცისკემ ქადაგებისას. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის დადგომასთან დაკავშირებით, თანამოქალაქეებს სიტყვით შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიმართა და მათ აღდგომა მიულოცა. ობამამ ამერიკელ ხალხს შემოქმედის და ერთმანეთის სიყვარულისკენ მოუწოდა და იესო ქრისტეს მიერ ადამიანებისთვის გაღებულ მსხვერპლთშეწირვაზე ისაუბრა.

„მილიონობით ამერიკელიისათვის ეს განსაკუთრებული და წმინდა დღეა. მე და ჩემი ოჯახი მსოფლიოს გარშემო არსებულ ყველა ქრისტიანს შევუერთდებით და აღდგომის დიდებულ დღესასწაულს აღვნიშნავთ. ამ წმინდა დღეებში აჩქარებული ცხოვრების ტემპის შენელებისა და ლოცვის განსაკუთრებული შესაძლებლობა გვეძლევა. როგორც ყველა ქრისტიანმა, მე და ჩემმა ოჯახმა იესო ქრისტეს მიერ გაღებული დაუჯერებელი მსხვერპლთშეწირვის შესახებ ვიცით. მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ამით თითოეული ჩვენგანი იხსნა, ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, რომ მის მაგალითს მივყვეთ. უნდა გვიყვარდეს შემოქმედი, უნდა გვიყვარდეს ჩვენს გვერდით მყოფი ადამიანები, თითოეულ ადამიანში უფლის შვილი უნდა დავინახოთ, რა თქმა უნდა, ეს არამხოლოდ ქრისტიანების მოვალეობაა. იუდაიზმი, ისლამი, ინდუიზმი ყველა ეს სარწმუნოება მოყვასის სიყვარულს ქადაგებს, ჩვენი გულები სავსე უნდა იყოს თანაგრძნობით, ეს არის უმთავრესი ადამიანობაში. როგორც ამერიკელები, ჩვენ კიდევ ერთი რამ გვაერთიანებს – ეს იდეალის რწმენაა, მიტომ იმედი მაქვს, რომ ყველა ჩვენგანი ცოტა ხნით დაფიქრდება ამ საკითხებზე, ღმერთმა დალოცოს ამერკელი ერი და ამერიკის შეერთებული შტატები“-განაცხადა ობამამ.

ხვალ თეთრ სახლში ტრადიციული სააღდგომო წვეულება გაიმართება, პრეზიდენტის ოჯახი 35 ათას სტუმარს უმასპინძლებს.

# მონაკო ნახევარკუნძულს აიშენებს

მონაკო აფართოებს საკუთარ ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვაში ახალი საამშენებლო პროექტის წყალობით. ამის შესახებ მონაკოს პრინცმა ალბერმა განაცხადა „ნაის-მატინთან“ ინტერვიუში.

მონაკოს ტერიტორია გაიზრდება 5-6 ჰექტარით. საგრაფო, ამჟამად, მოიცავს 2 კვადრატულ კილომეტრზე მეტ ტერიტორიას. როგორ მოხდება ნახევარკუნძულის მშენებლობა, პრინცს არ დაუკონკრეტებია. სავარაუდოდ, საუბარია ალუვიურ ტერიტორიებზე.

მონაკოს პრინცმა აღნიშნა, რომ მან შეისწავლა რამდენიმე ვარიანტი და ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერებს არჩევანს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

## ორშაბათი 1 აპრილი

06.30 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებანი“ 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ 17.00 დ/ფ „უხილავი სამყარო“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ“ხმა წარსულიდან“ 21.00 ტ/სერ „როსელა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „კომენტატორი“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „ინტერვიუ ვამპირთან“ (ტიტ.) (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ – „პრაღა“ 09.00 მხ/ფ „ღამეები როდანტაში“ (რ.გირი) 10.35 მხ/ფ „გრძნობით შეპყრობილნი“ (გ.პელტროუ) 12.15 მხ/ფ „მის კონგენიალურობა“ (ს.ბალოკი) 14.00 დ/ფ „სიცოცხლე“ 7 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 8 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 5 სერ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 კონცერტი: „ერისიონი“ 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ „გაქცეული პატარძალი“ (რ.გირი) 00.35 მხ/ფ „შავი ხვრელი“ (დ.სელბი) (ტიტ.) 02.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 მხ/ფ „ლომა“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „მოცურავე“ 13.30 კონცერტი-ანს.„თბილისი“ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „აკაკი“ 17.30 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „მაგდანას ლურჯა“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 დოკ/ფ „ეპიზოდი,როგორც მთავარი“ 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელიწადი 23.40 კვირიაკეს სიუჟეტი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ მეუფე ანანია 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 დოკ/ფ „რუსთაველის ნაკვალევზე“ 01.45 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 „ყოველდღიური აბები“ 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6577

ევრო — 2,1245

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5189

100 რუსული რუბლი — 5,3331

## ამინდის პროგნოზი 1 აპრილისთვის




# სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი ამსტერდამში მიფრინავენ

ეკა ირემაშვილი

2013 წლის ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენლები სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი ამსტერდამში ევროფესტივალის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალებსა და ფინალს შვედეთის ქალაქი მალმე 14, 16 და 18 მაისს უმასპინძლებს. წელს კონკურსში 39 ქვეყანა მონაწილეობს. სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი სიმღერით „ვოთერფოლ" მაყურებლის წინაშე ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალურ საღამოზე 16 მაისს წარდგებიან. ისინი მე-15 ნომრად იმღერებენ. ისინი შვედი ბექ ვოკალისტების იოჰანა ბეიბომის, ჰანს მარტინ კაგემარკის და ლიზეტე ვარეს იუჰლმენის თანხლებით გამოვლენ.



— ორი გოგონა და ერთი ბიჭი — არჩევანი მათზე სიმღერის კომპოზიტორმა ტომას ჯეისონმა შეაჩერა. სამივე მათგანი პროფესიონალი მომღერალია და ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვთ. ჰანს მარტინ კაგემარკი ჯგუფის წევრია. ის შვედეთის ყველაზე პოპულარულ კონკურსში „მელოდიფესტივალი" მონაწილეობდა. მარტინმა მთავარი გმირი განასახიერა სხვადასხვა მუზიკლებში. იოჰანა ბეიბომი — 25 წლის შვედი პროფესიონალი მომღერალია. ის 14 წლის ასაკიდან თანამშრომლობს ერთ-ერთ უდიდეს შვედ კომპოზიტორთან ტომას ჯეი სონთან. ის 2007 წლის ევროფესტივალ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

სადმი მიძღვნილ კონცერტზე იმღერებენ. კონცერტზე, რომელიც 13 აპრილს ამსტერდამში გაიმართება, 2013 წლის ევროფესტივალის 17 მონაწილე იმღერებს. ღონისძიება ორ ეტაპად ჩატარდება: საკონცერტო დღე და პრესკონფერენციები. ჰოლანდიის დედაქალაქში ეს კონცერტი უკვე მეხუთე წელია ტარდება.

რიგით 58-ე ევროვიზი-

# სუხიშვილები სანკტ-პეტერბურგში იცეკვებენ

ეკა ირემაშვილი

პირველ აპრილს „სუხიშვილები" რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში კონცერტს გამართავენ, თუმცა, რუსეთში გამგზავრებამდე ანსამბლის წევრებმა, მისმა ხელმძღვანელებმა და კულტურის მინისტრმა იმ თვენახევარიანი გასტროლების შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც ანსამბლმა აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში ჩაატარა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჟურნალისტების წინაშე ანგარიშით წარდგნენ ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების" მოცეკვავეები, ანსამბლის გენერალური დირექტორი ნინო სუხიშვილი, დირექტორის მოადგილე და აღმასრულებელი მენეჯერი ხატია ეკიზაშვილი, მინისტრი გურამ ოდიშარია და მისი მოადგილეები.

— ეს პრესკონფერენცია ჩვენ საგანგებოდ მოვიწვიეთ, რათა ანსამბლის ხელმძღვანელებსა და მის წევრებს შეეჯამებინათ თვენახევრიანი გასტროლები, რომელიც მათ აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში ჰქონდათ. მთლიანობაში ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილებმა" 65 კაცის შემადგენლობით 30 იანვრიდან 13 მარტამდე 41 კონცერტი ჩაატარა უკრაინაში, მოლდოვასა და ბელარუსში. ანსამბლი, ტრადიციული კლასიკური ნაწილის გარდა, მაყურებლის წინაშე ახალი ცეკვით,



„ცდოთი" წარდგა. უნდა ვაღიაროთ, რომ საოცარი სიახლის შეგრძნება აქვს ანსამბლს. ეს არის დინამიკა, თუმცა დიდებული წარსული არასოდეს არის დავიწყებული. მინდა, ამ ანსამბლს ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო და მათ ყოველთვის ახსოვდეთ, რომ კულტურის სამინისტრო მუდამ მათ გვერდითაა, — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრისას ითქვა, ეს გასტროლები გაიმართა საპროდიუსერო კომპანია „ალიანს შატროს" ორგანიზებით და ამავე კომპანიის თანამშრომლობის შედეგად უკვე დაგეგმილია 2014 წლის გასტროლებიც.

— ჩვენ დავასრულეთ თვენახევრიანი გასტროლები და მისი საანგარიშო პრესკონფერენცია ჩავატარეთ კულტურის სამინისტროში. ძალიან წარმატებული გასტროლები იყო — 41 კონცერტი 41 ანშლაგი, მოხარული ვართ და მადლობა ყველას ამისთვის. ჩვენ ყოველთვის ვაბარებთ ანგარიშს ჩვენს საზოგადოებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ჩაიარა ამა თუ იმ ქვეყანაში ჩვენმა გასტროლებმა. ადრე კონცერტებს ვატარებდით გასტროლებიდან დაბრუნებისას და მედიას ვეპატიჟებოდით დიდ საკონცერტო დარბაზში. ამჯერად ასეთი სახით წარმოვადგინეთ ჩვენი ანგარიში, — განაცხადა ნინო სუხიშვილმა.

რაც შეეხება სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ კონცერტს, ანსამბლის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა:

— ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რუსეთში კონცერტი ჩაგვეტარებინა სანკტ-პეტერბურგში. ამჯერად გავმართავთ მხოლოდ ერთ კონცერტს და ეს არა მოსკოვში, არამედ სანკტ-პეტურბურგში მოხდება. რაც შეეხება ჩვენს სამომავლო კონცერტებს, როგორც წესი, ჩვენი საგასტროლო ტურნე კვლავაც გადატვირთული და უკვე გაწერილია არა მარტო 2013 წელს, არამედ უკვე 2014 წელსაც.

# ელისო ბოლქვაძემ საქველმოქმედო ფონდი დააფუძნა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ საქველმოქმედო ფონდი „ლირა" დააფუძნა, რომელსაც რუსთაველის თეატრში საგანგებო გალაკონცერტი მიუძღვნა. თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა ქართველი პიანისტისა და საზოგადო მოღვაწის ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირის" პრეზენტაცია. გალაკონცერტში მონაწილეობდნენ ელისო ბოლქვაძე, „საქართველოს სინფონიეტა", იტალიიდან მოწვეული დირიჟორი დანიელ ბელარდინელი და ფონდ „ლირის" მომავალი სტიპენდიატები ბარბარე თარაძე და ილია ლომთათიძე.



გალაკონცერტი გურამ ოდიშარიამ გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ ელისო ბოლქვაძისადმი მიძღვნილი სამადლობელი წერილი გააცნო.

როგორც ცნობილი გახდა, კონცერტზე შემოსული თანხა მოხმარდება სტიპენდიების გაცემას, მასტერკლასებს საზღვარგარეთ და ფესტივალებში მონაწილეობის დაფინანსებას.

— ფონდი „ლირა" მიზნად ისახავს, გამოავლინოს და მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა ქართველ პიანისტებს, ასევე გაუწიოს მათ ფინანსური დახმარება სტიპენდიების სახით და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად შეუქმნას ხელსაყრელი პირობები. ჩვენი ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს პიანისტთა საერთაშორისო ფონდ „სოს ტალენტსთან", რომელიც შვეიცარიაში არსებობს. დიდი ხანია დაკავშირებული ვარ ამ საერთაშორისო ფონდთან. ბევრი რამ გავაკეთეთ ქართველი ახალგაზრდა პიანისტებისთვის. პატარა ილია და ბარბარე იყვნენ ბათუმიდან და მონაწილეობა მიიღეს კონცერტში, რომელიც ჩატარდა პირველ ივნისს და მიეძღვნა ბავშვთა დაცვის დღეს. მათმა ნიჭიერებამ განაპირობა ის, რომ საკმაოდ პრესტიჟულ კონცერტებში მოხვდნენ. რაც შეეხება ჩვენს ფონდს, მომდევნო კონცერტი აპრილში ჭიათურაში გაიმართება და რეგიონული კონკურსების მხარდასაჭერად იქნება გამიზნული, — აღნიშნა ელისო ბოლქვაძემ.

ფონდ „ლირის" მხარდაჭერით უკვე ისარგებლეს ახალ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ფაჩულია საქართველოს ევრობასკეტზე დააკლდება



საქართველოს საკალათბურთო ნაკრებისთვის სამწუხარო ინფორმაციას ავრცელებს ამერიკული მედია. ოთხშაბათს „ატლანტა ჰოუქსის" და საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდი ზაზა ფაჩულია აქილევსის მყესის ოპერაციას იკეთებს. როგორც ირკვევა, მისთვის არა მარტო სეზონი დასრულდა, არამედ დიდი ალბათობით, ზაზა საქართველოს ნაკრებსაც დააკლდება ევროპის ჩემპიონატზე.

შეგახსენებთ რომ, ზაზას ტრავმის გამო 3 მარტის შემდეგ არ უთამაშია. თავდაპირველი ინფორმაციით, ჩვენებური მხოლოდ რეგულარულ სეზონს გამოტოვებდა, თუმცა კლუბის ექიმებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ოპერაცია აუცილებელია. როგორც „სპორტს ილუსტრეიდი" წერს, ასეთი ოპერაციის შემდეგ, სრულ გამოჯანმრთელებამდე 6 თვეა საჭირო.

ევროპის ჩემპიონატი კი 4-22 სექტემბერს სლოვენიაში გაიმართება. ასე რომ, თუ ფაჩულიას გამოჯანმრთელებას მართლაც 6 თვე დასჭირდა, საქართველოს ნაკრებს ფინალურ ეტაპზე თავისი კაპიტნის გარეშე ითამაშებს, რაც ჩვენი გუნდის ჯგუფიდან გასვლის შანსებს ამცირებს.

მ. ჟ.

# მარსზე გასამგზავრებლად მოხალისეებს ეძებენ

მარსზე გამგზავრების სურვილი ათასზე მეტმა მოხალისემ გამოთქვა, ნათქვამია ტელეკომპანია „ტეცეჰაშის" რეპორტაჟში.

რეპორტაჟში ნათქვამია, რომ წითელ პლანეტაზე სამოგზაუროდ ოთხი ადამიანი უნდა შეირჩეს. ათასზე მეტმა ადამიანმა უკვე გამოთქვა სურვილი, დარჩენილი ცხოვრება კოსმოსურ უდაბნოში გაატაროს.



კოსმოსური ტურის ორგანიზატორების ვარაუდით, გამგზავრება ათ წელიწადში იქნება შესაძლებელი. აღნიშნული პერიოდი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ რობოტებმა მოხალისეებისთვის საცხოვრებელი ბაზა ააშენონ. ექსპედიციისთვის საჭირო 6 მილიარდ დოლარს ორგანიზატორები „რეალითი შოუს" ტრანსლირებით გეგმავენ.

თუ ორგანიზატორების გეგმები განხორციელდება, „მარსონავტების" ცხოვრებისთვის თვალის დევნება პირდაპირ ეთერში იქნება შესაძლებელი.

შეგეხსენებთ, რომ ნასას მეცნიერები საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ წლების წინ მარსზე სიცოცხლე არსებობდა. ამას მარსზე ერთ-ერთ კრატერში ნაპოვნი ქვების ანალიზი ადასტურებს.

ადრე მარსზე ყველა პირობა იყო სიცოცხლის განვითარებისათვის. ასეთი დასკვნა მეცნიერებმა მას შემდეგ გამოიტანეს, რაც წითელ პლანეტაზე განთავსებული ავტომატური აპარატი „კურიოსიტიდან" მოწოდებული მონაცემები შეისწავლეს. ავტომატური მანქანა ამ დროისათვის მარსზეა განთავსებული.

მანქანა-რობოტმა ერთ-ერთი კრატერიდან ამოღებული ქვის ქიმიური ანალიზი ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ მასში გოგირდის, აზოტის და ნახშირბადის შემცველობა დაფიქსირდა. ამ ელემენტების არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ერთ დროს კრატერის ადგილზე მდინარის კალაპოტი, ან მარილიანი ტბა იყო. სად გაქრა წყალი, მეცნიერები ვერ აკონკრეტებენ.

ერთში კი დარწმუნებულები არიან: ადრე გარემო მარსზე სავსებით შესაბამისი იყო მიკრობებისა და ბაქტერიების არსებობისათვის. თუმცა მათი კვალი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

გ. მ.

## ასტროპროგნოზი 1 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! მშვენიერი დღეა

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, თქვენთვის საიამოვნო საქმეები აკეთეთ. **კურო** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი კარგად არის. **ტყუპები** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — თქვენს ცხოვრებაში სიახლეა, გახარებული ხართ. **ქალწული** — გელით კარგი ამბები და საჩუქრები. **სასწორი** — ფულს იშოვით, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ღრიანკალი** — სახლში დიდი სიხარული და საჩუქარი გელოდებათ. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა თქვენზე დადებითად იმოქმედებს. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, დაისვენეთ და გაერთეთ. **მერწყული** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ მაინც ნუ გაფლანგავთ. **თევზები** — საკითხის კარგად შესწავლის შემდეგ კითხვებზე პასუხებსაც იპოვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ონორე დე ...; 5. ძველრომაელთა ნადირობის ქალღმერთი; 7. ქალის ღრმად გულამოჭრილი კაბა; 9. ოთხელექტროდიანი ელექტრონმილაკი; 10. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება; 13. მანქანა-მოწყობილობათა ერთობლიობა; 14. მიწისზედა კუ; 15. მოგრძო გორა; 19. სამლოცველო; 20. მონარიყი (სილა, თიხა); 21. სტუმარი; 22. ხელის მარტივი ტუმბო.

**შვეულად:** 1. ჩიტის მართვე; 2. დიდი ტალღა; 3. ათკუთხედი; 4. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 6. რაიმე დარგში სიახლის შემტანი ადამიანი; 8. რაიმე მოძღვრების მომხრე; 11. აშშ-ის პარლამენტი; 12. ჩანთოსანი ცხოველი; 16. კრედიტი, ვალი; 17. ზეგანი; 18. ერთგვარი რევოლვერი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

